

ბრალდებები "მარჯვნიდან" A2



იუშჩენკომ უკრაინული რაკეტების კონტრაბანდის ფაქტი დაადასტურა A5



"დიზელის საქმე" მწვავდება A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 2 აპრილი, 2005 წელი. №74 (934) | ფასი 50 თეთრი


## უცხოეთი

### რუსეთის გენერალური პროკურატურა: "მასხადოვი საკუთარმა მცველებმა მოკლეს"



გუშინ მოსკოვმა ახალი, თითქმის დაუჯერებელი ვერსია დაასახელა და გამოძიება ამით დაასრულა. როგორც ჩანს, ფედერალური სტრუქტურების მიერ გამოძიება მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ საქმისთვის უფრო მეტი ბუნდოვანება შეემატებინა და არა სინამდვილე გაერკვია.

A5


იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7, B6


**მიიღეთ მონაწილეობა "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეიზის" ერთობლივ კონკურსში – ვიქტორინა-ლატარიაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!**

**ვიქტორინის შეკითხვები და კონკურსში მონაწილეობის პირობები იხილეთ B5 გვერდზე.**

## ამინდი

| | 2/4 | 3/4 | 4/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 6 | 11 |
| ქუთაისი | 3 | 5 | 7 |
| ბათუმი | 1 | 1 | 3 |
| სოხუმი | 2 | 4 | 7 |
| ფოთი | 0 | 3 | 5 |
| თელავი | 5 | 4 | 9 |
| ზუგდიდი | 3 | 6 | 7 |
| გორი | 0 | 0 | 5 |
| ახმეტა | 7 | 6 | 11 |
| ჭიათურა | 0 | 1 | 6 |
| გაგრა | 5 | 6 | 9 |
| სამტრედია | 2 | 4 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.3861 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4719 |
| რუბლი | 0.0660 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| რეკლამა | A8 | სხვადასხვა | B8 |


# რუსული "რულეტკა"


ზბიგნევ ბჟეზინსკი

*წარსულში პრეზიდენტ კარტერის მრჩეველი ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, დღეს კი - სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ზედამხედველი, არაერთი წიგნის ავტორი*




*სრულიად მოულოდნელად, მოსკოვში დაგეგმილი ჰიტლერზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი სიმბოლური და სტრატეგიული მანიფესტაციები, შესაძლოა, სტალინის შთამომავლობის საბოლოო დასამარებად იქცეს.*

მღელვარება ყირგიზეთში და მშვიდობიანი დემოკრატიული რევოლუციები საქართველოსა და უკრაინაში პოსტსაბჭოთა სივრცის ორ მნიშვნელოვან რეალიას გამოხატავს. პირველი რეალია არის ის, რომ გეოპოლიტიკური პლურალიზმი, რომელიც კრემლის იმპერიული ბატონობის კრახის შედეგად წარმოიშვა, დღეს შეუქცევად ფაქტად იქცა. ეს პროცესი შეუქცევადია, მიუხედავად ვლადიმირ პუტინის ნოსტალგიური მცდელობებისა, კვლავ აღადგინოს მოსკოვის კონტროლი არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ქცეულ რესპუბლიკებზე. მეორე რეალია ისაა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ახალგაზრდა თაობა უფრო და უფრო მოუთმენელი ხდება და ყოფილი საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე გამეფებული კორუმპირებული, ბიუროკრატიული ავტორიტარიზმის მიმართ ყოველდღიურად მზარდ ზიზღს განიცდის.

დემონსტრაციები ბელორუსში, რომელთაც თან ახლავს ძალადობა და, ჯერჯერობით, ხელისუფლება მათ უმკლავდება, ხოლო პუტინი პრიმიტიულ დიქტატორს თანაუგრძნობს; ასევე, ნაკლებად დრამატული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენები მოლდოვაში, სადაც სულ ცოტა ხნის წინ პრომოსკოვურად განწყობილმა ძალებმა კრემლი უარყვეს - ეს ყველაფერი იმის საილუსტრაციოდ გამოდგება, რომ პუტინი პოლიტიკურ ტენდენციებს ჩამორჩა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# თეთრი კვამლი ვატიკანის ცაზე

თბილისის დროით 22.20 სთ-ზე გავრცელდა ცნობა, რომ ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესების შემდეგ რომის პაპის, იოანე-პავლე მეორეს გული გაჩერდა. ამის შესახებ იტალიურმა ტელეკომპანია "სკაი იტალია ტივი"-მ გადმოსცა. "ელექტროენცეფალოგრამა სიცოცხლის ნიშნებს აღარ ადასტურებს," - იტყობინებოდა იტალიური მედია. თუმცა, ეს ფაქტი ვატიკანს წუხელ გვიანობამდე ოფიციალურად არ დაუდასტურებია.

**იოანე-პავლე მეორე,** საერო ცხოვრებაში - კაროლ ვოიტილა, დაიბადა 1920 წლის 18 მაისს პოლონეთში, კრაკოვის სავოევოდოში.

იოანე-პავლე მეორე 27 წელი იდგა კათოლიკური ეკლესიის სათავეში. 455 წლის შემდეგ იგი პირველი არაიტალიელი პაპი გახდა. მან გაცილებით მეტი ინტერვიუ მისცა ჟურნალისტებს, ვიდრე სხვა რომელიმე პაპმა. პაპმა დაახლოებით 100 ქვეყანაში მოინახულა და დალოცა თავის სამწყსო. შეიძლება ითქვას, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პაპი იყო.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია ისიც, რომ კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში იგი ერთ-ერთი მცირეთაგანია, ვინც ღარიბი ოჯახიდან "მოხვდა" პაპის ტახტზე. მან ყველაფერს საოცარი განათლებითა და უზარმაზარი, მისტიკური ნებისყოფით მიაღწია.

ასე რომ, შესაძლებელია თუ არა ისეთი კანდიდატის მოძებნა, ვინც კაროლ ვოიტილას ჩრდილში არ მოექცევა?



ამ დილემის გადაწყვეტა კონკლავს - 120 კარდინალის კოლეგიას - მოუწევს. ახალ პონტიფიკოსს თავად იოანე-პავლე მეორეს მიერ 1998 წლის თებერვალში დადგენილი წესებით აირჩევენ. ამ წესების თანახმად, პაპი უნდა აირჩიონ კარდინალებმა, რომელთა ასაკიც 80 წელზე ნაკლებია. გუშინ მთელი დღის განმავლობაში რომში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩადიოდნენ კარდინალები, რომლებიც, სავარაუდოდ, კონკლავის შემადგენლობაში იქნებიან.

თუმცა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი დღემდე გადაუჭრელი რჩება - რომელ რეგიონს უნდა წარმოადგენდეს მომავალი პაპი?

ზოგიერთი ღვთისმსახური მიიჩნევს, რომ იგი მესამე სამყაროდან უნდა იყოს წარმოდგენილი, თუნდაც ლათინური ამერიკიდან - იმ რეგიონიდან, სადაც კათოლიკური ეკლესიის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია. ასეთი მოსაზრების მომხრეებზე, ალბათ, ის ფაქტიც ახდენს გავლენას, რომ კათოლიკეთა 65 პროცენტი სწორედ განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. მაგრამ არსებობს საპირისპირო აზრიც - იქნებ უკეთესია, დასავლეთის მატერიალისტურ სამყაროს, რომელიც საკმაოდ ათეისტური გახდა, განვითარებული ქვეყნიდან გამოსულმა პაპმა უშველოს.

ამ მოსაზრებას უპირატესობას ისიც ჰმატებს, რომ კონკლავის შემადგენლობაში მყოფ კარდინალთა ნახევარზე მეტი ევროპელია, მათ შორის - 20 იტალიელი.

# ბრალდებები "მარჯვნიდან"

გიორგი ასანიშვილი

*"მემარჯვენე ოპოზიცია" ხელისუფლებას მძიმე ბრალდებას უყენებს. ფიქრია ჩიხრაძის მტკიცებით, შიდა ქართლში კონტრაბანდული საქმიანობის გამო, მართალია, ზოგიერთები დაისაჯნენ, მაგრამ დანაშაულებრივი სქემა კვლავ მუშაობს და მასში ჩართული არიან როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები.*

**"კონტრაბანდის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მხოლოდ ბაზრის მოვაჭრეების დარბევითა და აწიოკებით შემოიფარგლება,"** - აცხადებს ჩიხრაძე. მისი თქმით, შიდა ქართლში არსებობს სამი დაჯგუფება, რომელიც რეგიონში მიმდინარე კონტრაბანდულ პროცესებს "არეგულირებს". ამასთან, თითოეულ მათგანს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მფარველები ჰყავს. დეპუტატი ასახელებს ტყვიავის, ახრისის და ძმები დევიძეების ჯგუფებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დეპუტატებმა ბიუჯეტის პროექტი "აკურთხეს"

გიორგი ასანიშვილი

*საბიუჯეტო ცვლილებების განხილვის პირველი ეტაპი დასრულდა. ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი პირობას იძლევა, რომ საპარლამენტო კომიტეტებისა და ფრაქციების სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს მთავრობა სერიოზულად შეისწავლის და მათ, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებს.*

ბიუჯეტის პროექტის მიმართ პრეტენზიები კი პარლამენტარებს საკმაოდ დაუგროვდათ. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ შემაჯამებელ სხდომაზე თავის უკმაყოფილებას საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც გამოთქვამდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საქართველო ეუთო-ს გააქტიურებას სთხოვს

ნინო გომართელი

*ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრ დიმიტრი რუპელთან ქართველი ჩინოვნიკების საუბრის ძირითადი თემა საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგის აღდგენა და კონფლიქტების მოგვარებაში ამ ორგანიზაციის როლის გაზრდა იყო.*

გუშინ თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა, ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ შეხვედრები გამართა საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, საგარეო უწყების ხელმძღვანელთან სალომე ზურაბიშვილთან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძესთან და კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან გოგა ხაინდრავასთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# გუბერნატორ ლევან მამალაძეს მოსკოვში იწვევენ

მაია მოსიაშვილი

რამდენიმე დღის წინ ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციამ მოსკოვიდან წერილი მიიღო.

**"პატივცემულო ბატონო მამალაძე!** - ასე იწყებოდა რუსული კომპანია "ბიზნესცემ"-იდან 2005 წლის 25 თებერვალს გამოგზავნილი უსტარი, - **ბიზნესცემ-2005-ის ორგანიზატორები, კომპანია "ბიზნესცემ"-ი და ფირმა "ვალევი" (რუსეთი), მოხარულნი არიან შეგატყობინონ, რომ მე-13 საერთაშორისო კონფერენცია "ცემენტის წარმოება და ბაზარი" 2005 წლის 6-8 ივნისს გაიმართება ქალაქ მოსკოვში, კომფორტაბელურ "პრეზიდენტ-ოტელში."**

გუბერნატორ ლევან მამალაძის სახელზე გამოგზავნილ მიწვევას ხელს აწერს "ბიზნესცემ"-ის გენერალური დირექტორი ევგენი ვალიუკოვი. მისი ოფიციალური წერილის ტექსტში ხაზგასმულია, რომ კონფერენცია სამთავრობო დონეზე ტარდება და მას მხარს უჭერენ და მონაწილეობენ რუსეთის ფედერაციის მრეწველობის განვითარების დეპარტამენტი, მშენებლობის ფედერალური სააგენტო და მშენებლობის სამინისტრო. წერილს თან ერთვის ბუკლეტი და სარეგისტრაციო ფურცელი ფასების პრეისკურანტებით - რეგისტრაცია 620-790 ევრო ღირს, საგამოფენო დარბაზში 1კვ.მ. - 170 ევრო და ასე შემდეგ. ბუკლეტში კი ვკითხულობთ, რომ "ბიზნესცემი" წამყვანი საერთაშორისო ფორუმი ყოფილა, რომელშიც 50-მდე ქვეყნის არა მარტო ბიზნესმენები, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურებიც იღებენ მონაწილეობას... ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავი წარდგინებაა. სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისა არაფერი ვიცით, მაგრამ სტუმართმოყვარე რუს "ცემენტნიკებს" გუბერნატორ მამალაძესთან დაკავშირებით რომ აშკარა იმედგაცრუება ელით, ფაქტია.

# შევარდნაძე, შესაძლოა, დენის გარეშე დარჩეს

თანხის გადაუხდელობის გამო, "თელასი" საქართველოს ექსპრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს მის საცხოვრებელ რეზიდენციაში ელექტროენერგიას 5 აპრილიდან გაუთიშავს. შევარდნაძის რეზიდენციაში ელექტროენერგიისა და სხვა კომუნალური გადასახადების სახით იანვრიდან დაგროვებული დავალიანება 30 ათას ლარს აჭარბებს. ექსპრეზიდენტის განცხადებით, მას შემდეგ, რაც იგი კრწანისის რეზიდენციის ერთ-ერთ კოტეჯში ცხოვრობს, იგი ელექტროენერგიის გადასახადს სისტემატურად იხდის და იმ დავალიანებებიდან, რომელიც მას ერიცხება, მისი და მისი ოჯახის წევრთა მიერ მხოლოდ 20 პროცენტია გახარჯული. მისივე თქმით, უშუქობა ხშირად ხელს უშლის მას იმ მემუარების წერაში, რომლებზეც იგი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ შეუდგა მუშაობას. შევარდნაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ კრწანისის რეზიდენციის დატოვებას არ აპირებს, ხოლო თუ ხელისუფლება მისი რეზიდენციიდან გასახლების გადაწყვეტილებას მიიღებს, მას "თბილისში ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს და საცხოვრებლის შოვნა, იმედია, არ გაუჭირდება". "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ფანცულაიას განცხადებით, ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს ცალკე მრიცხველი, დიდი ხანია, დაყენებული აქვს და ამ მრიცხველის მიხედვით, დავალიანება 33 ათას ლარს შეადგენს. მისივე თქმით, თუ ექსპრეზიდენტი 4 აპრილამდე ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდის, "როგორც ყველა მოქალაქეს, მასაც გამოერთვება დენი."

*ინტერპრესი*

# დაპირისპირება ფინანსურ პოლიციასა და ძალოვანებს შორის

რუსული წარმოების პროდუქტით დატვირთული "გაზელის" მარკის ავტომანქანის დაკავებას შიდა ქართლის ფინანსურ პოლიციასა და ძალოვანებს შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა.

აღნიშნული ავტომანქანა შიდა ქართლის საგანგებო დავალებათა სამსახურის თანამშრომლებმა თბილისი-სენაკის საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ შავშვებთან დააკავეს. მანქანაში სწორედ ის ტვირთი აღმოჩნდა, რომელიც რამდენიმე დღის წინ შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცაში აღმოჩენილი საწყობიდან ამოიღეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლები მაშინ აცხადებდნენ, რომ აღნიშნული კონტრაბანდული ტვირთი ქარელის რაიონში ცხინვალიდან, ზნაურის რაიონის გავლით შემოიტანეს. დღეს კი, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა აღნიშნული ტვირთი გორის ტერმინალიდან თბილისის მიმართულებით გაუშვეს.

საგანგებო დავალებათა სამსახურის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ტვირთის გაშვება გორის ტერმინალიდან სრულიად უკანონოდ განხორციელდა.

საპირისპიროს ამტკიცებენ ფინანსური პოლიციის თანამშრომლები. მათი განცხადებით, ტვირთის მეპატრონემ, რომელიც დღეს დილით გამოჩნდა, გადაიხადა განბაჟების საფასური, ანუ ტვირთის ღირებულების 83 პროცენტი და, აქედან გამომდინარე, მას უფლება მისცეს, ტვირთი ტერმინალიდან გაეტანა.

ამ ორ უწყებას შორის აღნიშნული ტვირთის დაკავების გამო დაპირისპირება იმდენად სერიოზულია, რომ შესაძლოა, ამ საქმეში პროკურატურა ჩაერთოს.

*ინტერ-პრესი*

# "ტელია-სონერა" დსთ-ს სივრცეში პოზიციებს იმყარებს

შვედურმა სატელეკომუნიკაციო ჰიბრიდმა "ტელია-სონერამ" თურქული "ჩუქუროვასგან" თურქეთის უმსხვილესი ოპერატორის "თურქსელის" აქციათა 27 პროცენტი შეისყიდა და ოპერატორის აქციათა 64,3-პროცენტიანი პაკეტი შეაგროვა. 3,1 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების გარიგება ოფიციალურად ივნისში შედგება. ავტომატურად, "ტელია-სონერა" მოლდავური "მოლდსელის", ქართული "ჯეოსელის", აზერბაიჯანული "აზერსელის" და ყაზახური "კ-სელის" თანამფლობელი ხდება. "ტელია-სონერას" აქტივებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია კომპანიის ბოლოდროინდელი შენაძენი - რუსული "მეგაფონის" აქციათა მსხვილი პაკეტი. "ტელია-სონერა" ევროპის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა.

*24 საათი*

# ბრალდებები "მარჯვნიდან"



*მემარჯვენეებმა მხოლოდ სქემა წარმოადგინეს.*

პირველი გვერდიდან

ოპოზიციონერი პარლამენტარი ირწმუნება, რომ "ტყვიავის ჯგუფში" შედიან შიდა ქართლის გუბერნატორის მიხეილ ქარელის ნათესავები - დის ქმარი, დის მამამთილი და სიძის ძმა. გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებისთვის წარმოდგენილი სქემის მიხედვით, "ტყვიავის ჯგუფი", ძირითადად, ერგნეთიდან შემოტანილ კონტრაბანდას აკონტროლებს და მის "კრიშად" მიხეილ ქარელი და ირაკლი ოქრუაშვილი ითვლებიან.

ამავე სქემის მიხედვით, "ახრისის ჯგუფის" მფარველად მოიაზრება გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ბონდო ვათიაშვილი, ხოლო თავად ჯგუფის წევრები არიან მისი მამა, ძმა და ძმისშვილი. "მემარჯვენე ოპოზიციის" მტკიცებით, ეს ჯგუფი სამრეწველო საქონლის, ხორბლის, ფქვილის, სიგარეტის, საწვავისა და საკვები პროდუქტების კონტრაბანდას ეწევა.

რაც შეეხება თენგიზ და ბადრი დევიძეების "ჯგუფს", პრესკონფერენციაზე მათ მფარველებად დასახელდნენ გორის ყოფილი და ამჟამინდელი გამგებლები, იოსებ მუმლაძე და ნუკრი პაპუნაშვილი.

ფიქრია ჩიხრაძის თქმით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი ალექსანდრე სუხიტაშვილი, რომელიც "ტყვიავის ჯგუფსა" და ხელისუფლების ზედა ეშელონის წარმომადგენლებს შორის მეკავშირეს წარმოადგენდა, დანაშაულებრივი სქემიდან ამოვარდა, თუმცა, დეპუტატი დარწმუნებულია, რომ მას აუცილებლად ვინმე ჩაენაცვლება.

**"მიხეილ ქარელს, ოქრუაშვილის სახით, ძლიერი მფარველი რომ არ ჰყავდეს, თანამდებობას ვერ შეინარჩუნებდა. მიხეილ სააკაშვილმა თავისი გუნდის უცოდველობაზე რაც არ უნდა ილაპარაკოს, ფაქტია, რომ ამ გუნდის გახრწნა დიდი ხნის დაწყებულია,"** - აღნიშნავს დავით გამყრელიძის თანაგუნდელი.

ფიქრია ჩიხრაძე თავად პრეზიდენტის უდანაშაულობაშიც არ არის დარწმუნებული და ვარაუდობს, რომ **"ფულის კეთების სქემებს არც მიხეილ სააკაშვილი უნდა იყოს მოწყვეტილი".**

**"დღეს არ ვიცი, როგორ არის, მაგრამ, თავის დროზე, სააკაშვილის "კასირი" ოქრუაშვილი იყო,"** - დასძენს ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენელი.

"24 საათის" კითხვაზე, აქვს თუ არა მის მიერ დასახელებული სქემების რეალურად არსებობის დამადასტურებელი რაიმე მასალა (აუდიო, ვიდეო, სხვა დოკუმენტები, მოწმეები და ა.შ), ფიქრია ჩიხრაძე პასუხობს: **"გორში ადგილობრივმა ჟურნალისტებმა თავისი თვალით ნახეს, მიხეილ ქარელის ნათესავების კუთვნილ სუპერმარკეტში კონტრაბანდული საქონელი რომ იყიდებოდა."**

მიუხედავად დოკუმენტური მასალის არქონისა, პარლამენტარი მიიჩნევს, რომ პრესკონფერენციაზე მოყვანილი ფაქტები სამართალდამცავებისთვის სიგნალი უნდა იყოს და ისინი მათ შესწავლას დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ, თუმცა, ეჭვი ეპარება, რომ ასე მოხდება.

## რეაქცია გორში

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

*შიდა ქართლის მაღალჩინოსნები "ახალი მემარჯვენეების" მიერ კონტრაბანდის მფარველობაში მათ დადანაშაულებას მშვიდად შეხვდნენ. "ახლების" გორის ორგანიზაციის წარმომადგენლები კი დღეს პარლამენტში გამოთქმული ბრალდებების დამტკიცებას ცდილობდნენ.*

პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში მიხეილ ქარელმა "მემარჯვენეების" ბრალდებები საპირველაპრილო ხუმრობად ჩათვალა და განაცხადა, რომ ხუმრობებზე კომენტარს არ აკეთებს.

**"ეს ისეთივე ბრალდებაა ჩემთვის, როგორც ის, კოსმონავტობა რომ დაებრალებინათ,"** - ასეთი რეაქცია აქვს გორის რაიონის გამგებელს იოსებ მუმლაძეს.

**"სისულელეებზე კომენტარს არ ვაკეთებ,"** - განაცხადა გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ბონდო ვათიაშვილმა.

უფრო ვრცლად ბრალდებებს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსი სამსონ ქებაძე პასუხობს: **"მთელი დღე სამსახურში ვარ. აქედან როგორ უნდა ვმფარველობდე კონტრაბანდას? ვფიქრობ, ეს განცხადებები გაკეთდა იმიტომ, რომ საზოგადოებაში რეპუტაცია შეგვილახონ. დრო იყო, კონტრაბანდას უშუალოდ ჩვენ დავდევდით."** იგი არ უარყოფს "ახლების" მიერ "კრიმინალ ძმებად" მონათლულ თენგიზ და ბადრი დევიძეებთან ნაცნობობას, თუმცა აცხადებს, რომ მათთან ამჟამად ურთიერთობა არ აქვს.

ადგილობრივ "მემარჯვენეებს" რეგიონის ხელისუფლება კონტრაბანდის მფარველობაში არაერთხელ დაუდანაშაულებიათ. **"ჩვენ მიერ მიწოდებულ მასალებში ჩამოთვლილია კონკრეტული გვარები იმ ადამიანებისა, რომლებიც შიდა ქართლში კონტრაბანდის შემოდინებას უშუალოდ ხელმძღვანელობენ,"** - აცხადებს "ახლების" ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე მამუკა ფანიაშვილი.

მისი თქმით, **"კონტრაბანდისტებს, ძირითადად, შემოაქვთ ზეთი, საწვავი, ფქვილი და სიგარეტი, რომლითაც მარაგდება გორის, ქუთაისის, ბათუმის და ლილოს ბაზრები. სხვათა შორის, ეს ინფორმაცია თვითონ მათი ხალხიდან გამოდის. პოლიციის ახალი უფროსის დანიშვნის შემდეგ, რეგიონში კონტრაბანდის შემოდინება არ შეწყვეტილა."**

ბრალდებების დამადასტურებლად "მემარჯვენეებს" რამდენიმე თვის წინ უშიშროების სამმართველოს წარმომადგენლების მიერ ბონდო ვათიაშვილის ნათესავის დაკავების ფაქტი მოჰყავთ, რომელსაც 70 ათასი კოლოფი სიგარეტი ჩამოართვეს. **"ის კაცი ყვიროდა: თუ შეიძლება კონტრაბანდა ზიდოს მიშა ქარელმა, რატომ არ შეიძლება, მეც ვზიდოო. რეალურად, ამ ტვირთს ვათიაშვილი მფარველობდა,"** - აცხადებს ფანიაშვილი.

კიდევ ერთ მტკიცებულებად ადგილობრივი ოპოზიციის წარმომადგენლებს სოფელ ტყვიავში სუპერმარკეტის არსებობა მიაჩნიათ, რომელიც ფინანსურმა პილიციამ ერთხელ უკვე დალუქა. **"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ რეალურად, მაღაზია ეკუთვნის არა გუბერნატორის სიძეს და მის ძმას, ზაქრო და გურამ კაპანაძეებს, არამედ მიხეილ ქარელს. ამ მაღაზიაში კონტრაბანდული საქონელი იყიდება,"** - ამბობს ფანიაშვილი.

გორის ფინანსური პოლიციის ოპერატიული თანამშრომლის თემურ ზაუტაშვილის თქმით, მიხეილ ქარელის სახელით კონტრაბანდისტებს ადრეც უსარგებლიათ. თუმცა, მათი კავშირი პრეზიდენტის რწმუნებულთან არ დასტურდებოდა. **"ამიტომ, ამაზე დაყრდნობით ქარელის დადანაშაულება არ შეიძლება,"** - ამბობს ზაუტაშვილი.

# დეპუტატებმა ბიუჯეტის პროექტი "აკურთხეს"

პირველი გვერდიდან

**"ყოველი მომდევნო ბიუჯეტის შემოტანისას სულ უფრო იზრდება გაუშიფრავი მუხლების რაოდენობა. მთავრობის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ძალიან ზოგადი ჩანაწერებია, მაშინ, როდესაც დეტალურად უნდა ვიყოთ ინფორმირებულნი, რაში იხარჯება თითოეული ლარი,"** - მინისტრთა კაბინეტისგან მეტ კონკრეტულობას ითხოვს თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ბუცხრიკიძე.

დეპუტატებს ისიც აინტერესებთ, გაზრდილი ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ ბაზარზე გამოსული ფულის ახალი მასა ინფლაციურ პროცესებს ხომ არ გამოიწვევს. მით უმეტეს, ლადო პაპავას მტკიცებით, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ინფლაციის მაჩვენებელმა 9 პროცენტს გადააჭარბა და მეტად საშიშ ზღვარს მიაღწია. დეპუტატი სთხოვს ფინანსთა მინისტრსა და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, **"ყურადღებით ადევნონ თვალი მიმდინარე პროცესებს, თორემ, თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, აუცილებლად დადგება ეროვნული ბანკის ახალი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი."**

ლადო პაპავას შეშფოთებას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძეც იზიარებს და აცხადებს: **"ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა სინქრონულად უნდა იმუშაონ, რათა პესიმისტური პროგნოზები არ გამართლდეს."**

თუმცა, ფინანსთა მინისტრი მიიჩნევს, რომ პარლამენტართა შეშფოთება უსაფუძვლოა. **"ლარის სტაბილური კურსი საბიუჯეტო ცვლილებების შემდეგაც იქნება შენარჩუნებული. თუ რაიმე საფრთხე წარმოიქმნება, ეროვნული ბანკი მის თავიდან აცილებას შეძლებს,"** - ამშვიდებს კანონმდებლებს ვალერი ჩეჩელაშვილი.



*ფინანსთა მინისტრისთვის მძიმე საპარლამენტო დღეები უკან დარჩა.*

დეპუტატებს ვერც ის ფაქტი აუხსნიათ, თუ რატომ ჩქარობს მთავრობა ბიუჯეტის კორექტირებას და საპრივატიზაციო თანხების მთლიანად ჩარიცხვას არ ელოდება. ამასთან დაკავშირებით, განმარტებას უკვე ეკონომიკის მინისტრი იძლევა.

**"ნამდვილად არ ვჩქარობთ, რადგან "ჭიათურმარგანეცისა" და საოკეანო სანაოსნოს პრივატიზების პროცესის წარმატებით დასრულება უკვე არანაირ ეჭვს აღარ იწვევს. თანაც, ფულის რეალურად შემოსვლის შემდეგ რომ დავიწყოთ მის განაწილებაზე მსჯელობა, ამას არასასიამოვნო აჟიოტაჟი მოჰყვება. ყველა შეეცდება იმის დასაბუთებას, რომ თანხები, სხვაზე მეტად, მას სჭირდება,"** - განმარტავს ლექსო ალექსიშვილი.

გუშინდელი საკომიტეტო მოსმენა ლოგიკურად დასრულდა: მთავრობის წევრებმა დეპუტატების დარწმუნება შეძლეს და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა გაზრდილი ბიუჯეტის პროექტს ერთხმად დაუჭირა მხარი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ახალციხეში მდებარე, საქართველოს შეიარაღებული ძალების ორფოლოს პოლიგონზე საარტილერიო დაჯგუფების საველე წვრთნები იგეგმება. არტილერისტებმა საბანაკო შეკრებისთვის მზადება უკვე დაიწყეს.

შეკრების პირველი კვირა საველე ბანაკის გაშლას, შიდა და გარე პერიმეტრზე დაცვისა და თავდაცვის ორგანიზებას დაეთმობა. ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი გენერალური შტაბის C-4-თან ერთად პოლიგონზე წვრთნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას უზრუნველყოფს.

მომდევნო კვირას თეორიული მეცადინეობები ჩატარდება. პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - საბრძოლო სროლები მესამე კვირიდან დაიწყება, რომელიც 29 აპრილს საჩვენებელი სროლებით დასრულდება. საწვრთნელი სროლები 85 და 120 მმ ქვემეხებიდან განხორციელდება.

წვრთნებში საარტილერიო დაჯგუფების ქვედანაყოფები, ბრიგადების საარტილერიო დივიზიონები და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფები მიიღებენ მონაწილეობას. სწავლებას საარტილერიო დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ჯიმი ზარიძე უხელმძღვანელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციას აპროტესტებენ და ამ გადაწყვეტილების გამო ქალაქის ხელმძღვანელობას თბილისელების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. ენერგეტიკის საქალაქო სამსახურის გაუქმება მმართველობითი ორგანოების სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა და ის, შეკვეცილი შტატებით და უფლებებით, მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს ერთ-ერთი განყოფილების სახით მიუერთდა. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახალხო ბანკი" თანამშრომლობას იწყებს კომპანია "გლობალ ერთთან", რომელიც საქართველოში სატელეკომუნიკაციო ბიზნესითაა დაკავებული. შაბათს "სახალხო ბანკი" და "გლობალ ერთი" ხელს მოაწერენ თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმად, ბანკი საკუთარი ქსელის მეშვეობით "გლობალ ერთის" კლიენტურის მომსახურებას უზრუნველყოფს. შედეგად, "გლობალ ერთის" აბონენტებს საშუალება ექნებათ, კომპანიის მომსახურების საფასური ქვეყნის მასშტაბით არსებულ "სახალხო ბანკის" 121 ფილიალში გადაიხადონ. სამაგიეროდ, "გლობალ ერთი" "სახალხო ბანკს" ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში საოფისე ფართს გადასცემს, სადაც "სახალხო ბანკის" სერვის-ცენტრი გაიხსნება. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ბი-პის" საქართველოს წარმომადგენლობის ინფორმაციით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობა გრაფიკით მიმდინარეობს. მოსწორებულია სამშენებლო დერეფნის 194 კილომეტრი, მილები დაწყობილია 158 კილომეტრზე, შედუღებულია 143 კილომეტრზე, თხრილებში ჩაწყობილია მილის 61-კილომეტრიანი მონაკვეთი, მიწით დაფარულია 51 კილომეტრი. ბოლო მონაცემებით, სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობაზე საქართველოში 2.244 ადამიანია დასაქმებული. გაზსადენი, რომლის სიგრძეც 249 კილომეტრია, ექსპლუატაციაში 2006 წელს უნდა შევიდეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 25 მარტიდან 31 მარტამდე 100,19 პროცენტი შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 101,18 პროცენტი იყო. წინა კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე გაიზარდა 0,19 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე - 0,15 პროცენტით და არასასურსათო საქონელზე - 0,43 პროცენტით; ხოლო მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. ფასი გაიზარდა ღორის ხორცზე (7,7 პროცენტით), ნავთზე (4,4 პროცენტით) და ბენზინ "ნორმალზე" (3,6 პროცენტით), ხოლო შემცირდა რძეზე (7,7 პროცენტით) და გაყინულ თევზზე (4,4 პროცენტით). **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლადო პაპავა აცხადებს, რომ ინფლაციის დონემ იანვარ-თებერვლის მონაცემებით, 9.2 პროცენტს მიაღწია, რაც, მისი თქმით, საგანგაშო მაჩვენებელია. "თუ ამ კუთხით არასასურველი მოვლენები განვითარდება, პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს დაეკისრება," - განაცხადა პაპავამ. დეპუტატის თქმით, ინფლაციის გაზრდის ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა დაბეგვრის სისტემაში უფრო მეტი საქონლის მოქცევა გახდა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - "თბილისის კორპუსი" ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებას იწყებს. მარტის თვეში საქალაქო სამსახურში სახურავების და ლიფტების შესაკეთებლად თანხების მოთხოვნით 17 განცხადება შევიდა, რომელთაგან 5 დაკმაყოფილდა.
განცხადებების მიხედვით, ამხანაგობების მიერ მუნიციპალიტეტისგან მოთხოვნილმა თანხამ 263 342, 65 ლარი შეადგინა, თვის ლიმიტი კი 160 000 ლარს შეადგენდა. ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამისთვის ქალაქის ბიუჯეტიდან 2 100 00 ლარია გამოყოფილი. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
რადიო მწვანე ტალღა - კარგი მუსიკის რადიო FM 107.4
რადიო შოუ როკი და ფეხბურთი



წამყვანები არჩილ ბენაშვილი, გაგა ბოგრონიძე, მინდია, ირაკლი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატები,სათასო თამაშები; მიმდინარე,დასრულებული და დაუსრულებელი მატჩების შედეგები - როკი და როკვა ქართულად. ყველაფერი პირდაპირ ეთერში; შაბათ-კვირას,ექვსიდან - ღამის 2-საათამდე - როკი და ფეხბურთი მწვანე ტალღაზე

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე 42 107 4 42 107 5

# საქართველო ეუთო-ს გააქტიურებას სთხოვს

პირველი გვერდიდან

**"ეუთო საქართველოს ხელისუფლებისგან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ გეგმას და ქართულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანას ელის,"** - განაცხადა გუშინ ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ თავის ქართველ კოლეგასთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე. ამავდროულად, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეუთო ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან მეთოდებს მიესალმება და სხვა ალტერნატივას არც კი განიხილავს. ეუთო კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას ემხრობა და მიაჩნია, რომ საჭიროა იმ ღონისძიებების დაგეგმვა, რომელიც ამას ხელს შეუწყობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, დიმიტრი რუპელთან გამართული შეხვედრის ერთ-ერთი ძირითადი თემა ასევე ყირგიზეთში არსებული ვითარება იყო. როგორც ზურაბიშვილმა აღნიშნა, ამჟამად ყირგიზეთში სიტუაცია სტაბილურია, თუმცა - დაძაბული, და საჭიროა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ყირგიზეთის ახალ ხელისუფლებას ყველანაირი დახმარება და ხელშეწყობა აღმოუჩინოს, პირველ რიგში, საკანონმდებლო ბაზის მომზადების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ეუთო-ს მიერ რუსეთ-საქართველოს საზღვრის მონიტორინგის გაგრძელებას, ზურაბიშვილის თქმით, კონკრეტული გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული არ არის, თუმცა, ქართული მხარე აგრძელებს კონსულტაციებს როგორც ეუთო-სთან, ასევე ევროკავშირთან და ამ კონსულტაციებში მას აქტიურ მხარდაჭერას უკრაინა უწევს.

ამასთან ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს აუცილებლად მიაჩნია, რომ, თუ შესაძლებელია, გაიზარდოს დამკვირვებელთა მისია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. რაც შეეხება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ზურაბიშვილის განცხადებით, ქართული მხარე ყოველმხრივ ეცდება, გალში, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზი სეპარატისტები აკონტროლებენ, დაფუძნდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეუთო-ს მისია, რომელიც იქ შესაბამის მონიტორინგს განახორციელებს.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საზღვრის მონიტორინგის მისიის შეწყვეტის საკითხი, დიმიტრი რუპელის საუბრისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განიხილა. ნინო ბურჯანაძემ საქართველოში ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისიის შენარჩუნება და სამხრეთ ოსეთში ეუთო-ს მუშაობის გააქტიურება ითხოვა. **"საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს, რომ საქართველოში ეუთო-ს პოლიტიკური კომპონენტი შენარჩუნდეს, რადგან, საქართველოს ხელისუფლებისთვის საკმარისი არ არის ეუთო-ს ექსპერტების მიერ საქართველოს მესაზღვრეებისთვის ტრენინგების ჩატარება,"** - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ.





ლევან ხერხეულიძის ფოტო

*დიმიტრი რუპელი: "ეუთო საქართველოს ხელისუფლებისგან ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების კონკრეტულ გეგმას ელის."*

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა კი ეუთო-სგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარების პროცესში რუსეთის განეიტრალებას, ამ ორგანიზაციის გააქტიურებას და, როკის გვირაბზე კონტროლის გასამკაცრებლად, ერთობლივ მონიტორინგში მონაწილეობას ითხოვს.

ხაინდრავას განცხადებით, იმის გამო, რომ **"რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში ნეგატიურ როლს ასრულებს,"** საქართველოს ხელისუფლება ევროპული თანამეგობრობის მეტ აქტიურობას ითხოვს. **"ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის დიმიტრი რუპელის ვიზიტმა თბილისში დაადასტურა, რომ ეუთო, რომლის ოფისიც ცხინვალში მოქმედებს, ასევე დაინტერესებულია, თავისი წვლილი შეიტანოს აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში,"** - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ხაინდრავას ინფორმაციით, ეუთოს ცხინვალის ოფისი, რომელშიც ამჟამად სულ 4 თანამშრომელი მუშაობს, უახლოეს მომავალში ამავე ორგანიზაციის 10-მდე წარმომადგენლით შეივსება. მისივე თქმით, ეუთოს ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა ასევე საქართველოს ხელისუფლების სურვილს, როკის გვირაბზე კონტროლის გამკაცრებისკენ მიმართულ მონიტორინგში ეუთოს დამკვირებლების მონაწილეობის თაობაზე. ამასთან, გოგა ხაინდრავამ შეხვედრაზე დიმიტრი რუპელს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო გეგმა გააცნო, რომელიც სამი ეტაპისაგან შედგება: პირველი - ეუთოს მონაწილეობით რეგიონის ეტაპობრივი დემილიტარიზაცია; მეორე - სარეაბილიტაციო პროექტები და ეკონომიკური თანამშრომლობა; მესამე - პოლიტიკური დიალოგისა და რეგიონის სტატუსზე მოლაპარაკებების წარმართვა.

# რუსული "რულეტკა"

პირველი გვერდიდან

პროცესებში ჩარევის მისი საოცრად მოუქნელი მცდელობები მხოლოდ კიდევ ერთხელ ადასტურებენ რუსეთის თვითიზოლაციას. ამიტომ დღეს რუსეთის ყველა მეზობელს ან ეშინია რუსეთის, ან ეზიზღება იგი, ან - ორივე ერთად. არ შეიძლება, კარგი ვუწოდოთ იმ საგარეო პოლიტიკას, რომელიც, ძველთან შედარებით, გაუმჯობესების არავითარ მცდელობას არ ამჟღავნებს.

სწორედ ამიტომაც, პრეზიდენტ ბუშის გადაწყვეტილებები - მოსკოვში ვიზიტი ჯერ ლატვიის მონახულებით გააგრძელოს, შემდეგ საქართველოს დედაქალაქში ჩავიდეს, ხოლო ვაშინგტონში უკრაინის დემოკრატიული პრეზიდენტი მიიღოს - სიმბოლურად ძალიან გაბედული და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნაბიჯებია. თავდაპირველად, ბატონი ბუში-უმცროსი მოსკოვში ნაციზმზე გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასწრებას აპირებდა. თუმცა, პუტინის მიერ დაგეგმილი დღესასწაულის გარკვეული ქვეტექსტებიდან გამომდინარე, ევროპელთა ნაწილს, განსაკუთრებით მათ, ვინც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გათავისუფლდა კრემლის კონტროლისგან, ეჩვენება, რომ მოსკოვში ნაციზმზე გამარჯვების პარალელურად, სტალინიზმის გამარჯვებასაც ზეიმობენ. მათი ეჭვები იმანაც გაამყარა, რომ პუტინმა არ ისურვა მკვეთრად დაეგმო რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი, რომელმაც სტალინსა და ჰიტლერს ცენტრალური ევროპის გაყოფის უფლება მისცა.

აშშ-ს პრეზიდენტის ვიზიტი ბალტიისპირეთის იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში, ბალტიისპირეთის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის წინააღმდეგი იყო, და იქ ბუშის შეხვედრა ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის პრეზიდენტებთან (რომელთაგან ორმა არ მიიღო მოსკოვში დაგეგმილ ღონისძიებებზე დასწრების მიწვევა), თავისთავად ძალიან ბევრს იტყვის, მაშინაც კი, თუ პრეზიდენტი ბუში ამ საკითხს პირდაპირ არ შეეხება.

ანალოგიურად, ბუშის სტუმრობა ცოტა ხნის წინ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცეულ საქართველოში, რომლის ტერიტორიიდანაც სამხედრო ბაზების გაყვანაზე რუსეთი ჯერ კიდევ უარს აცხადებს (მიუხედავად კონკრეტული დაპირებებისა), და რომლის შიგნითაც მოსკოვი სეპარატისტულ რეჟიმებს თანაუგრძნობს (მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიიდან ძალიან ახლოს დაუნდობლად ახშობს ჩეჩნურ სეპარატიზმს) -ალყაშემორტყმული ხალხისთვის საერთაშორისო გარანტიების მნიშვნელოვანი აქტი გახდება.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ რუსეთის მთავრობას ჰიტლერიზმის დამარცხების დღესასწაული სტალინიზმისა და ცენტრალურ ევროპაში საკუთარი 45-წლიანი ბატონობის დასაგმობად გამოეყენებინა. მაშინ მოსკოვში დაგეგმილი ღონისძიებები შერიგებად იქცეოდა, ახლა კი მხოლოდ ზეიმია. ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას რუსეთთან მსგავსი შერიგება სჭირდება. თავად რუსეთი კი ამ შერიგებიდან უფრო მეტს მოიგებდა, ვიდრე გერმანიამ ფრანგულ-გერმანული ან გერმანულ-პოლონური შერიგებებიდან მოიგო.

მაგრამ, ამგვარი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მხოლოდ ისეთმა ლიდერებმა შეიძლება მიიღონ, რომლებიც დემოკრატიული შეგნებით არიან გამსჭვალულნი. დიდ რისკზე გაბედულად წასულებმა, უკრაინელმა ვიქტორ იუშენკომ და ქართველმა მიხეილ სააკაშვილმა, ნათლად აჩვენეს, რომ მათი პოლიტიკური რწმენა პოლიტიკურ ოპორტუნიზმზე მაღლა დგას. სწორედ ამით მოახერხეს მათ პოსტსაბჭოთა სივრცის ახალგაზრდა თაობის მხურვალე მხარდაჭერის მოპოვება.

ცხადზე ცხადია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიტიკური მომავალი სააკაშვილისა და იუშენკოს მსგავსი ლიდერებისაა. ასეთი რუსი ლიდერები მოსკოვში, ჯერჯერობით, არ არიან, ან, შესაძლოა, არ ჩანან. მაგრამ პრეზიდენტი ბუში საკუთარ გამოსვლაში მაინც მომავალ ლიდერებს მიმართავს - იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის მათ ვერ დაინახავს. რუსეთის ახალგაზრდა მოქალაქეები ნახავენ, მოისმენენ და ასეთ კითხვას დასვამენ: რატომ უნდა განსაზღვრავდეს მათ ცხოვრებას წარსულზე ნოსტალგია? წარსულზე, რომელიც მხოლოდ იმის ღირსია, რომ სამუდამოდ დასამარდეს...

ასე რომ, უკანასკნელი თვეების მოვლენები უკეთესი დროების მაუწყებელია. შესამჩნევი პოლიტიკური მოწიფულობა, რომელიც უკრაინელებმა მთელ მსოფლიოს აჩვენეს, ამ ქვეყნის დემოკრატიულ კულტურაზე მიანიშნებს. ქვეყნისა, რომელზეც არცთუ ისე შორეულ წარსულამდე მამობრივად ზრუნავდა რუსეთის პოლიტიკური ელიტა. უკრაინელმა ახალგაზრდობამ, რომელმაც კიევის ცენტრში ბანაკი დასცა და საშინელ ყინვებს არ შეუშინდა, საკუთარი დემოკრატიული კულტურა დრამატულად დაამტკიცა. უკრაინელი ახალგაზრდების მაგალითს გადამდები ეფექტი ექნება და მათ ორეულებს - რუს ახალგაზრდებს გადაედება. მით უმეტეს, თუ დასავლეთი ხელს შეაშველებს უკრაინას, რომელიც დასავლეთისკენ ისწრაფვის.

დემოკრატიული გეოპოლიტიკური პლურალიზმი რუსეთს ალყაში აქცევს. რადგანაც ახალი სახელმწიფოები გაცილებით უფრო სუსტები არიან, ამ ალყას, თავისთავად, რუსეთისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა არ შეუძლია. თუმცა, ამ ქვეყნების მაგალითი აუცილებლად ასწევს წნევას რუსეთის შიგნით, სადაც ასევე გაუჩნდებათ სურვილი ავტორიტარული და შოვინისტური ტრადიციის რღვევისა, რაც ჯერ კიდევ ბატონობს მოსკოვური ელიტის ტვინებში. და ეს სურვილი გაჩნდება ძალიან მალე. აუცილებლად შეიცვლება ახალგაზრდა რუსი მოქალაქეების ტვინების ორიენტაცია. ამას ხელს შეუწყობს ხშირი კონტაქტი მეზობელ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, რომლებიც ცოტა ხნის წინ რუსეთის ბატონობის ქვეშ იყვნენ, გავლენას იქონიებს ევროპისთვის დამახასიათებელი მიმზიდველობა. ეს ახალგაზრდები რუსეთის მომავალს სხვაგვარად დაინახავენ.

რუსი ახალგაზრდობა განათლებულია. სულ უფრო მეტი რუსი ახალგაზრდა მიდის სამოგზაუროდ და სასწავლებლად დასავლეთში. სინამდვილეში, შესაძლოა, სადმე, ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში ან ლონდონის ეკონომიკის სკოლაში სწავლობს ახალგაზრდა რუსი სტუდენტი და იგი, ერთხელაც, კრემლში იმ ადგილს დაიკავებს, რომელიც დღეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ-ი) კურსდამთავრებულს უჭირავს. ვინაიდან ისტორიული განვითარება დაჩქარებულია (მოდით, არ დაგვავიწყდეს, რომ სულ რამდენიმე თვის წინ დასავლეთში უკრაინას რუსეთის "მყუდრო საჩრდილობლად" მიიჩნევდნენ), ნუ გამოვრიცხავთ, რომ ჰარვარდელი სტუდენტი კრემლში გაცილებით უფრო ადრე აღმოჩნდეს, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია. რუსებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ თავიანთი მარქსიზმი, ახსოვთ უკეთ, ვიდრე დასავლეთის მოქალაქეებს. და განა სწორედ კარლ მარქსმა არ თქვა სავსებით მართალი სიტყვები, რომ "შეგნება ჩამორჩება სინამდვილეს?"

საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთში პოლიტიკურ ცვლილებებს განსაკუთრებულად რთული დაბრკოლებები შეხვდება. დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ქცეულმა შუა აზიის რესპუბლიკებმა ქვეყნის ხელმძღვანელებად საბჭოთა სისტემის გადმონაშთი ლიდერები შეინარჩუნეს. შეიცვალა მათი ტიტულები, მაგრამ უცვლელი დარჩა მათი პოლიტიკური როლი. უფრო მეტიც, ეს პოლიტიკური ლიდერები, ოფიციალური ათეიზმიდან აღმოცენებული და საბჭოთა ტრადიციებში გადაწყვეტილი სეკულარიზმის ერთგულნი დარჩნენ. დასავლეთმა, რომელსაც პანიკურად ეშინია ისლამური ფუნდამენტალიზმის, ეს ასპექტი ინსტინქტურად გაამართლა.

პრობლემა კი ისაა, რომ ამ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები მუსულმანები არიან. ისინი არ არიან ფანატიკოსები, არც ფუნდამენტალისტები, მაგრამ ისინი ღრმად მორწმუნე ადამიანები არიან. საბჭოთა სისტემის მიერ გაწვრთნილი ლიდერების უხეში მცდელობები, ჩაახშონ ამ ქვეყნებში ისლამიზმი, ერთ საშიშ მომენტს შეიცავს - ამ ლიდერების პოლიტიკური ოპოზიცია შეეცდება, ისლამისტურად უფრო შეურიგებელი გახდეს. აღნიშნულ რეგიონში გამოსვლებს ეს ფაქტორი უფრო ძალადობრივ შეფერილობას მისცემს, ვიდრე ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე პროცესებს ჰქონდა.

რაც უფრო მალე გახდება თავად რუსეთი დემოკრატიული, მით უფრო მოსალოდნელია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ცვლილებებმა გეოპოლიტიკური პლურალიზმის მშვიდობიანი კონსოლიდირება შეძლოს და ახალგაზრდა თაობის რევოლუციურმა მღელვარებამ ჭეშმარიტად დემოკრატიული მკაფიოობა შეიძინოს. მაგრამ რუსეთში დემოკრატიის მომავალი განწირულია, თუ იქ კვლავაც გააგრძელებენ მთელი მსოფლიოსთვის იმის მტკიცებას, რომ მათი არადემოკრატიული რეჟიმი უკვე დემოკრატიაა. გარდა ამისა, რუსეთის მეზობლებს არ ამშვიდებს ის ფაქტიც, რომ რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლება საკუთარი ქვეყნის წარსულთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვას გაურბის. რუსეთის წარსული მთელ მსოფლიოში კრიმინალურად არის აღიარებული. ასეთი საკითხებისთვის ნათელის მოფენა ჭეშმარიტი დემოკრატიის აუცილებელი წინაპირობაა.

ასე რომ, სრულიად მოულოდნელად, ჰიტლერზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი, მოსკოვში დაგეგმილი სიმბოლური და სტრატეგიული მანიფესტაციები, შესაძლოა, სტალინის შთამომავლობის საბოლოო დასამარებად იქცეს.

***"The Wall Street Journal", აშშ***

# სააკაშვილი და კოჩარიანი უქმე დღეებს გუდაურში გაატარებენ

*სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის თვითმფრინავს თბილისის აეროპორტში გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დახვდა. არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოსული მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი თბილისში არ დარჩენილა და პირდაპირ გუდაურში გაემგზავრა, სადაც საქართველოს პრეზიდენტთან ერთად უქმე დღეების გატარებას გეგმავს.*

პრეზიდენტები გუდაურში სასტუმრო "მარკო პოლოში" დაბინავდნენ, რომელიც გუშინ ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ სათხილამურო კურორტზე ერთადერთი "ნათელი წერტილი" აღმოჩნდა.

პრეზიდენტების შეხვედრებს გუშინ ჟურნალისტები არ დაასწრეს, თუმცა დღის ბოლოს მეზობელი სახელმწიფოების ლიდერები ქართველ ჟურნალისტებს მაინც გაესაუბრნენ. **"ჩვენ თხილამურებით სრიალს ვაპირებდით, მაგრამ ამინდმა ხელი არ შეგვიწყო. ჩვენ ვაპირებთ, ვილაპარაკოთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე, ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. ეს არაოფიციალური შეხვედრაა, მეზობლებთან ჩვენ ცერემონიები არ გვჭირდება,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**"ცხადია, სალაპარაკო ბევრი გვაქვს და რადგანაც ამინდმა საპირველაპრილო ხუმრობა მოგვიწყო, სასაუბრო დრო უფრო მეტი დაგვრჩება,"** - აღნიშნა რობერტ კოჩარიანმა.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებთან ერთად გუდაურში სომხეთის თავდაცვის მინისტრი, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და უშიშროების საბჭოს მდივანი იმყოფებიან. სავარაუდოდ, კოჩარიანისა და სააკაშვილის საუბრის მთავარი თემა ახალქალაქში მცხოვრები სომეხი მოსახლეობის საპროტესტო აქციები იქნება.

*24 საათი*

# ქართული ბიზნესის პრობლემები

*პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან არსებული ბიზნესსაბჭოს სხდომები რეგულარული გახდება. გუშინ ამ ბიზნესსაბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესში ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია მოეწყო.*

როგორც შეხვედრიდან გამოსულმა ბიზნესფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ, რომელიც ამავდროულად ხსენებული ბიზნესსაბჭოს თავმჯდომარეც არის, განაცხადა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც "საგადასახადო კოდექსში" ცვლილებებს, საბაჟო პროცედურების გამარტივებას და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს მოიცავს.

**"საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ კვლევა 910 კომპანიაში ჩაატარა და გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე, მომზადებულია რეკომენდაციები, რომლებიც აქამდე არსებული კანონმდებლობის გამარტივებას ითვალისწინებს, რათა ბიზნესმენებმა მაქსიმალური მოგება მიიღონ,"** - განაცხადა გუშინ ისაკაძემ.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი, რომელიც ამ ბიზნესსაბჭოს ერთ-ერთი წევრია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ მომზადებულ დოკუმენტს დადებითად აფასებს და მიიჩნევს, რომ კვლევაში წამოწეული პრობლემები აუცილებლად გასათვალისწინებელია. **"ჩატარებული კვლევიდან ირკვევა, რომ ბიზნესმენებს სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები ექმნებათ. საქმე ეხება სანებართვო, საბაჟო ორგანოებთან, მაკონტროლებლებთან ურთიერთობას. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ მომზადებული რეკომენდაციებიც გასათვალისწინებელია, ამიტომ, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება კანონმდებლობის დახვეწასა და სრულყოფაზე იმუშავებს,"** - აღნიშნა ლეკიშვილმა და დასძინა, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებები კვლევაში წამოწეული პრობლემების გამოსწორებაზე აუცილებლად იზრუნებენ.

*24 საათი*

# საქართველოში ახალი თბოელექტროცენტრალი ყაზახურ გაზზე იმუშავებს

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი ყაზახეთში 1 აპრილს დასრულდა. მხარეთა შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ყაზახური გაზის იმპორტს ითვალისწინებს.

როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი აცხადებს, საქართველოში იგეგმება თბოელექტროცენტრალის მშენებლობა, სადაც ელექტროენერგიის გამომუშავება ყაზახეთიდან შემოსული ბუნებრივი აირის საშუალებით მოხდება.

კონკრეტული შეთანხმება ამ საკითხზე პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ყაზახეთში ვიზიტისას გაფორმდება.

საუბარია, აგრეთვე, ყაზახური ნავთობის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ტრანსპორტირების შესახებაც.

ამასთან, ასტანაში გაფორმდა ხელშეკრულება ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ, რომელსაც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა და ყაზახეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მოაწერეს ხელი.

თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა თავის ასტანელ კოლეგასთან ერთად ხელი მოაწერა მემორანდუმს თბილისისა და ასტანის დამეგობრების შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტს ვიზიტის ბოლოს ასტანაში შეხვედრა ჰქონდა გუმილოვის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან.

*მედიანიუსი*

# ჯარისკაცები სამხედრო ნაწილის უფროსის გადაყენებას მოითხოვენ

საგურამოს სამხედრო ცენტრის ჯარისკაცები სამხედრო ნაწილის უფროსს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ და მის გადაყენებას მოითხოვენ.

ლომსაძის გადაყენების საკითხი საგურამოს სამხედრო ცენტრის ჯარისკაცებმა დღეს მას შემდეგ დააყენეს, რაც ნაწილის ჯარისკაცი არკადი კუკავა ფილტვების ანთების გართულებით სამხედრო ჰოსპიტალში მოხვდა და მათ მიიღეს მედიკოსთა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის თაობაზე.

ჯარისკაცები სამხედრო ნაწილის უფროსს ლოთობაში, მათზე ძალის გამოყენებაში და, კუკავას გარდა, კიდევ ხუთი ჯარისკაცის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ადანაშაულებენ.

თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმის ზაზა გოგოძის მტკიცებით, ჰოსპიტალში მიყვანისას არკადი კუკავას სხეულზე რაიმე დაზიანება არ აღენიშნებოდა და, შესაბამისად, ექიმები მისი ცემის ფაქტს არ ადასტურებენ. მისივე განცხადებით, კუკავას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მის გარდა, საგურამოს სამხედრო ცენტრიდან სამხედრო ჰოსპიტალში სხვა ავადმყოფი ჯარისკაცი არ შესულა.

*ინტერ-პრესი*

თვალსაზრისი

# სასწრაფოდ გასაკეთებელი

ირაკლი კაკაბაძე

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრიობაში უეჭველად გადამწყვეტი მომენტი დადგა. ერთი მხრივ, ჩვენს სახელმწიფოს და საზოგადოებას ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ იყოს მთელ მსოფლიოში ხავერდოვანი სოციალური ცვლილებების ავანგარდში და ამავე დროს აქ პროგრესული სახელმწიფო ააშენოს, მეორე მხრივ კი სახეზეა უკიდურესი საკადრო და სტრუქტურული კრიზისი, რომელიც სასწრაფო მკურნალობას მოითხოვს.

ამ წერილში ვეცდები, ჩამოვთვალო ის ელემენტები, რომელთა დასახვეწად მუშაობა აუცილებელია.

1. შიდა კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ მხრივ, ჯერჯერობით, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. მილიტარისტულ-პროპაგანდისტულ ღონისძიებებს ასეთებად ვერ ჩავთვლით. გაეროს მანდატით გათვალისწინებული "ნდობის აღდგენის" ჩარჩოებში მიმდინარე საქმიანობა კი აშკარად არასაკმარისია ჩვენი მხრიდან. არ მიმდინარეობს "მრავალარხიანი დიპლომატიის" გამოყენება, რამეთუ, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ნუსხიდან, რომელნიც აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, მხოლოდ ერთეულები თუ არიან კვალიფიცირებულნი იმისათვის, რომ შეძლონ სახალხო დიპლომატიის ინსტიტუტის ამოქმედება. გაეროს წარმომადგენელთან ჰაიდი ტალიავინთან მჭიდრო ურთიერთობაში შესაძლებელია დაიწყოს მოლაპარაკებები მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ბაგაფშის ახლანდელი განცხადებები ამ მხრივ იმედის მომცემია და ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოების ყველა ფენა უნდა ჩაერთოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. მინისტრ ხაინდრავას ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გვერდში ამოდგომა სჭირდება. პირველ რიგში სახელმწიფო სტრუქტურების უმაღლესი ეშელონებიდან. ეს პროცესი ახლა თუ არ დაიწყო გაშმაგებული ტემპებით, ვფიქრობ, ისტორიულ შანსს დავკარგავთ საქართველოს ისევ გამთლიანებისას. ეკონომიკური და სოციალური თანამშრომლობა ერთადერთი გზაა კონფლიქტის მოგვარებისა და ამიტომაც მილიტარისტულ პოზიციაზე მდგომი ყველა ძალა ავტომატურად მოსკოვის მოკავშირეა, რომელსაც სურს, ეს კონფლიქტი ისე გაყინოს, რომ მისი გალღვობა შეუძლებელი გახდეს.

2. აუცილებელია სასწრაფოდ ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის მექანიზმების შეცვლა. ვფიქრობ აუცილებელია ამ პროცესის დაჩქარება, რადგანაც დანიშნული გუბერნატორები ვერ ასრულებენ რეგიონის მცხოვრებთა წარმომადგენლისა და ინტერესთა დამცველის ფუნქციას, ეს კი ხელს უწყობს დისფუნქციური საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და საბოლოო ჯამში, ადგილობრივი მოქალაქეების იგნორირების ხარჯზე, გარკვეული კლანების კორუფციული მექანიზმებით გაძლიერებას. ეს დიდი ნაღმია სახელმწიფოებრიობის აშენების საქმეში და მიკვირს, ჩვენმა საკანონმდებლო ორგანომ აქამდე რატომ არ დაიწყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ დეცენტრალიზაციაზე ზრუნვა.

3. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონსტრული სისტემა ისევ ასეთად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ პატრულის გამოჩენამ მნიშვნელოვნად გაგვიიოლა ცხოვრება ქვეყნის რიგით მოქალაქეებს. მაგრამ, მაინც გრძელდება ახალი შსს-უშშ-ს მიერ ცალკეული ადამიანების უფლებების მეტად უხეში დარღვევები. ბიძინა გიორგობიანის მაგალითი ამისათვის მეტად თვალსაჩინოა. ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, შევარდნაძის დროს რეპრესირებული მამულიშვილი საქართველოს ვარდების რევოლუციის მერე დაუბრუნდა და გეგმავდა ხე-ტყის წარმოებაში უპრეცედენტო რეფორმას. ამ რეფორმის სანაცვლოდ მან მიიღო რეპრესიები და დევნა ფულის გამოძალვის მიზნით. ბიძინა გიორგობიანს ქართული საზოგადოება ყოველთვის გვერდზე დაუდგება, რამეთუ იცის მისი პატრიოტიზმისა და კვალიფიკაციის შესახებ. მისი სეხნია ბიძინა ბრეგაძისაგან განსხვავებით, რომელიც აშკარად განიცდის განათლების, ზრდილობისა და გამოცდილების დეფიციტს. ბიძინა ბრეგაძეს თუ თვითონ აქვს პრეტენზია სინდისის ქონაზე, ახლავე უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან და სწავლა დაიწყოს რომელიმე საგანმანათლებლო ინსტიტუტში. ის, ამ შემთხვევაში, ძალიან ჰგავს სამედიცინო კოლეჯის მეცხრეკლასელ სტუდენტებს, რომელთაც საკუთარი თავი ექიმები მხოლოდ იმიტომ ჰგონიათ, რომ მათმა მშობლებმა ამაში ფული გადაიხადეს. ბიძინა ბრეგაძესაც და კოლეჯის სტუდენტებსაც ავიწყდებათ, რომ კვალიფიკაციის დამადასტურებელი სწავლა-განათლების მაჩვენებელია და არა ფულის რაოდენობა, რომელიც მათ გადაიხადეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მემკვიდრე ორგანიზაცია ქართული სახელმწიფოს მტერია დღეს და მისი დეცენტრალიზაცია და რეგიონული დანაწილება ისევე აუცილებელია, როგორც გუბერნატორებისა და მერების არჩევნები. თუ არა და იმას უნდა შევეგუოთ, რომ ეს მონსტრი ორგანიზაცია ყოველ ჩვენგანს ისევ შეაწუხებს, როგორც ეს ბიძინა გიორგობიანს გაუკეთა და ამავე დროს ჰეროინის გაყიდვასაც გააგრძელებს.

4. განათლების რეფორმა ნამდვილად აუცილებელია. ამას ადასტურებს ჩვენი ზოგიერთი სტუდენტის მეტად საგანგაშო განათლების დონე. მინისტრ ლომაიას ამ შემთხვევაში არ გაემტყუნება. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, რომ უნარ-ჩვევების ტესტების შედგენისას, ქართული კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, უფრო მეტი მისადაგება მომხდარიყო ჩვენს საკუთარ კულტურასთან და აუცილებლად არ ვცადოთ ექსისტენციურად სხვა მდგომარეობაში მყოფი ერების უნარ-ჩვევების კოპირება.

5. თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ამას წინათ ახსენა, რომ დავიწყოთ დისკუსია იმაზე, თუ როგორ დავაკავოთ უფრო მეტი ადამიანი კერძო სექტორში. ვფიქრობ, ეს მეტად ჯანმრთელი ინიციატივაა. მართლაც უნდა მოხდეს კერძო ჯგუფების (და ადამიანების) წახალისება იმისთვის, რომ მათ უკეთესად გამოიყენონ საკუთარი ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალი. ამისათვის საჭიროა, რომ მოზიდულ იქნეს საჯარო და კერძო თანხები იმისათვის, რათა დაფინანსდეს პროექტები თუნდაც ქალაქის გალამაზების, დასუფთავების საქმეში, სადაც ამას რამოდენიმე სამსახური კი არ გააკეთებს, არამედ თბილისის რამოდენიმე ათასი მოქალაქე საკუთარი ქალაქის ესთეტიურ თუ ურბანულ მხარეს გააუმჯობესებს. ნიჭიერი ადამიანი საქართველოში ბევრია. მთავარია, ჩვენ ერთად შევძლოთ კლანური აზროვნების გადაძლევა და ისინი მაინცდამაინც ნაციონალურ მოძრაობაში კი არ ვეძებოთ ან მათს ნათესავებში, არამედ ყველა თბილისელში. ვფიქრობ, ჭიაბერაშვილს ამის გაკეთება ნამდვილად შეუძლია და ეს, ერთი მხრივ, ქართული შემოქმედებითი პოტენციალის უკეთესად გამოვლინებას შეუწყობს ხელს და მეორე მხრივ, "ახალი ეკონომიკური კურსის" დაწყებას მოიტანს. ამაზე კონსულტაციები, შეხვედრები აუცილებელია და ამ საქმის დაწყებაც სასწრაფოა, რადგანაც უმუშევართა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება და ნაციონალური მოძრაობის წევრების რაოდენობას ბევრად უსწრებს წინ.

რაც მთავარია, ჩვენმა ახალგაზრდა პრეზიდენტმა სერიოზულად უნდა შეხედოს ჩვენს წინაშე მდგარ პრობლემებს. მან უნდა გადალახოს ის ეიფორია, რომელიც რევოლუციის მერე დაეუფლა. ისევე, როგორც სიტყვა "თელის" მაგივრად უნდა თქვას "მთელი", ასევე საჭიროა, მან "მთელი" სიმძიმით დაინახოს ჩვენ წინაშე არსებული პრობლემები. ლინგვისტურ პრობლემებზე ბევრად უფრო ძნელია სოციალური პრობლემების გადალახვა და იმედია, ჩვენ ყველანი ერთად ამას შევძლებთ.

# დაზარალებული მოსახლეობა სხვაგან ჩასახლების წინააღმდეგია

*აჭარის მაღალმთიანი რაიონები წყალმა წალეკა. ხანგრძლივმა წვიმებმა და თოვლის ინტენსიურმა დნობამ აჭარის მაღალმთიანეთში მეწყრული მოვლენები გაააქტიურა.*

ჯაბა ანანიძე
შორენა ბოგირაიშვილი
*ბათუმიდან*

დანგრეულია ბათუმი-ახალციხის ცენტრალური გზის მონაკვეთი. გადაუღებელი წვიმების შედეგად ეროზირებული ნიადაგი ყოველდღიურად იშლება. მოსახლეობა საფრთხეშია, ოჯახებში ნივთების გამოსატანადაც ვერ შედიან, მამა-პაპეული მიწებიდან წასვლა კი უჭირთ.

ხულოს რაიონის სოფელ პაქსაძეების 24-მა დამეწყრილმა ოჯახმა აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრის მოთხოვნით აქცია გამართა. ისინი წალკისა და ახმეტის რაიონში ჩასახლებაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. მათ მიაჩნიათ, რომ აჭარაშიც შეიძლება შეირჩეს ისეთი სახლები, რომელთა შეძენასაც ადგილობრივი ხელისუფლება ჩასახლების პროგრამით გათვალისწინებული თანხებით შეძლებს.

**"თხუთმეტი დღეა, რაც ბავშვები სკოლაში ვერ დადიან. რა თანხებითაც წალკასა და ახმეტაში აპირებენ ჩვენთვის სახლების შესყიდვას, იმ თანხით საცხოვრებლით უზრუნველყოფა აჭარაშიც შეიძლება,"** - აცხადებენ აქციის მონაწილეები. მათივე თქმით, ისინი დახმარებისთვის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს ეთერ ასტემიროვასაც შეხვდნენ. **"აჭარაში მთავრობა არა გყავთ? იქ ხომ ყველაზე მეტი ფულია, ჩვენთან რისთვის ჩამოხვედით? ამ სიტყვებით გამოგვისტუმრეს,"** - აცხადებენ დაზარალებულები.

საქართველოს სხვა რეგიონში ჩასახლებას შუახევის რაიონის მეწყერსაშიშ ზონაში მოყოლილი მოსახლეობაც არ თანხმდება. ბოლო 26 წლის მანძილზე ამ მასშტაბის სტიქია შუახევის რაიონს არ ახსოვს. კლდის ქანების დაწევამ და ზვავის ჩამოწოლამ შუახევის რაიონის ცხრა საკრებულოში სატრანსპორტო მიმოსვლის პარალიზება გამოიწვია. შუახევის გამგებელმა შექმნილი ვითარება გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე განიხილა და, მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად, სადღეღამისო მორიგეობა დააწესა.

სტიქიასთან ბრძოლა უამინდობის გამო კვლავ ფერხდება, რაიონში სპეციალისტთა ჯგუფი მუშაობს, რომელიც გეოლოგიურ კვლევებს ატარებს. დაზარალებულთა 15 ოჯახი გამგეობამ უსაფრთხო ადგილზე გახიზნა. გამგეობა სტიქიასთან ბრძოლას არსებული საშუალებებით ცდილობს.

სტიქია ეწვია სოფელ დოლოგანსაც. ადიდებულმა აჭარისწყალმა მიწის ნაკვეთები მიიტაცა და საცხოვრებელ სახლებს დანგრევით ემუქრება.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობებით ქვემო ქართლსა და კახეთში უზრუნველყოფით არასამთავრობო ორგანიზაციებიც დაინტერესდნენ და პრობლემაში გარკვევას აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილესთან, ავთანდილ აბაშიძესთან ერთად შეეცადნენ. არასამთავრობოები მეწყერსაშიშ ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის აჭარის მთავრობას დროულ დახმარებას სთხოვენ.

სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა აპრილის თვის იმედად არის. თუ ამინდები გამოსწორდება და გეოლოგებმაც დამაიმედებელი დასკვნები გააკეთეს, დაზარალებული მოსახლეობა ახალი სახლების აშენებას იმავე ადგილზე აპირებს.

# ქალაქს მთაწმინდის პარკი დაუბრუნდება

ნანა ქადაგიშვილი

*როგორც ქალაქის მერია გვპირდება, მთაწმინდის პარკი რამდენიმე წელიწადში ძველ იერს დაიბრუნებს და ფუნიკულიორი ისევ ბავშვების უსაყვარლეს ადგილად იქცევა. უკვე ერთი თვეა, მერიამ ინვესტორთან ხელშეკრულება გააფორმა და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დაიწყება.*



წლების განმავლობაში უპატრონოდ მიტოვებული პარკისთვის ინვესტორის მოძებნა თბილისის მთავრობას ძალიან გაუჭირდა. პარკის ტერიტორიის იჯარით გაცემაზე საუბარი რამდენიმე წლის წინაც დაიწყო. ქალაქის მაშინდელმა ხელისუფლებამ ამერიკელ ბობ უოლშს პარკში მდებარე რესტორანი კინაღამ გადასცა (სახელშეკრულებო პირობაში რესტორნის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობაც უნდა ჩადებულიყო), მაგრამ მაშინ, მერიასა და ინვესტორს შორის შეუთანხმებლობის გამო, ეს საქმე ჩაიშალა. წელს მთაწმინდის პარკს რეალური ინვესტორი გამოუჩნდა.

გასული წლის ოქტომბერში ქალაქის მთავრობამ მთაწმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარით გადაცემაზე ტენდერი გამოაცხადა. როგორც მერიაში განაცხადეს, სატენდერო კომისიაში მხოლოდ ერთმა კომპანიამ, "ლინქსმა" შეიტანა განაცხადი. ერთი თვის თავზე ქალაქის მთავრობამ ტენდერის შედეგები გამოაქვეყნა და "ლინქსი" გამარჯვებულად გამოაცხადა. სხვათა შორის, კომპანიას ფინანსურ გარანტად ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი დაუდგა. თუმცა, როგორც "ლინქსის" დირექტორმა გოგი ჯაოშვილმა განაცხადა, პატარკაციშვილს ამ საქმესთან სხვა არავითარი კავშირი არ აქვს.

"ლინქსს" მთაწმინდის პარკი 49-წლიანი იჯარით გადაეცა. ერთი წლის განმავლობაში ინვესტორმა კომპანიამ პარკის აღდგენაში, სულ მცირე, ერთი მილიონი ლარი უნდა ჩადოს. კომპანია მერიას წელიწადში, იჯარის სახით, 230 ათას ლარს გადაუხდის.

როგორც მერიის ქონების მართვისა და პრივატიზაციის სამსახურის უფროსმა ლევან ალაფიშვილმა გვითხრა, ქალაქის მთავრობის მთავარი პირობა ის არის, რომ პარკს პროფილი შეუნარჩუნდეს, ანუ პატარების გასართობად და უფროსების დასასვენებლად საჭირო ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. გაკეთდება ლუნა-პარკი, ბავშვთა ატრაქციონებით, შადრევნებითა და გასართობი სახლებით. გაშენდება ბაღი, აღდგება პარკამდე მისასვლელი სატრანსპორტო საშუალებები - ორი წლის განმავლობაში მოწესრიგდება ფუნიკულიორის ხაზი, შვიდი წლის განმავლობაში კი საბაგირო გზაც აღდგება. დაგეგმილია, აგრეთვე, პარკში არსებული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია. როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა გვპირდება, დასვენება-გართობის გარდა, მთაწმინდის პარკს საქველმოქმედო მისიაც დაეკისრება - უზედამხედველო ბავშვებისა და სხვა სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის საქველმოქმედო ღონისძიებები მოეწყობა.

ლევან ალაფიშვილის ცნობით, მერიასა და ინვესტორს შორის ხელშეკრულება მარტის დასაწყისში გაფორმდა და პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები მალე დაიწყება.

# თვითმმართველობის ევროპული ქარტია საქართველოშიც იწყებს ამოქმედებას

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის ამოქმედებასთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტში მიღება გაიმართა. საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 26 ოქტომბერს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტიის რატიფიკაცია მოახდინა, პროცედურების გავლის შემდეგ კი ქარტია დღეს შევიდა ძალაში.

როგორც ჟურნალისტებს ეფექტური მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ხუხუნაშვილმა განუცხადა, თვითმმართველობის ევროპის ქარტია ჩარჩო-დოკუმენტია, რომლის მთავარ პრინციპს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება წარმოადგენს, რისთვისაც მთავარ გასაღებად ქარტია თვითმმართველობას აღიარებს.

"ქარტიის მიხედვით, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, უნდა გაიმიჯნოს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების უფლებამოსილებები. საქართველოს კონსტიტუციით, თვითმმართველობა ქვეყანაში აღიარებული პრინციპია, თუმცა ეს კანონმდებლობაში ჯერ სრულად არ არის გაწერილი. პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საკუთარი ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი ქონება და ფულადი სახსრები უნდა ჰქონდეთ. სწორედ ამ მიზნით ამჟამად პარლამენტში განიხილება კანონპროექტი "ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ", რომელსაც სულ მალე მივიღებთ," - განაცხადა ხუხუნაშვილმა.

მისი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტია მერებისა და გამგებლების არჩევითობის პრინციპსაც ემყარება. ამასთან, ქარტიის ამოქმედების შემდეგ აუცილებელია, საქართველოში განისაზღვროს თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლები და გადაწყდეს თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობის საკითხი.

***ინტერ-პრესი***

ორი სიტყვით

**რუსთავი.** პრეზიდენტის ინიციატივით გამოყოფილი დიზელის საწვავის მოსახლეობისთვის დარიგება ბოლნისის რაიონში გუშინ დაიწყო. გამგეობის ინიციატივით, მოსახლეობას სპეციალური ტალონები დაურიგდა, რომელშიც კონკრეტული ადამიანის სახელი და გვარია მითითებული და ასევე დაფიქსირებულია, რომ საწვავი მათ პრეზიდენტისგან საჩუქრად გადაეცემათ. რაიონის სოფლებში საწვავის დარიგებისთვის სპეციალური ადგილებია გამოყოფილი. პროცესს კი ბოლნისის რაიონის გამგეობის წარმომადგენლები ადევნებენ თვალყურს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი, ნასამართლევი, 35 წლის ვალერი ბაზიაშვილი, რომელმაც ვინმე "საშასთან", კავკასიის რეგიონში ფირმა "სკაიბერდ ჯენერალ-ტრეიდინგის" გენერალურ მენეჯერთან, ინდოეთის მოქალაქე დანეშ ნარანიანთან და ამავე ფირმის წარმომადგენელთან საქართველოში - გევორქ მელქონიანთან ერთად, ბიზნესგარიგების საფუძველზე, მოიპოვა მათი ნდობა, აჩვენა მათ ჯართის შესანახ ბაზაში არსებული სხვისი კუთვნილი ფერადი ლითონის ჯართი და ამ გზით თაღლითურად გამოსძალა მათ 38.000 აშშ დოლარი; ასევე, შპს "ყაზბეგის" გენერალურ დირექტორს კობა ასაზაშვილს გამოსძალა 10.000 აშშ დოლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** გუშინ ღამით ქვემო ქართლის ფინანსურმა პოლიციამ მარნეულისა და გარდაბნის ტერიტორიაზე გატარებული ღონისძიების შედეგად უსაბუთო, აღურიცხავი საქონლით დატვირთული სამი მიკროავტობუსი და ექვსი მსუბუქი ავტომანქანა დააკავა.

როგორც ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილე მერაბ მურღულია აცხადებს, მანქანები ელექტროგენერატორებით, საოჯახო ტექნიკით, სამრეწველო საქონლით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმელებით იყო დატვირთული. "თითოეულ მსუბუქ ავტომანქანაში 5000 ლარზე მეტი ღირებულების საქონელი იყო მოთავსებული. რაც შეეხება მიკროავტობუსებს, მათში მოთავსებული საქონლის ღირებულება ექსპერტიზის შედეგად დადგინდება", - აღნიშნა მურღულიამ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს. ჯერჯერობით უცნობია საქონლის მეპატრონეთა ვინაობა. დაკავებული ავტომანქანების ნაწილი ლილოს ტერმინალში დგას, ნაწილი კი მეტალურგიული კომბინატის ავტოსადგომზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** უზენაეს სასამართლოში უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელის ლევან კენჭაძის საქმის განხილვა, ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო, გადაიდო. პროცესზე დაკავებულის ადვოკატს დაცვითი სიტყვა უნდა წარმოეთქვა. კენჭაძის საქმის განხილვა უახლოეს დღეებში განახლდება. 23 მარტს ბრალდების მხარემ კენჭაძისთვის რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

კენჭაძეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე 2004 წლის ივნისში დააკავეს. გამოძიება მას ცენტრის კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ჩამოწერას და უტილიზაციას ედავება, რითაც სახელმწიფოს 15 ათასი ლარის ოდენობის ზარალი მიადგა. განსასჯელი ბრალს არ აღიარებს. ადვოკატებმა ბრალდების მხარეს, კენჭაძისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის სანაცვლოდ, თანხის ანაზღაურება შესთავაზეს, რაზეც პროკურორმა უარი განაცხადა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთისა და ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოების თანამშრომლებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამტაცებელთა ორგანიზებული ჯგუფის აქტიური წევრები - ადამიანის გატაცებისთვის ნასამართლევი, კრიმინალური ავტორიტეტი, 34 წლის პაატა გოგიაშვილი და 33 წლის ზეზვა ციგოშვილი, რომლებმაც ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიიდან მოიპარეს ნუგზარ საყვარელიას ავტომანქანა "ბმვ-525". ავტომანქანა ნაპოვნია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს რუსთავში მცხოვრები, 20 წლის კარლო ღლონტი, რომელმაც მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველო-თურქეთის ფეხბურთის მატჩის დროს მაყურებელთა ტრიბუნიდან ბოთლი ისროლა სათამაშო მოედანზე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის და ჯანმრთელობის დაზიანებისთვის ძებნილი, 28 წლის ნიაზ ახმედოვი; ასევე, დააკავეს ძარცვისთვის ძებნილი, 27 წლის ალექსანდრე როსტიაშვილი **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ადიგენის რაიონის სოფელ ვარხანში მცხოვრები, 65 წლის ივანე სახამბერიძე, რომელიც ეჭვმიტანილია საკუთარ სახლში ურთიერთშელაპარაკებისას შვილის, 41 წლის გელა სახამბერიძის ნაჯახის თავში ჩარტყმით მკვლელობაში. მან მოკლული შვილი ეზოში დამარხა. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 30 წლის რამაზ გვასალია, რომელსაც აღმოაჩნდა 0.07 გრამი ჰეროინი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ფოთის განყოფილება. გურჯაანის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა "ოპელ-ომეგა", რომლის მძღოლს, თელავში მცხოვრებ, 46 წლის გიორგი სულხანიშვილს აღმოაჩნდა 12.2 გრამი ჰეროინი. დააკავეს, აგრეთვე, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ წინსვლაში მცხოვრები, 40 წლის მურად ბერიძე, რომელსაც აღმოაჩნდა 0.295 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში მცხოვრებნი - ნასამართლევი, 27 წლის არსენ ბუთიაშვილი და 40 წლის გელა სიმონიშვილი, რომლებმაც თანასოფლელს, 39 წლის ნუგზარ ხუციშვილს სიტყვიერი მუქარით გასტაცეს ავტომანქანა "ვაზ-2106". ავტომანქანა მფლობელს დაუბრუნდა. **მედიანიუსი**

# რუსეთის გენერალური პროკურატურა: "მასხადოვი საკუთარმა მცველებმა მოკლეს"

ნიკა თარაშვილი

იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ასლან მასხადოვის სიკვდილის შემდეგ უკვე თითქმის ერთი თვე გავიდა, მაგრამ მომხდარის შესახებ გაკეთებული შეფასებები, მათ შორის - ოფიციალური, კვლავაც რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთი რამ ცხადია - რუსეთში ტერორისტად შერაცხული, ხოლო სხვებისთვის ჩეჩნეთის ლეგიტიმურ პრეზიდენტად დარჩენილი კაცის დაღუპვა უბრალო ამბად რომ ვერ გასაღდებოდა, თავიდანვე ნათელი იყო.

გუშინ მოსკოვმა ახალი, თითქმის დაუჯერებელი ვერსია დაასახელა და გამოძიება ამით დაასრულა. როგორც ჩანს, ფედერალური სტრუქტურების მიერ გამოძიება მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ საქმისთვის უფრო მეტი ბუნდოვანება შეემატებინა და არა სინამდვილე გაერკვია. ბუნებრივია, რუსეთისთვის უკეთესი იქნება, თუ დაამტკიცებს, რომ მასხადოვი დაიღუპა არა ვაჟკაცურად მტერთან ბრძოლაში, არამედ მისივე თხოვნით საკუთარმა მცველებმა დაცხრილეს.

სწორედ ამ ვერსიის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ნოკოლაი შეპელის განცხადება.

გუშინ გაკეთებული განცხადების დასტურად, შეპელს მოკლულის სიტყვები ისე მოჰყავს, თითქოს თავად მოესმინოს. "მასხადოვი ამბობდა, რომ ის არ დანებდება. თქვენ კი ეს არ გინდათ (ასე ეუბნებოდა იგი მასთან ერთად ბუნკერში მყოფთ), შეგიძლიათ ტყვედ ჩაბარდეთ, ხოლო მე არავინ უნდა შემეხოს", - მოუთხრო გენპროკურორის მოადგილემ ჟურნალისტებს. რუსი სამართალდამცველის თქმით, თავის მოსაკლავად მასხადოვს "შაჰიდის ქამარიც" ჰქონდა მზად, თუმცა ბოლო მომენტში გარემოცვას გაუფრთხილდა და, აფეთქების ნაცვლად, პირადი მცველების ნასროლი ტყვია არჩია.

რაც შეეხება გვამის ექსპერტიზას, გენპროკურორის სიტყვებით, იგი ნამდვილად ასლან მასხადოვს ეკუთვნის და ამ ფაქტს მოლეკულურ-გენეტიკური გამოკვლევაც ადასტურებს.

საგულისხმოა, რომ იჩქერიის პრეზიდენტის მცვლების ხელით სიკვდილი პირველივე განცხადებებში ფიგურირებდა. ასეთი ვერსია პირველად რამზან კადიროვმა წამოაყენა, თუმცა, მოგვიანებით, განაცხადა, რომ "იხუმრა". ალბათ, მაშინ კრემლს ჩეჩნეთში ძალოვნების მოქმედების ეფექტიანობის წარმოჩინება უფრო აძლევდა ხელს და, შესაბამისად, მასხადოვის სიკვდილს წარმატებული სპეცოპერაციის შედეგი დაარქვეს.

საინტერესოა, რას უნდა ნიშნავდეს რუსეთის ხელისუფლების ვერსიების ცვალებადობა? - იქნებ იმას, რომ დღეს, ჩეჩნეთის არჩეული პრეზიდენტის მკვლელობის გამო, კრემლი პასუხისმგებლობას გაურბის? ფაქტია, რომ მასხადოვის ტერორისტობაზე მტკიცებულებები დღემდე არავის წარმოუდგენია.

უნდა ითქვას, რომ დღეს რაიმე ვერსიის შემოწმება, რბილად რომ ვთქვათ, ფრიად გართულებულია. საქმე ისაა, რომ მასხადოვის სიკვდილიდან რამდენიმე დღის შემდეგ ააფეთქეს "ბუნკერი" (ოფიციალური განცხადებით - ის ადგილი, სადაც მთელ მსოფლიოს მასხადოვის გვამი აჩვენეს, ბუნკერი იყო. თუმცა, საკითხავია, ვის დასჭირდა ბუნკერის აგება არაფრით გამორჩეულ დასახლებულ პუნქტ ტოლსტოი-იურტში). ასე რომ, შემთხვევის ადგილის დათვალიერება შეუძლებელია.

ასევე, შეუძლებელია, გვამის დამოუკიდებელი ექსპერტიზა. რუსეთის სპეცსამსახურები, "ტერორიზმის შესახებ" კანონიდან გამომდინარე, კატეგორიულ უარს აცხადებენ მასხადოვის ცხედრის ოჯახისთვის გადაცემაზე. თუმცა, როგორც ცნობილია, არც ერთი ქვეყნის სასამართლოს (მათ შორის, რუსეთის) არ გამოუცხადებია იგი ტერორისტად. ასე რომ, როგორც აქამდე არაერთხელ მომხდარა, კრემლი ერთი შეხედვითაც ბანალური ვერსიით ცდილობს იოლად ფონს გასვლას.

მაგრამ ის, ვინც მასხადოვს იცნობდა, არაფრით დასთანხმდება კრემლის ახალ ვერსიას. მისი გარემოცვიდან ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ იჩქერიის აწ გარდაცვლილი პრეზიდენტი სულ არ ჰგავდა ისტერიულ ადამიანს. და თუ ოდესმე მართლაც გადაწყვეტდა თავის მოკვლას, ერთ-ორ მტერს აუცილებლად წაიმძღვარებდა საიქიოში - "შაჰიდის ქამარი" ტყუილად ხომ არ ეკეთა.



თვითმკვლელი თუ ღალატის მსხვერპლი.

# ვიქტორ იუშენკომ უკრაინული რაკეტების კონტრაბანდის ფაქტი დაადასტურა

კოტე ელიზბარაშვილი

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ ამერიკულ ტელეარხ MSNBC-სთან ინტერვიუში უკრაინის წინა ხელისუფლების მიერ ირანისა და ჩინეთისათვის ფრთოსანი რაკეტების "AS-15"-ის მიყიდვის ფაქტი დაადასტურა. "იძულებული ვარ, სინანულით დავადასტურო აღნიშნული ფაქტი. რამდენიმე დღის წინ მივიღე მოხსენება, სადაც ნათქვამია, რომ ეს გარიგება მართლაც შედგა რამდენიმე "შუამავლის" მეშვეობით", - განაცხადა იუშენკომ. უკრაინის პრეზიდენტმა ისიც აღნიშნა, რომ ირანსა და ჩინეთს ფრთოსანი რაკეტები ყალბი კონტრაქტით მიეწოდათ, სადაც მიმღებ ქვეყანად რუსეთი იყო მითითებული. რუსეთის ხელისუფლება ამ საქმეში მონაწილეობას უარყოფს.

ცოტა ხნით ადრე უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა აღიარა, რომ მისმა ქვეყანამ 2001 წელს "AS-15"-ის 12 ფრთოსანი რაკეტა - ირანს, ხოლო 6 რაკეტა ჩინეთს მიჰყიდა. "ფაინენშელ თაიმსთან" ინტერვიუში პისკუნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ არც ერთ ექსპორტირებულ რაკეტას არ ჰქონდა ქობინა, რომელიც ასეთი რაკეტებისთვის არის გათვალისწინებული. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, ამას არ დაუმშვიდებია აშშ და იაპონია, რომლებიც შეშფოთებული არიან ყოფილი სსრკ-ს ბირთვული არსენალიდან რაკეტების გადინებით. "AS-15"-ის ფრენის სიშორე 3 ათას კილომეტრს შეადგენს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ იაპონია ჩინეთის მხრიდან სარაკეტო დარტყმის მანძილზე აღმოჩნდეს ან ისრაელი ირანული რაკეტების სამიზნედ იქცეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინის არსენალში ათასამდე რაკეტა დარჩა; თანაც - რაკეტების ნახევარი 1990-იან წლებში რუსეთისთვის უნდა გადაეცათ, მეორე ნახევარი კი აშშ-ს მიერ დაფინანსებული განიარაღების პროგრამის ფარგლებში უნდა გაენადგურებინათ. უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის მოადგილემ დმიტრი სვისტკოვმა ახლახან განაცხადა, რომ "2000-2001 წლებში ჩინეთსა და ირანში 12 ფრთოსანი რაკეტის მიწოდების ფაქტი, უკრაინიდან რუსეთის ფედერაციაში მათი გატანის სარჩულით", დადგენილია. მისი სიტყვებით, რაკეტების მიწოდება სახელმწიფო კომპანია "როსვორუჟენიეს" სახელით ყალბი დოკუმენტების გამოყენებით ხორციელდებოდა. "უკრაინიდან უკანონოდ გატანილ რაკეტებს ქობინები არ ჰქონია. ტექნიკური ელემენტების გათვალისწინებით, მათი საბრძოლო დანიშნულებით გამოყენება მხოლოდ სპეციალური თვითმფრინავებით არის შესაძლებელი," - აღნიშნა სვისტკოვმა. აღნიშნული რაკეტები, რომლებიც ამერიკული "ტომაჰავკების" საბჭოთა ანალოგს წარმოადგენს, სტრატეგიულ ობიექტებზე წერტილოვანი დარტყმების ეფექტური საშუალებაა. რაკეტები 1987 წელს გამოუშვეს და, ამერიკელი ექსპერტების მონაცემებით, ისინი ტექნიკურად ძალზე ცუდ მდგომარეობაში ინახებოდა.



ვიქტორ იუშენკო: "იძულებული ვარ, სინანულით დავადასტურო აღნიშნული ფაქტი".

# ვულფოვიცი მსოფლიო ბანკს ჩაუდგა სათავეში

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელობამ აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ერაყის ომის ერთ-ერთი იდეოლოგი, პოლ ვულფოვიცი ბანკის პრეზიდენტის თანამდებობაზე დაამტკიცა. ოფიციალურად, ვულფოვიცი პირველ ივნისს გახდება მსოფლიო ბანკის რიგით მეათე პრეზიდენტი და თავისი უშუალო ვალდებულებების შესრულებას შეუდგება. 61 წლის ვულფოვიცის კანდიდატურას, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა წარადგინა, ბანკის ოცდაოთხივე დირექტორმა დაუჭირა მხარი. მსოფლიო ბანკში სულ 184 ქვეყანაა გაწევრიანებული. ტრადიციისამებრ, მსოფლიო ბანკს ამერიკელი ხელმძღვანელობს, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდს - ევროპის წარმომადგენელი. კენჭისყრის შემდეგ გაკეთებულ განცხადებაში ვულფოვიცმა მსოფლიო ბანკს "სასიცოცხლო მნიშვნელობის საერთაშორისო ორგანიზაცია" უწოდა. "დავეხმარო მსოფლიოში ულარიბეს ქვეყნებს სიღარიბისგან თავის დაღწევაში - ეს კეთილშობილური მისიაა. ჩემი რწმენა ამ მისიისადმი ურყევია", - აღნიშნა ვულფოვიცმა. მან, ასევე, აღნიშნა, რომ მომდევნო ნახევარი წელიწადი მნიშვნელოვანი იქნება - საერთაშორისო განვითარების პოლიტიკის საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი. "ამჟამად სულმოუთქმელად ვემზადები ბანკის მიერ დასახული ამოცანის უკეთესად გასაგებად", - დასძინა ვულფოვიცმა. ახლახან ვულფოვიცმა ევროკავშირის მხარდაჭერის მოპოვებაც მოახერხა - კერძოდ, ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი (ლუქსემბურგი ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყანაა) ჟან-კლოდ იუნკერი ხშირად იხსენიებდა მას "მსოფლიო ბანკის მომავალ პრეზიდენტად". ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ ვულფოვიცი, რომელსაც ოპონენტები მსოფლიო ბანკში მუშაობისთვის აუცილებელი გამოცდილების უქონლობაში ადანაშაულებდნენ, ყველანაირად ცდილობდა მათ დარწმუნებას, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რათა შეუნარჩუნოს მსოფლიო ბანკს განვითარებადი ქვეყნების დამხმარე ორგანიზაციის როლი. "ვხვდები, რომ არაერთმნიშვნელოვანი ფიგურა ვარ; და მაინც, ვიმედოვნებ - თუ უკეთესად გამიცნობენ, მიხვდებიან, რომ ნამდვილად მწამს ბანკის მისიის. ეს გამაერთიანებელი მისიაა და იმედი მაქვს, ყველაფერი საუცხოოდ იქნება", - განაცხადა ვულფოვიცმა.

24 საათი



მსოფლიო ბანკის ძველი პრეზიდენტი ჯეიმს ვულფენსონი (მარჯვნივ) თავის მემკვიდრეს პოლ ვულფოვიცს ესალმება.

# ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლება პრობლემად რჩება

*ისედაც ჩიხში შესული მოლაპარაკებები, ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით, ნელ-ნელა უფრო მწვავდება. ფხენიანის გაზრდილი მოთხოვნების ფონზე ვაშინგტონიც არ აპირებს კონსენსუსზე წასვლას.*

აშშ-მ უარყო ჩრდილოეთ კორეის წინადადება, ექვსმხრივი მოლაპარაკებები ბირთვულ განიარაღებასთან დაკავშირებით პეკინში გაგრძელებულიყო. როგორც კორეაში აშშ-ს სრულუფლებიანმა და საგანგებო ელჩმა კრისტოფერ ჰილმა სეულის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, "დაუშვებელია სერიოზულ პრობლემებზე სარკასტული განცხადებებით საუბარი" და ჩრდილოეთ კორეას "პრესაში სულელური განცხადებების გაკეთებისაგან" თავის შეკავება ურჩია.

ამერიკელი დიპლომატის გულისწყრომა ჩრდილოეთ კორეის საგარეო უწყების ანონიმი წარმომადგენლის თამამმა განცხადებებმა გამოიწვია, რომელიც საინფორმაციო სააგენტოებმა ხუთშაბათს გაავრცელეს. კორეელი ჩინოვნიკი ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლებისთვის ჩრდილოეთ კორეის თანაბარ პარტნიორად განხილვას მოითხოვდა. გარდა ამისა, ოფიციალური ფხენიანი, ვაშინგტონში მისთვის "ტირანიის ფორპოსტად" წოდების გამო, აშშ-სგან ჯერ კიდევ ელის ბოდიშის მოხდას. როგორც სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო "იონჰაპ"-ს გაერო-ში ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელმა აცნობა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიერ გამოთქმის - "ტირანიის ფორპოსტი" - "სუვერენული სახელმწიფოთი" შეცვლა ბოდიშის მოხდას სულაც არ ნიშნავს.

რაისმა ჩრდილოეთ კორეას "ტირანიის ფორპოსტი" სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე სენატში დამტკიცებისას უწოდა, რაზეც ფხენიანის დიპლომატიურმა უწყებამ მას მობოდიშება მოსთხოვა. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კი ბოდიში მაინც არ მოიხადა და განაცხადა, რომ მისი შეფასება სრული სიმართლე იყო.

როგორც ჩანს, დიპლომატიური ინციდენტი ასე მარტივად არ ამოიწურება, რადგან ამჯერად უკვე მოლაპარაკებების მაგიდასთან დასაბრუნებლად ოფიციალური ფხენიანი მოთხოვნებს კიდევ უფრო ართულებს. ვითარების გამწვავებამდე კი ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი აშშ-ს ადმინისტრაციისაგან, ბოდიშის მოხდის გარდა, უსაფრთხოების გარანტიებს, მოლაპარაკებებში თანაბარ სტატუსსა და ოფიციალური ფხენიანისადმი აშშ-ს მხრიდან "გულწრფელ დამოკიდებულებას" ითხოვდა.

2003 წელს დაწყებული მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა გასული წლის შემოდგომაზე აშშ-ს მხრიდან ჩრდილოეთ კორეისთვის ატომური ენერგიის, თუნდაც სამშვიდობო მიზნებისთვის, გამოყენების სრულად აკრძალვის შემდეგ.

მიმდინარე წლის თებერვალში კი ჩრდილოეთ კორეამ ოფიციალურად გამოაცხადა თავი ბირთვულ სახელმწიფოდ. კიმ ჩენ ირი ატომური იარაღის შექმნას ფხენიანისადმი აშშ-ს აგრესიული პოლიტიკის შედეგად გამოწვეულ იძულებით ზომას უწოდებს.

24 საათი

# ასკარ აკაევს ქონებას ართმევენ

ყირგიზეთში ხელისუფლების შეცვლას, როგორც მოსალოდნელი იყო, ქონების გადანაწილება მოჰყვა. იმ დროს, როცა აკაევი "რევოლუციის" ლიდერებთან მოლაპარაკებას ცდილობს და, გადადგომის სამაგიეროდ, სამართლებრივ გარანტიებს ითხოვს, ქვეყანაში მოქმედი მსხვილი კომპანიები მესაკუთრეებს იცვლიან. გარდა ამისა, ყირგიზეთის ახალი ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ აკაევთან დაახლოებული პირების "უკანონო" ქმედებების შესახებ სრული ინფორმაცია აქვს.

გუშინ შუააზიური ქვეყნის ვიცე-პრემიერმა დანიარ უსენოვმა განაცხადა, რომ ყირგიზეთის სამართალდამცველი ორგანოები იმ ფინანსურ ნაკადებს შეისწავლიან, რომლებსაც ასკარ აკაევის ოჯახი მართავდა.

ვარაუდობენ, რომ აკაევის ახლობლები და ნათესავები ისეთ სფეროებს აკონტროლებდნენ, როგორიცაა სპირტის წარმოება, ბენზინით ვაჭრობა, ასევე - ტელევიზია და ფიჭური კავშირგაბმულობა. ოღონდ, ყირგიზეთის ვიცე-პრემიერმა დანიარ უსენოვმა ისიც აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლება საკუთრებას უკანონოდ არავის ჩამოართმევს.

"კერძო საკუთრება ხელშეუხებელია - ჩვენი საზოგადოების შემდგომი მშენებლობისთვის ეს აქსიომაა," - განაცხადა უსენოვმა.

თავად გაქცეული აკაევის თქმით, მას, ბინისა და ძველი ავტომანქანის გარდა, არაფერი აქვს. "შესაძლოა, ეს ასეც არის, - აღნიშნა უსენოვმა, - მაგრამ ვიცი, რომ მის ვაჟს და სიძეს ყირგიზეთში სავსებით კონკრეტული ბიზნესი ჰქონდათ; კერძოდ, მათი ფირმები აეროპორტებისთვის საწვავის მიწოდებაზე მონოპოლიას ფლობდნენ. საქმე ისაა, რომ ერთი ტონა საავიაციო ნავთის თვითღირებულება 250 დოლარს შეადგენს. ახალი ხელსუფლების განცხადებით კი, ეს ფირმები თვითმფრინავების ერთი ტონა საწვავით გამართვაში "უკანონოდ" 500 დოლარს იღებდნენ. "ეს სიტუაცია ჩვენ ხელს არ გვაძლევს. მას ღია ტენდერის გამოცხადებით შევცვლით," - განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

24 საათი

# მონაკოს ახალი მმართველი

ბრიტანული "გარდიანის" ინფორმაციით, პრინცი ალბერტი მონაკოს რეგენტად გამოცხადდა. ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ალბერტისთვის მონარქის უფლებამოსილების მინიჭება მონაკოს დიდი მთავრის რანიე მესამეს უუნარობით არის გამოწვეული. იგი ამჟამად მძიმედაა ავად და ჰოსპიტალში წევს.

47 წლის ალბერტი მისი უდიდებულესობის ერთადერთი ვაჟიშვილია ჰოლივუდის მსახიობ გრეის კელისთან ქორწინებიდან. რანიემ 1956 წელს იქორწინა და მეუღლე 1982 წელს საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა. მონაკოს მოსახლეობა პრინცისადმი საკმაოდ თბილად არის განწყობილი.

მისი დებისგან (კაროლინა და სტეფანი) განსხვავებით, რომლებიც ბულვარული პრესის პირველი გვერდების მუდმივი პერსონაჟები არიან, ალბერტი არასოდეს ყოფილა დაქორწინებული. რანიე მესამე 7 მარტს მოათავსეს ჰოსპიტალში "ბრონქებისა და ფილტვების ინფექციის" დიაგნოზით. 81 წლის თავადი საავადმყოფოში უკეთ გახდა, ექიმები რამდენიმე დღეში მის გაწერასაც კი გეგმავდნენ, თუმცა მათი თავდაპირველი გადაწყვეტილება შეიცვალა მას შემდეგ, რაც რანიე მესამეს კრიზისი თავიდან გაუმწვავდა. ექიმების უკანასკნელი განცხადების თანახმად, რომელიც ოთხშაბათს გამოქვეყნდა, თავადის მდგომარეობა სტაბილურია. და მაინც, როგორც მედიკოსები ირწმუნებიან, მომავალში "საკმაოდ ფრთხილი" პროგნოზების გაკეთება მოუწევთ, რადგან მონაკოს მთავრის ჯანმრთელობა ერთობ შერყეულია.

24 საათი

# პეკინში მტრული პარტიები შეხვდნენ

ახლახან პეკინში 1940-იანი წლების ჩინეთის სამოქალაქო ომის დროინდელი მოწინააღმდეგეების უმაღლეს დონეზე შეხვედრა პირველად შედგა. ტაივანიდან ჩასული გომინდანის პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ძიან ბინკუნი ჩინეთის კომპარტიულ იერარქიაში მნიშვნელოვან ფიგურას ძია ცინლინს შეხვდა. ტაილანდსა და პეკინს შორის გაჩაღებული პოლემიკის მიუხედავად, რომელიც ჩინეთის პარლამენტის მიერ მარტის შუა რიცხვებში მიღებული კანონის (ტაივანის სეპარატიზმზე ზემოქმედების შესახებ) შემდეგ წარმოიშვა, ძია ცინლინმა განაცხადა: "აშკარად ჩანს ნიშანი იმისა, რომ ტაივანის სრუტეში დაძაბულმა ვითარებამ ერთგვარად იკლო". ძია ცინლინი ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეა, რომელიც მრავალპარტიული თანამშრომლობის სათათბირო ორგანოს წარმოადგენს, ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით. მან ჩინეთში მიიწვია გომინდანის პარტიის თავმჯდომარე ლიან ჩჟანი და ტაივანის ყველა დანარჩენი პარტიის ლიდერი, რომლებიც კუნძულის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოდიან. 2000 წლიდან გომინდანის პარტია ტაივანის ხელისუფლების ოპოზიციაშია. კუნძულის დამოუკიდებლობის მომხრე მმართველმა დემოკრატიულ-პროგრესულმა პარტიამ მწარედ გააკრიტიკა გომინდანელები პეკინში აღნიშნული ვიზიტის გამო.

24 საათი

## ორი სიტყვით

**ჩეხეთი.** პარლამენტში ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს წინააღმდეგ უნდობლობის ვოტუმს დეპუტატთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა. წინადადება, რომლის ინიციატორებიც მემარჯვენეები იყვნენ, ჩავარდა, მთავრობა კი, პრემიერ-მინისტრის სტანისლავ გროსის მეთაურობით, კვლავ აგრძელებს მუშაობას.

ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატაში პარასკევს ჩატარებულ კენჭისყრაზე მთავრობას უნდობლობა გამოუცხადეს - 78 დეპუტატმა, ოპოზიციური სამოქალაქო დემოკრატიული პარტიის წევრებმა და ქრისტიან-დემოკრატებმა. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისათვის კი საჭირო იყო 101 ხმა. სულ ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატა 200 დეპუტატისაგან შედგება.

სტანისლავ გროსის მთავრობა გადაყენებისაგან იხსნეს კომუნისტმა დეპუტატებმა, რომლებმაც დემონსტრაციულად დატოვეს დარბაზი. კომუნისტურ ფრაქციას, რიცხოვნობის მიხედვით, რიგით მესამე ადგილი უკავია ჩეხეთის პარლამენტის ქვედა პალატაში. დამოუკიდებელ ჩეხ პოლიტოლოგთა შეფასებით, ჩეხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში კომუნისტების გავლენის მზარდი ტენდენცია შეინიშნება.

ქრისტიან-დემოკრატებმა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სკანდალის გამო, დატოვეს ჩეხეთის სამთავრობო კოალიცია, რომელშიც 2002 წლიდან შედიოდნენ. აღნიშნულ სკანდალში გარეული აღმოჩნდა პრემიერ-მინისტრი სტანისლავ გროსი. თუმცა, თავად პრემიერის განცხადებით, სამთავრობო კოალიცია ქრსიტიან-დემოკრატების გარეშეც გააგრძელებს სოციალურ რეფორმებზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელებას. **24 საათი**

■ ■ ■

**ესპანეთი.** 1 აპრილს ესპანეთის პოლიციის მიერ ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის, კოდური სახელწოდებით "საეტა", შედეგად დაკავებულ იქნა არაბული სახელმწიფოების მოქალაქეობის მქონე 12 პირი. დაკავებულნი გასული წლის 11 მარტს მადრიდში მომხდარი ტერაქტის ორგანიზებასა და განხორციელებაში არიან ეჭვმიტანილნი.

ესპანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, ტერაქტში ეჭვმიტანილი პირების დაკავება ერთჯერადი აქცია არ იქნება. საპოლიციო ოპერაცია კვლავ გაგრძელდება და, სავარაუდოდ, დანაშაულში მონაწილე სხვა პირების აყვანაც მოხდება უახლოეს მომავალში. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ზიმბაბვე.** წინასწარი შეფასებებით, საპარლამენტო არჩევნებში უპირატესობა დემოკრატიული ცვლილებების მოძრაობის მხარესაა. არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა ელექტორატი დიდი აქტივობით მაინც არ გამოირჩეოდა. არჩევნებში მონაწილეობა საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის მხოლოდ 30-40 პროცენტმა მიიღო. დამკვირვებელთა თქმით, ამომრჩევლები მაღალი აქტივობით მხოლოდ ქვეყნის მსხვილ ქალაქებში გამოირჩეოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციონერთა გარდა, არჩევნების გაყალბებაზე ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც საუბრობენ, ზიმბაბვეს პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, რომელიც ქვეყანას, უკვე 25 წელიწადია, მართავს, არჩევნების გაყალბების მცდელობასაც კი უარყოფს. **ბი ბი სი**

# აციებამ კრიზისი გაამწვავა

მაია ურუშაძე

უჩვეულო აციებამ ენერგეტიკაში უკვე ჩვეული კრიზისი კიდევ ერთხელ (იმედია, ამჯერად მაინც - უკანასკნელად) გაამწვავა. აციების გამო ელექტროენერგიის მოხმარების ბუნებრივ ზრდას თან ისიც დაერთო, რომ დილიდან ავარიულად გამოირთო "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკი, რომელიც 100 მეგავატ ენერგიას გამოიმუშავებდა. გეგმიური სარემონტო სამუშაოებისთვის ხუთი დღით გაჩერდა ჟინვალჰესიც. უცნობია დაზიანებული ბლოკის ჩართვის ვადები. ენერგეტიკოსები გუშინ დაზიანების გამომწვევ მიზეზებზეც კი ვერ საუბრობდნენ.

ერთი სიტყვით, დილიდან დეფიციტი საკმაოდ მწვავე იყო, მთელი დღის განმავლობაში რეგიონებს დენი მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების მოსამარაგებლად მიეწოდებოდა.

ელექტრომომარაგების გაუმჯობესების პერსპექტივები, ჯერჯერობით, ბუნდოვანი რჩება. რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" აღდგენა, ჯერჯერობით, ისევ შეუძლებელია. ოფიციალური ინფორმაციით, ხაზის აღდგენას, მინიმუმ, თვენახევარი მაინც დასჭირდება. ამასობაში კი, მოახლოვდა ენგურჰესის სარემონტოდ გაჩერების დროც. სადგური, ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის ინფორმაციით, 5 აპრილს უნდა გაჩერდეს.

მისი თქმით, თუ სპეციალისტების გვირაბში შესვლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ გვირაბის შეკეთებას სამ თვეზე მეტი დრო სჭირდება, სარეაბილიტაციო სამუშაოები მაინც დათქმულ ვადებში დასრულდება, რადგან ენგურის დიდი ხნით გაჩერება ტექნიკურად დაუშვებელია. ამიტომ, სერიოზული დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, სარეაბილიტაციო სამუშაოები გვირაბში მომავალი წლისთვის გადაიდება.

# საერთაშორისო ზარებზე ტარიფი, შესაძლოა, შემცირდეს

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით, გუშინდელი დღიდან გაუქმდა საერთაშორისო ოპერატორებისთვის საერთაშორისო ზარებზე დაწესებული ქვედა ზღვრული ტარიფები. უფრო ზუსტად, საუბარია შემომავალი ზარების ტარიფის ქვედა ზღვარზე, რომელიც ევროპის ქვეყნებისთვის დღემდე განსაზღვრული იყო 1 წუთზე - 70 თეთრი, ხოლო ამერიკისთვის - 50 თეთრის ოდენობით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოში მოქმედ არც ერთ საერთაშორისო ოპერატორს არ ჰქონდა უფლება, საკუთარ მომსახურებაზე დადგენილზე ნაკლები ტარიფი დაეწესებინათ.

კომისიის დადგენილებით, გამავალ ზარებზეც ზღვრული ტარიფები მიმდინარე წლის 15 თებერვლიდან გაუქმდა, თუმცა ძალაში მხოლოდ გუშინდელი დღიდან შევიდა.

როგორც კომისიაში განაცხადეს, ამიერიდან საერთაშორისო ოპერატორებს შეეძლებათ, ფასები, რომელსაც კომისია 2000 წლიდან არეგულირებდა, თვითონვე დააწესონ და არეგულირონ, რაც მათ შორის თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციის პირობებს შექმნის.

როგორც კომისიის სტრატეგიული დაგეგმარების სამსახურის უფროსი გელა ბუთბაია ვარაუდობს, ქვედა ზღვრული ტარიფების გაუქმება საერთაშორისო ზარებზე დაახლოებით 15-20 თეთრით ფასების შემცირებას გამოიწვევს. ამერიკაში დარეკვის ღირებულება 1 წუთზე 50 თეთრიდან, სავარაუდოდ, 30 თეთრამდე შემცირდება, ხოლო ევროპის მიმართულებით - 70 თეთრიდან 55 თეთრამდე.

*24 საათი*

# "ალფა მრიცხველები" ქვემო ქართლის ელექტროენერგიას გაუფრთხილდებიან

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" (სგსე) ქვემო ქართლის ფილიალში მოწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობის მკაცრი აღრიცხვისა და დანაკარგების შესამცირებლად, მაღალი ძაბვის ქვესადგურებში ციფრული და მოდემით აღჭურვილი "ალფა მრიცხველები" ამუშავდება.*

როგორც "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" (სგსე) აცხადებენ, ქვემო ქართლის ფილიალის ცენტრალური სადისპეტჩერო, "მოდემ-სისტემიანი" მრიცხველებით, ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მიიღებს ინფორმაციას მოწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობის შესახებ.

ცნობისათვის, რეგიონის ტერიტორიაზე, დაახლოებით, 148 "მოდემ-სისტემიანი" მრიცხველია დამონტაჟებული, ხოლო უახლოეს მომავალში 160 ერთეულის განთავსება იგეგმება.

ბოლო მონაცემებით, ქვემო ქართლის თელეთ-მარტყოფის რაიონში მდებარე საცხენისის ჰესის ქვესადგურში ერთი "ალფა მრიცხველი" ჩაირთო, ხოლო "რუსთავის მეტალურგული ქარხნის" ქვესადგურში - 2 მრიცხველი.

ქვემო ქართლის ფილიალის ხელმძღვანელთა ინფორმაციით, "ალფა მრიცხველების" მიერთების პროცესში, სგსე-ს, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა" და "საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის" წარმომადგენლები მონაწილეობენ. **"საგულისხმოა, რომ აღნიშნული მრიცხველების დალუქვა ერთობლივად ხდება და, ამდენად, მოწოდებული ელექტროენერგიის მაჩვენებლების გაყალბების ალბათობა გამორიცხულია,"** - აცხადებენ ენერგოკომპანიაში.

ინფორმაციისთვის, რუსული წარმოების "ალფა მრიცხველები" ბრიტანულ-ამერიკულმა კომპანიამ "ფიეი ქონსალთინგ გრუფ"-მა შეიძინა, რომელიც სგსე-ს მენეჯმენტს ახორციელებს. სულ 741 "ალფა მრიცხველია" შესყიდული, საიდანაც 525 "მოდემ-სისტემისაა", რომლის ღირებულება (ერთი ცალის) 1790 აშშ დოლარს შეადგენს.

*24 საათი*

ქალაქ თბილისის მერიის
სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის
**საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი**
Tbilisi City Service - Tbilisi Corps

დედაქალაქის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური - თბილისის კორპუსი 1 აპრილიდან იწყებს განაცხადების მიღებას თბილისის მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ლიფტებისა და სახურავების შესაკეთებლად საჭირო თანხების მოთხოვნის მიზნით.

დაფინანსების მოთხოვნით, თბილისის კორპუსისათვის საპროექტო განაცხადით მიმართვის უფლება აქვს მხოლოდ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობას.

1992 წლის შემდგომ, როდესაც საქართველოში დაიწყო მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში ბინების პრივატიზება, მობინადრეთა უმრავლესობა ბინის მესაკუთრე გახდა. მრავალბინიანი სახლის ეზოს, მიმდებარე მიწის ნაკვეთის, კიბის უჯრედების, სხვენის, შენობის მზიდი კონსტრუქციების, ლიფტების, საძირკვლის და სახურავის მოვლა-პატრონობა ბინის მესაკუთრეთა მოვალეობაა.

ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში. ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი, ის არარეგისტრირებული კავშირია. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობაა.

ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობებს თბილისის კორპუსში განაცხადების შეტანა შეუძლიათ ყოველი თვის 1-დან 10 რიცხვის ჩათვლით.

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ინტერნეტ გვერდზე - www.tbilisicorps.ge**
**მისამართი: აღმაშენებლის 89/24, "თბილქალაქპროექტის" შენობა, II სართული.**
**ტელ.: 952034**

# "დიზელის საქმე" მწვავდება

### მთავრობა კი ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნებს არ იღებს

*მთავრობა კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. ხვნა-თესვის სეზონთან დაკავშირებით გლეხებისთვის დიზელის საწვავის დარიგების საქმემ პარლამენტში სერიოზული დაპირისპირებები გამოიწვია. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ამ საკითხის განსახილველად გუშინ საღამოსთვის საგანგებო შეკრება დაგეგმა. თუმცა, დეპუტატების პასიურობის გამო, სხდომა გაურკვეველი ვადით გადაიდო.*

მაია ურუშაძე

სკანდალი იმან გამოიწვია, რომ მთავრობამ 13 მილიონ ლარად 12 ტონა საწვავი უნდა ეყიდა. ფაქტობრივად, საბოლოოდ ერთ ლიტრ საწვავში 1,13 ლარია გადახდილი, ამ დროს კი, დეპუტატები ეჭვობენ, რომ დიზელის საწვავი, რეალურად, გაცილებით იაფი - 97 თეთრი ღირს. მართალია, თავად დიზელის საწვავის მომწოდებლები ("ლუკოილი" და "კანარგო") აცხადებენ, რომ საწვავის შემოტანა 1,1-1,12 ლარად ხდებოდა, მაგრამ ვიცე-სპიკერის მიხეილ მაჭავარიანის ინფორმაციით, დიზელის შედარებით პატარა პარტიების შეძენა იმ დროისთვის, როცა შესყიდვა განხორციელდა, 1-1,15 ლარად იყო შესაძლებელი. მაჭავარიანი არ გამორიცხავს, რომ დიდი პარტიებისთვის კიდევ უფრო სოლიდური "დისქაუნთების" მოპოვება მთავრობას არ უნდა გასჭირვებოდა.

სხვათა შორის, დიზელის შესყიდვამდე ცოტა ხნით ადრე, საწვავის დიდი პარტიები აზერბაიჯან-საქართველოს საზღვარზე საკმაოდ ხანგრძლივად იყო გაჩერებული, რის გამოც, იმპორტიორებს ძველი კონტრაქტები დაერღვათ და, შესაბამისად, მათგან ამ საწვავზე ფასდაკლების მიღწევა, ალბათ, მართლაც არც ისე მიუწვდომელი ოცნება იქნებოდა.

ამასთან, დეპუტატების აღშფოთებას ისიც იწვევს, რომ დიზელის საწვავის შესყიდვა მთავრობამ ტენდერის გარეშე განახორციელა, რაც ფორს-მაჟორული სიტუაციით ახსნა. ბუნებრივია, დეპუტატებისთვის ეს განმარტება არც ისე დამაჯერებელი აღმოჩნდა, რადგან ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ხვნა-თესვის სეზონი მთავრობას ერთობ მოულოდნელად "წამოეწია". ასე კი, მოგეხსენებათ, არ ხდება - აგრარულ სამუშაოებს თავისი, საკმაოდ სტაბილური კანონები და ურღვევი ვადები აქვს.

დაბოლოს: ხელისუფლებამ შეძენილი საწვავი მოსახლეობას 20-20 ლიტრის ოდენობით დაურიგა. თუმცა, პარლამენტში და პრესაში გარკვეული ეჭვები ამ საკითხთან დაკავშირებითაც გამოითქვა.



*შესყიდვა გამჭვირვალედ განხორციელდა, - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.*

"დიზელის საქმეზე" პირველი ეჭვი იურისტმა თინა ხიდაშელმა გამოთქვა. ეჭვის საბაბად კი პრეზიდენტის განკარგულება იქცა, სადაც მიხეილ სააკაშვილი 12 მილიონი ტონა დიზელის საწვავის შემოტანისთვის კონკრეტული თანხის - 13 მილიონი ლარის გამოყოფას აწერს ხელს. ამ განკარგულებამ გამოიწვია ვარაუდი, რომ პრეზიდენტი შეცდომაში შეიყვანეს, რადგან თუ დოკუმენტის მომზადების დროს დიზელის საწვავი 1,13 ლარი ღირდა, ადვილი შესაძლებელი იყო, შესყიდვის მომენტისთვის ეს ფასი შეცვლილიყო.

ვინაიდან პრეზიდენტს ხელმოსაწერ განკარგულებებს უშუალოდ პრეზიდენტის ადმინისტრაცია აწვდის, დეპუტატმა შოთა გვენეტაძემ ქვეყნის პირველი პირის შეცდომაში შეყვანაში პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ირაკლი ჩუბინიშვილი დაადანაშაულა. ჩუბინიშვილის განცხადებით, მსგავს დოკუმენტებს ფინანსთა სამინისტრო ამზადებს და ეს დოკუმენტიც პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ჩეჩელაშვილის უწყების მიერ არის წარდგენილი. ფინანსთა მინისტრი კი განკარგულების მომზადებასა და შესრულებაზე პასუხისმგებლობას მთელ სამთავრობო გუნდს უნაწილებს.

თუმცა მთავრობა, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის სახით, მთავრობის მისამართით გამოთქმულ ყველა ბრალდებას უარყოფს. **"შერჩეულ იქნა საწვავის რეალური ფასი და შესყიდვაც გამჭვირვალედ განხორციელდა. ამიტომ, მთავრობა ამ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნების მიღებას არ აპირებს,"** - აცხადებს პრემიერ-მინისტრი.

# დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი 2005 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის მომხრეა

*გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას მხარი დაუჭირა. კომიტეტში მიიჩნევენ, რომ ცვლილებების პროექტი მისაღებია, თუმცა პრივატიზაციიდან თანხების მიღება გარკვეულ რისკ-ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამის გამო კომიტეტი მთავრობას საბიუჯეტო წინადადებებისთვის ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზის დართვასაც ურჩევს.*

მაია ურუშაძე

კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ლეკიშვილი მიიჩნევს, რომ გრძელვადიანი საპროგნოზო გეგმის არსებობა მთავრობას საშუალებას მისცემს, პარლამენტში ცვლილებების პაკეტებით ნაკლები ირბინოს. "აუცილებელია, ქვეყანაში საშუალო და გრძელვადიანი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზი არსებობდეს, ამის შემდეგ მაკროეკონომიკური პარამეტრების ხშირი ცვლილება ნაკლებად მოსალოდნელი იქნება," - აცხადებს ლეკიშვილი და იქვე, მთავრობას ურჩევს, მომავალში საბიუჯეტო ცვლილებებით პარლამენტს მხოლოდ მას შემდეგ მიმართოს ხოლმე, რაც ბიუჯეტში დამატებით შემოსავლებს რეალურად მიიღებს. საქმე ის არის, რომ კომიტეტს პრივატიზაციიდან შემოსული თანხების რეალურობაში, ცოტა არ იყოს, ეჭვი ეპარება. მით უმეტეს, რომ "საზღვაო სანაოსნოს" ვერა და ვერ ჩატარებული პრივატიზება ამ ეჭვებს საფუძველს კიდევ უფრო უმყარებს.

კომიტეტს შენიშვნები აქვს, აგრეთვე, გაზრდილი პარამეტრების გადანაწილების საკითხშიც. დეპუტატები მიიჩნევენ, რომ დამატებითი ნაღდი ფულის დიდი მასის არსებობის პირობებში, ეროვნული ვალუტის კურსზე ზრუნვა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, რათა ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური სტაბილურობა არ დაირღვეს.

2005 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სოლიდურ კომპონენტს - ენერგეტიკას რაც შეეხება, კომიტეტი მიიჩნევს, რომ ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ენერგეტიკის სფეროში თანხების დროულ გამოყოფას და ათვისებას. "ნოემბერსა და დეკემბერში სარემონტო სამუშაოების განხორციელება მიზანშეწონილი არ იქნება, ამიტომ დროულად უნდა მოხდეს ტენდერების გამოცხადება, რათა გაირკვეს ის კომპანიები, რომლებიც საბიუჯეტო თანხებს აითვისებენ," - განაცხადა ლეკიშვილმა.

კომიტეტმა ენერგეტიკის სამინისტროს დაპირებები ახალი აირტურბინული ენერგობლოკის ერთი წლის განმავლობაში აშენების შესახებ არარეალურად მიიჩნია. კომიტეტის წევრთა აზრით, ახალი სიმძლავრის აშენებას ისევ "თბილსრესის" მე-9 და მე-10 ენერგობლოკების რეზერვის ამოქმედება სჯობს, რომელიც ახალ მშენებლობასთან შედარებით, გაცილებით იაფია.

შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს მთავრობას, წლევანდელი ბიუჯეტიდან ამოღებული იქნეს ელექტროგენერაციის ახალი ობიექტების მშენებლობის თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული 30 მილიონი ლარი და ეს თანხები ენერგეტიკაში სხვა ღონისძიებებზე გადანაწილდეს.

# პურის ხარისხი თანდათან უარესდება

*უკვე რამდენიმე კვირაა, ხორბლისა და ფქვილის თემა სხვადასხვა სტრუქტურებში აქტიური მსჯელობის საგანია. ამ სფეროში დაკავებული ადგილობრივი მეწარმეები საქართველოს ხელისუფლებას ქმედითი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი წარმოების გაჩერებით იმუქრებიან. გუშინ, "საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციაში" შეკრებილი ბიზნესმენები და მთავრობის წარმომადგენლები ხორბლისა და ფქვილის ბიზნესში არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს ეძებდნენ.*

დიანა ჩაჩუა

იმპორტირებულ ფქვილზე ფიქსირებული გადასახადის დაწესებას და ფქვილის სტანდარტის განსაზღვრის ღონისძიებებს ითვალისწინებს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომელზეც ერთობლივი მუშაობა მეწარმეებმა, საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის ექსპერტებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქსტანდარტის წარმომადგენლებმა ერთობლივად დაიწყეს.

გუშინ, ბიზნესმენთა ფედერაციაში გამართული გაფართოებული სხდომის შემდეგ, ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროება საქართველოში თურქული ფქვილის ინტენსიური მოხმარებით არის განპირობებული.

როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ქართულ ბაზარზე შექმნილი სიტუაცია მხოლოდ პურის ქარხნებისთვის არის მომგებიანი, რადგან ისინი იმპორტულ, თუნდაც, უხარისხო და კონტრაბანდულ ფქვილს, გაცილებით იაფად ყიდულობენ. 1 ტონა თურქული ფქვილი 170 აშშ დოლარი ღირს, ხოლო ერთი ტონა ხორბალი - 180 აშშ დოლარი. ტონა ხორბლის გადამუშავებით 700 კილოგრამი ფქვილი მიიღება. მიუხედავად ამ ვითარებისა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პურის ხარისხის დაცემა პირველადი დანიშნულების პროდუქტს არ გააიაფებს.

ქვეყანაში მოქმედი წისქვილკომბინატების დაკვეთით იმპორტირებულ ფქვილზე კერძო ბიოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ იმპორტირებული ფქვილი დიდი რაოდენობით სოკოს შეიცავს, რომელმაც შეიძლება ონკოლოგიური დაავადებები გამოიწვიოს. **"მართალია, ფქვილში სოკო კატასტროფული ოდენობით არ არის, მაგრამ იგი დასაშვებ ზღვარზე მაღალია,"** - განაცხადა "კაჭრეთის" დამფუძნებელმა ირაკლი გელაშვილმა. თუმცა, ამ დასკვნას იურიდიული ძალა არ გააჩნია. ამის შესაძლებლობას მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ლიცენზირებული ლაბორატორია იძლევა, რომელიც საქართველოში არ არსებობს. ისაკაძეს მიაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარება საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ლაბორატორიის შექმნითაა შესაძლებელი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლის დავით კაჭარავას თქმით, მოქმედი ლაბორატორიების მოდერნიზებას 250 ათასი ლარი სჭირდება. **"ერთი ტონა ფქვილი 80 აშშ დოლარის ოდენობის ფიქსირებული საბაჟო გადასახადით უნდა დაიბეგროს, რათა თურქმა იმპორტიორებმა ინვოისში დაფიქსირებული დაბალი ტარიფის (170 აშშ დოლარი) შესაბამისად, საქართველოს საბაჟოზე იაფი განბაჟებით არ ისარგებლონ,"** - აცხადებდა კაჭარავა.

ინფორმაციისათვის, მოქმედი საგადასახადო რეჟიმით, იმპორტირებული თურქული ფქვილი 20-პროცენტიანი განაკვეთით იბეგრება, რასაც 20-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადი ემატება და სულ 74 ლარს შეადგენს.

ხორბლისა და ფქვილის ბიზნესში დაკავებული ბიზნესმენები, "საქსტანდარტთან" ერთად, ფქვილის სპეციალური სტანდარტის შემუშავებაზეც იზრუნებენ. როგორც "საქსტანდარტის" ხელმძღვანელმა მიხეილ ჯანიკაშვილმა განაცხადა, დღეს საქართველოში რუსული სტანდარტი მოქმედებს, რომელიც საერთაშორისო ნორმებს არ შეესაბამება. **"ჩვენ უნდა დავსხდეთ და ერთობლივად ისეთი სტანდარტი შევიმუშაოთ, რომელიც მისადაგებული იქნება როგორც რუსულ, ასევე ევროპულ სტანდარტებს. სტანდარტის მიღება ნაწილობრივ მაინც მოაგვარებს ხორბლისა და ფქვილის ბიზნესში არსებულ ურთულეს მდგომარეობას,"** - განაცხადა მიხეილ ჯანიკაშვილმა.

საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის მორიგი შეკრება ბიზნესფედერაციაში 10 დღეში გაიმართება.

# მისია შესრულებულია

*"სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის კრედიტის" ფარგლებში საქართველოში ჩამოსულმა მსოფლიო ბანკის მისიამ მუშაობა 16 მარტს დაასრულა, თუმცა შეხვედრები კვლავ გრძელდება. როგორც მსოფლიო ბანკში აღნიშნავენ, მათი მიზანი "სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის კრედიტის" სამუშაო პროგრამის საქართველოს მთავრობის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან უკეთ მისადაგებაა.*

მსოფლიო ბანკის განცხადებით, **"მიღწეულ იქნა შეთანხმება მთავარი პოლიტიკური საკითხების ირგვლივ."** კერძოდ, "სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის კრედიტი" საქართველოს მთავრობას შემდეგი მიზნების მიღწევაში დაეხმარება: 1. ანგარიშგების, ეფექტიანობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესება სახელმწიფო სექტორში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავებისა და ხარჯების მართვის საკითხებს, სახელმწიფო შესყიდვების სისტემას, ადგილობრივ მმართველობას და სახელმწიფო ადმინისტრაციას. ამ კომპონენტის საერთო მიზანი სახელმწიფო ანგარიშგების გაუმჯობესება და სახელმწიფო სამსახურების შესახებ ინფორმაციის უზრუნველყოფაა. 2. მომსახურების გაუმჯობესება ელექტროენერგიისა და გაზის სექტორში. კონსულტაციების შედეგად, საქართველოს მთავრობასთან მიღწეულ იქნა შეთანხმება ერთიანი სტრატეგიის შემუშავების შესახებ, ელექტროენერგეტიკის დარგში დაგროვილი ვალებისა და მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ამოღების პროცესთან დაკავშირებით. 3. გარემოს გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარებისათვის. მთავრობის წარმომადგენლებთან კერძო სექტორის განვითარების საკითხების შესახებ საუბრისას ყურადღება, ძირითადად, კომპანიებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებაზე გამახვილდა. 4. სოციალური დაცვის და მომსახურების გაუმჯობესება.

მისიის შეფასებით, მცირე დროის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა შეძლებს გრაფიკით გათვალისწინებული ვადების შესრულებას. საქართველო პირველი შეღავათების გადახდას 2005 წლის ნოემბერში დაიწყებს.

განათლების სფეროში საქართველოს მთავრობასა და მისიას შორის მიღწეულ იქნა ვრცელი შეთანხმება რეფორმის სტრატეგიის შესახებ, რომელიც ზოგადი განათლების სფეროს დაფინანსებას და განათლების დარგში მომსახურების ხარისხზე მონიტორინგის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ამასთან, მისია უკმაყოფილო იყო კორუფციასთან ბრძოლის საკითხებზე მუშაობაში სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მისია საქართველოს მთავრობას ურჩევს, ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფები "სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის კრედიტის" სამუშაო გეგმის განხილვის, ქმედითი თანამშრომლობისა და განხორციელების მიზნით.

*24 საათი*

# სლოვენიელები ქართული ბიზნესით ინტერესდებიან

### სლოვენია საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას აპირებს

*გუშინ, გამთენიისას, თბილისს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე და, მასთან ერთად, სლოვენიელი ბიზნესმენების დელეგაცია ეწვია. გუშინვე, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ინიციატივითა და ორგანიზებით, ისინი ქართველ კოლეგებს სასტუმრო "თორში" შეხვდნენ. ქართულ-სლოვენიური ბიზნეს-ფორუმი, ძირითადად, გაცნობით ხასიათს ატარებდა.*

მარიამ ჭაჭვაძე

გუშინდელი შეხვედრის შემდეგ გაირკვა, რომ სლოვენიელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, მშენებლობის სფეროებით და საბანკო სექტორით ინტერესდებიან.

ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და მსხვილი ინვესტიციების განხორციელების მიზნით, ფორუმზე სლოვენიური და ქართული კომპანიების პრეზენტაციებიც მოეწყო. ამის პარალელურად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა სლოვენიელ ბიზნესმენებს ახლად მიღებული საგადასახადო კოდექსი და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოც გააცნეს.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი რუპელმა, სლოვენიის ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის ხელმძღვანელებმა, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელმა დავით ნატროშვილმა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, "ცენტრ-პოინტის", "საქართველოს ბანკის", "თიბისი ბანკის", "საქართველოს ელექტროკავშირის", "საქართველოს ტელეკომის", ფარმაცევტული კომპანია "ავერსის", სამშენებლო კომპანია "აქსისისა" და სხვა ბიზნეს-კომპანიების წარმომადგენლებმა.

როგორც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს თავმჯდომარემ დავით ნატროშვილმა განაცხადა, გუშინდელი შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, გუშინვე **"მხარეებს შორის მნიშვნელოვანი კონტაქტი დამყარდა. სლოვენიელი ბიზნესმენები საქართველოში, ძირითადად, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, მშენებლობის სფეროებით და საბანკო სექტორით ინტერესდებიან,"** - აღნიშნა მან. მისივე თქმით, აღნიშნული ბიზნეს-ფორუმი სერიოზულ საფუძველს და წინაპირობას ქმნის ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და მსხვილი ინვესტიციებს მოზიდვისთვის.

სლოვენიის დელეგაციას თბილისში მათი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი რუპელი ხელმძღვანელობდა, რომელიც, ამავდროულად, ეუთოს მოქმედი თავმჯდომარეც არის.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გუშინდელ ფორუმში მონაწილეობას, ეკონომიკური განვითარების მინისტრის ნაცვლად, მისი მოადგილე თამარ კოვზირიძე ღებულობდა, რომლის თქმითაც, ფორუმის მთავარი მიზანი სლოვენიელებისათვის საქართველოს გაცნობაა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ამჟამად საქართველოში მეტად ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოა. **"უცხოელი ბიზნესმენებისთვის შეიძლება საინტერესო იყოს მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი, ტურისტული ინფრასტრუქტურა, სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის სფეროს პროექტები,"** - გვითხრა კოვზირიძემ.

# FBI-ის ექსპერტების დასკვნა ქართველი კოლეგებისას დაემთხვა

*FBI თითქმის ორი თვე მოუნდა იმ დასკვნის გამოტანას, რაც ქართველმა სამართალდამცველებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ცხედრის ნახვისთანავე დაადგინეს. ამერიკის სპეცსამსახურის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები იმ ვერსიის დამადასტურებელი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 3 თებერვალს, დილის რვის ნახევარზე აცნობა საზოგადოებას და, რომლის გარდა, სხვა ვერსიაზე ოფიციალურად საუბარი არც ყოფილა - ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზი უბედური შემთხვევაა.*

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ და საქართველოში FBI-ის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბრაიან პარმანმა ორენოვან ბრიფინგზე ორჯერ გაუმეორეს ჟურნალისტებს ერთი და იგივე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური გამოძიების ბიუროს ჩატარებული კვლევის პროცესში არ აღმოუჩენია რაიმე ისეთი, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა საქართველოს მთავრობის პირვანდელ დასკვნასთან იმის შესახებ, რომ ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის სიკვდილი გამოწვეული იყო გაზის გამათბობლის მოქმედების შედეგად გამოწვეული ნახშირჟანგით მოწამვლით.

უფრო კონკრეტულად კი, როგორც ცნობილია, FBI-ის ექსპერტებმა, საქართველოს მხარის თხოვნით, ჩაატარეს კომპლექსური ქიმიური, ბიოლოგიური და ბიოქიმიური ექსპერტიზა და ექსპერიმენტი იმ გაზის გამათბობელზე, რომელიც იმთავითვე პრემიერ-მინისტრისა და რაულ უსუპოვის სიკვდილის გამომწვევად მიიჩნიეს.

ბრაიან პარმანმა ჟურნალისტებს FBI-ის ექსპერტების მიერ ჩატარებული ექსპერიმენტის დეტალები მოახსენა. მისი თქმით, პრემიერის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში შემთხვევის ადგილზე ამერიკელი ექსპერტების მიერ უბედური შემთხვევის ინსცენირება ჩატარდა. ექსპერიმენტული კვლევების შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიკვეთა - პირველი ის, რომ გაზის გამათბობლის სავენტილაციო მოწყობილობა არასწორად იყო დამონტაჟებული; ასევე, შენობის ფანჯრები ჰერმეტულად იყო დახურული. შედეგად, ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ოთახში ჟანგბადის შემცველობის კლება ჯანმრთელობისთვის სახიფათო გახდა, რაც, თავისთავად, გამოიწვევდა სისხლში კარბოქსინ-ჰემოგლობინის კონცენტრაციის მომატებას. FBI-ის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ბინის შესწავლის დროს ადამიანის განზრახ მოწამვლის არანაირი ფაქტი არ არის აღმოჩენილი.

ექსპერიმენტის შედეგადვე დადგინდა, რომ ჰაერში მხუთავი აირის შემცველობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო დონეს 90 წუთში მიაღწევდა.



გენერალურ პროკურატურაში FBI-ს ექსპერტების დასკვნა გამოაქვეყნეს.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

გამათბობელზე ჩატარებული ექსპერიმენტის დეტალური აღწერა კი ასეთი გახლავთ: ექსპერიმენტის დაწყებისას ჰაერში ჟანგბადის შემადგენლობა დაფიქსირდა - 20.4 პროცენტი, ხოლო ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ჟანგბადმა იწყო კლება და მისი შემადგენლობა 18.4 პროცენტამდე დაიწია. ეს ცვლილება - 20.4 პროცენტიდან 18 პროცენტამდე - დაახლოებით, საათნახევარში მოხდა. ექსპერტების განმარტებით, ჟანგბადის შემცველობა ჰაერში ნორმალურად ითვლება, როდესაც ის 20.9 პროცენტს აღწევს. ამერიკული სტანდარტების მიხედვით, 19.5 პროცენტი, და ქვევით, ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უკვე სახიფათოა.

დასკვნა აქედან კი ასეთია: ჟანგბადის დონემ ექსპერიმენტის შედეგებით მიაღწია ისეთ ზღვარს, რაც, ჰაერის მახასიათებლების ამერიკული სტანდარტების თანახმად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშად ითვლება.

შესაბამისია FBI-ის ექსპერტების მიერ ჩატარებული კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც ბევრად არ განსხვავდება ქართველი ექსპერტების დასკვნისგან; კერძოდ, ამერიკელთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ზურაბ ჟვანიას სისხლში აღმოჩნდა კარბოქსიჰემოგლობინის კონცენტრატი 72 პროცენტის ოდენობით, ხოლო რაულ უსუპოვის სისხლში - 74 პროცენტის ოდენობით.

**"ბინაში გაზის გამათბობელი არასწორად იყო დამონტაჟებული. მას აკლდა სათანადო ვენტილაციის სისტემა ნამწვავი აირის გასაწოვად; ასევე, შესაძლებელი იყო ნამწვავი აირის უკან შემოტანა ცუდი ამინდის პირობებში. ექსპერიმენტის დროს დაფიქსირდა, რომ ნამწვავი აირი, ნაცვლად იმისა, რომ გარეთ გასულიყო, შეიწოვებოდა უკან, ბინაში. ასეთ პირობებში სრულიად შესაძლებელი იყო 3 თებერვალს ინციდენტის განვითარება"**, - ნათქვამია ფედერალური ბიუროს დასკვნაში.

მიუხედავად ამერიკელი და ქართველი ექსპერტების მოსაზრებების დამთხვევისა, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით 240 პრიმა მუხლით (ელექტრო ან თბოენერგიის - გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტების უსაფრთხოების წესების დარღვევა) აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება არ დასრულებულა. მისი თქმით, გამოძიება გაარკვევს, დადგება თუ არა იმ პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც საბურთალოს ქუჩის N53-ში მდებარე ბინაში გაზის გამათბობელი "ნიკალა" დაამონტაჟეს.

# იუსტიციის მინისტრის საკანონმდებლო ინიციატივები

*იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ, თანამდებობის პირთა ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის დეკლარაციების შევსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით, პრესკონფერენცია გამართა. იუსტიციის მინისტრის განცხადებით, დეკლარაცია უფრო ინფორმაციული გახდა, რაც საზოგადოებას საშუალებას მისცემს, ნათელი წარმოდგენა შეიქმნას მაღალი თანამდებობის პირების ქონებაზე.*

კონსტანტინე კემულარიას განცხადებით, 40 პროცენტით შემცირდა იმ თანამდებობის პირთა რიცხვი, რომელთაც ქონებრივი დეკლარაციის შევსება უწევთ. **"დეკლარაციის შევსება ევალებათ მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, მათ შორის - მინისტრებს, მოსამართლეებს, პროკურორებს. დეკლარანტთა რიცხვი სულ 2 ათასს შეადგენს"**, - აღნიშნა მან.

მინისტრის ინფორმაციით, საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, თანამდებობის პირი ვალდებულია, დეკლარაციას დაურთოს დეკლარირებული ქონებისა და ფინანსური რესურსების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და მიუთითოს მათი წარმომავლობა. წინა წლების დეკლარაციისგან განსხვავებით, თანამდებობის პირი ვალდებულია, ასახოს ოჯახის წევრების შრომითი ბიოგრაფია (სამუშაო ადგილის, დაკავებული თანამდებობის და მუშაობის დროის მონაკვეთის მითითებით); შეიტანოს დეკლარაციაში მისი და მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად ნივთის ღირებულებისა; ამასთან, დეკლარირებადი მოძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების ოდენობამ ხუთი ათასი ლარიდან ორი ათას ლარამდე დაიწია; დეკლარაციაში შეიტანება ნებისმიერი ოდენობის ნაღდი ფულის შესახებ მონაცემი (დღემდე დეკლარირებადი ზღვარი შეადგენდა ათას ხუთას ლარს); ასევე, დეკლარაციას, დოკუმენტის სახით, სავალდებულოდ უნდა ახლდეს არარეგისტრირებულად გასესხებული ან თანხის სესხის სახით მიღების წერილობითი დასტური; დეკლარაციაში აისახება თანამდებობის პირთა ან მათი ოჯახის წევრების მიერ განკარგვის უფლებით მიღებული ნებისმიერი უძრავი ან ორი ათას ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთი. ათას ხუთასი ლარიდან ათას ლარამდე შემცირდა დეკლარირებადი ხელშეკრულების საგნის ღირებულების ოდენობა.

**"იუსტიციის სამინისტრო არ შეეგუება იმ ვითარებას, როდესაც სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეები წლების მანძილზე დამკვიდრებული მანკიერი სქემებით ცდილობენ ტენდერში გამარჯვებას"**, - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა, რომლის ინფორმაციითაც, იუსტიციის სამინისტრომ სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შეძენაზე ტენდერი გამართა. ტენდერი ბევრი მიმართულებით წარმატებულად ჩატარდა, თუმცა ზოგიერთი ლოტი ჩაშლილად გამოცხადდა.

"ისეთ სერიოზულ სატენდერო განაცხადზე, როგორიც საწვავის შეძენაა, სამინისტროს სატენდერო კომისიაში მხოლოდ ერთი განცხადება შემოვიდა. როგორც ჩანს, კომპანიებს შორის ხდება "გარჩევები", რის შემდეგაც მათგან მხოლოდ ერთი მონაწილეობს ტენდერში. ეს საკითხი მთავრობის სხდომაზე საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება", - განაცხადა კოტე კემულარიამ.

მისივე თქმით, საწვავის შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილე კომპანიის პროდუქცია დაბალხარისხიანი იყო და ამიტომ, ტენდერი ჩაიშალა.

ასეთივე ბედი ეწია ავტოტექმომსახურებასთან დაკავშირებულ ტენდერსაც.

**"მოვუწოდებ ყველა ბიზნესმენს, კეთილსინდისიერი გზით მიიღონ მონაწილეობა ხელახალ ტენდერში, სადაც კონკურენტულ გარემოში გამოვლინდება გამარჯვებული"**, - ურჩევს ბიზნესმენებს იუსტიციის მინისტრი.

# სასამართლო რეფორმის "დასკვნითი ეტაპი" დასკვნითი ეტაპისკენ მიდის

*ცვლილებები, რასაც არც ისე დიდი ხნის წინ სასამართლო რეფორმის დასკვნითი ეტაპი ეწოდა, დღეს კიდევ ერთხელ გაახმოვანეს ახლა უკვე უზენაესი სასამართლოს მორიგმა თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა და იუსტიციის საბჭოს ახალმა მდივანმა ვალერი ცერცვაძემ.*

ჯერ კიდევ მაშინ, როცა უზენაეს სასამართლოს კოტე კემულარია, იუსტიციის საბჭოს კი - პალიკო კუბლაშვილი ედგნენ სათავეში, დღის წესრიგში დადგა სასამართლო სისტემაში სერიოზული გადატრიალების მოხდენა. თუმცა, კოტე კემულარიას დროს ეს არ მოხერხდა, რადგანაც გარკვეული წინააღმდეგობები წარმოიშვა მასა და იუსტიციის საბჭოს მაშინდელ მდივანს - უზენაესი სასამართლოს ამჟამინდელი თავმჯდომარის ძმას შორის.

იმდროინდელი უთანხმოებები დღეს აღარ არის აქტუალური და კოტე კუბლაშვილიც საკანონმდებლო ინიციატივით მიმართავს საქართველოს პარლამენტს. ცვლილებების შინაარსი კი ყველასათვის ცნობილია - საქართველოს სასამართლო სისტემის რეფორმირების შემდეგ უზენაესი სასამართლო პირველი ინსტანციის საქმეებს აღარ განიხილავს და მხოლოდ საკასაციო ფუნქციები შეუნარჩუნდება. პირველი ინსტანციის საქმეთა განხილვის ფუნქცია აღარც საოლქო სასამართლოებს ექნებათ და მათ მხოლოდ სააპელაციო ინსტანციის სტატუსი შეუნარჩუნდებათ.

როგორც კოტე კუბლაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, პირველი ინსტანციის საქმეების განხილვა მხოლოდ რაიონულ სასამართლოებში მოხდება. **"ამავე რეფორმის ფარგლებში რაიონული სასამართლოების გამსხვილებაც იგეგმება. შეიქმნება 15-16 გაერთიანებული სასამართლო"**, - განაცხადა კუბლაშვილმა.

იმისათვის, რომ სასამართლოების გამსხვილებამ, რაც სასამართლოთა გაერთიანების ხარჯზე მოხდება, სასამართლოს ხელმისაწვდომობას არ მიაყენოს ზიანი, კვლავაც ძალაშია იდეა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შექმნის შესახებ, თუმცა თავად ტერმინი, მოძველებულობისა და თვით ფუნქციებთან შეუსაბამობის გამო, ტრანსფორმაციას განიცდის. შესაბამისად, რაიონებში იქნებიან მოსამართლეები, რომლებიც ნაკლები სიმძიმის საქმეებს განიხილავენ.

რეფორმის ფარგლებში მოხდება მოსამართლეების სპეციალიზაციაც, რასაც თავის დროზე კოტე კემულარია ეწინააღმდეგებოდა. კერძოდ, კოტე კუბლაშვილის თქმით:

**"მოსამართლეთა ერთი ჯგუფი სამოქალაქო საქმეებზე იმუშავებს, მეორე - სისხლის სამართლის, ხოლო მესამე - ადმინისტრაციულ სფეროში"**.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი სიახლე გახმოვანდა - კერძოდ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თქმით, არათუ მოსამართლეთა შემცირება იგეგმება, არამედ, პირიქით - დღეისათვის საქართველოში მოსამართლეთა რიცხვი საკმარისი არ არის და ამიტომ ივნისში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარდება. **"გამოცდები მაქსიმალურად გამჭვირვალე, ობიექტური და რთული იქნება"**, - ამბობს კოტე კუბლაშვილი და ამ გზით აპირებს სასამართლო სისტემაში კვალიფიციური ახალგაზრდა იურისტების მიზიდვას.

იუსტიციის საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის თქმით, გამოცდების პირველი ეტაპი 11 ივნისს დაიწყება, მეორე - 18 ივნისს, მსურველთა საბუთების მიღება გამოცდებამდე 25 დღით ადრე დაიწყება და ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რეფორმის განხორციელება უზენაესი სასამართლოდან დაიწყება, ქვემდგომ რგოლებს კი ცვლილებები, სავარაუდოდ, 2006 წლის დასაწყისში შეეხებათ.

პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტების დამტკიცებას, სავარაუდოდ, ერთი თვე დასჭირდება.

*24 საათი*

## მოკლედ

### ელგუჯა ჭამბურიას წელიწადი და სამი თვით პატიმრობა მიესაჯა

წელიწადი და სამი თვით პატიმრობა - ეს განაჩენი გამოუტანა უზენაესმა სასამართლომ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილ უფროსს ელგუჯა ჯამბურიას. სასჯელის ვადა დაკავების დღიდან აითვლება. ვინაიდან ჯამბურიას სასჯელის ზომის დიდი ნაწილი უკვე მოხდილი აქვს, იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებას რამდენიმე თვეში დატოვებს. რეგიონის პოლიციის ყოფილ უფროსს მხოლოდ ექვსი თვე მოუწევს ციხეში ყოფნა. ელგუჯა ჯამბურია თავს დამნაშავედ არც განაჩენის გამოტანის შემდეგ ცნობს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსი ელგუჯა ჯამბურია გენერალურმა პროკურატურამ დაკითხვის შემდეგ დააკავა. სამართალდამცველები ტრადიციული მოტივით - გამოძიების ინტერესების მოშველიებით, საქმის დეტალებზე კარგა ხნის განმავლობაში არ საუბრობდნენ. თუმცა, ბოლოს გაირკვა, რომ თბილისში ცნობილ პოლიციელს ერთ-ერთი საქმის გამოძიებისას პროცესუალური ნორმების დარღვევას ედავებოდნენ. საუბარია, ბულგარელების დაყაჩაღების საქმის "გაფუჭების" მიზნით, მტკიცებულების განადგურებაზე.

ელგუჯა ჯამბურიასთვის წაყენებული ბრალდება - თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება - სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ყოფილი პოლიციელისთვის წაყენებული მუხლი მძიმე დანაშაულის კატეგორიას არ განეკუთვნებოდა.

პროკურატურის ბრალდებით, ჯამბურიამ 2002 წლის 22 ნოემბერს ფოთში არსებული ბულგარეთის საკონსულოს შენობაში ისეთი საგამოძიებო მოქმედებები გაატარა, რის უფლებაც, პროკურატურისა და კონსულის ნებართვის გარეშე, არ ჰქონდა.

*24 საათი*

### ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ნარკოლოგიური შემოწმება უტარდებათ

ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის ინიციტივით, გუშინ დილიდან ნარკოლოგიური შემოწმება თბილისის საგამოძიებო და ოპერატიული სამმართველოების 250-მდე თანამშრომელმა გაიარა. ტესტი უკვე ჩააბარა თავად უწყების ხელმძღვანელმა. წინასწარი მონაცემებით, შვიდ თანამშრომელს სისხლში ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდა. ისინი გადაყვანილი არიან ნარკოლოგიურ დისპანსერში, სადაც დამატებით შემოწმებას გაივლიან.

როგორც დავით კეზერაშვილი აცხადებს, ყველა პირი, ვისაც ნარკოტიკების მოხმარება დაუდგინდება, სამსახურიდან გათავისუფლდება.

ნარკოლოგიური შემოწმების საბოლოო შედეგები სამ დღეში გახდება ცნობილი. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს ნარკოლოგიური შემოწმება ხუთი თვის წინაც ჩაუტარდათ. განმეორებითი შემოწმება ცოტა ხნის წინ ატეხილ სკანდალს უკავშირდება, როდესაც შინაგან საქმეთა სამინსტროს ერთ-ერთმა თანამშრომელმა საიდუმლო სატელეფონო ჩანაწერები გამოაქვეყნა და ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ნარკომანიაში დაადანაშაულა.

*ინტერ-პრესი*

# ომბუდსმენი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ევროპაში ომბუდსმენის ინსტიტუტის ჩამოყალიბების 50 წლისთავთან დაკავშირებით დანიაში გაემგზავრა. კოპენჰაგენში გამართულ ევროპის სახალხო დამცველთა შეხვედრაზე სოზარ სუბარი სიტყვით გამოვა და მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობას. ამასობაში კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო სოზარ სუბარის სარჩელს განიხილავს, რომელიც მან ამავე სასამართლოს თავმჯდომარის მამუკა სონღულაშვილის წინააღმდეგ შეიტანა. ომბუდსმენი სონღულაშვილს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში, კერძოდ, საჯარო ინფორმაციის დაფარვაში ადანაშაულებს და მისთვის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გათვალისწინებით, საჯარიმო სანქციის დაკისრებას მოითხოვს.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, 14 თებერვალს სოზარ სუბარმა მამუკა სონღულაშვილს წერილობით მიმართა და სთხოვა, მიეწოდებინა 2004 წელს ალმკვეთ ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების შესახებ პროკურატურიდან შემოსული შუამდგომლობების თაობაზე მასალები და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების ქსეროასლები. თუმცა, სონღულაშვილმა სახალხო დამცველის აპარატს აღნიშნული დოკუმენტაცია არ მიაწოდა.

"სონღულაშვილმა დაარღვია საქარველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რითაც არსებითად შეუშალა ხელი ორგანიზაციას, შეეფასებინა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ქვეყანაში რეალურად არსებული მდგომარეობა", - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატში.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი.................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.................................................

საკონტაქტო ტელეფონი.................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის ანალიზი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ევროკომისიის მიერ დაფინანსებული "ადგილობრივი მმართველობა ხალხის სამსახურში" პროექტის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისის ბიუჯეტის მონიტორინგს. ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 2005 წლის ბიუჯეტის ანალიზი და მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე თარგმნა, ანუ ჩვენ შევეცდებით, ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, პრიორიტეტები მივაწოდოთ მოსახლეობას მათთვის გასაგებ ფორმაში, რადგან მიგვაჩნია, რომ უნდა გაიზარდოს მოსახლეობაში ბიუჯეტის (მოსახლეობის მიერ გადახდილი გადასახადების) შესახებ ინფორმირებულობა. ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში უკვე გამოიცა 2004 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტის ანალიზი, ახლა კი გთავაზობთ დედაქალაქის 2005 წლის ბიუჯეტის ანალიზს.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუჯეტის, როგორც ნორმატიული აქტის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით. კერძოდ, კონსტიტუციაში ნათქვამია: "საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს."

ბიუჯეტების გამჭვირვალობას ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად აღიარებს საბიუჯეტო სისტემების შესახებ კანონიც, სადაც მე-4 მუხლის ბ პუნქტში ნათქვამია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა დაიცვან "ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის."

ამასვე ადასტურებს საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ: "მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან ... წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა გადაწყვეტილებების პროექტებს, მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში, მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და მათი საჯარო განხილვა" (მუხლი 3, პუნქტები ა, გ).

წინა წლების გამოცდილებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტის თუნდაც გავრცელებისა და საჯაროობის შემთხვევაში, არათუ უბრალო მოქალაქესათვის, არამედ საბიუჯეტო სექტორის სპეციალისტისთვის შეუძლებელი იყო რეალური ბიუჯეტის პრიორიტეტების დადგენა.

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2004 წლის 18 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, "ქ. თბილისის ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, მიღებისა და შესრულების დროებითი წესის შესახებ" 2004 და 2005 წლის ბიუჯეტები წინა წლებთან შედარებით განსხვავებული წესით და ფორმით უნდა შემდგარიყო. მიზეზად დასახელდა, რომ არსებული წესი ვერ აკმაყოფილებდა ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯების პროგრამული დაფინანსების პრინციპებზე გადასვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ქალაქის საკრებულომ აგრეთვე დაამტკიცა "ქ. თბილისის ბიუჯეტის (საქალაქო, რაიონული და დაბა წყნეთის) მიზნობრივი პროგრამის შედგენის, კვარტალური და წლიური ანგარიშგების წარმოების ინსტრუქცია."

ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამა არის ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების წინასწარ შემუშავებული გეგმა. მიზნობრივი პროგრამა მიზნად ისახავს ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების ეფექტიანობის გაზრდას.

წინა წლების ბიუჯეტი წარმოადგენდა რიცხვების ცხრილურ ფორმაში გადატანას, სადაც არ იყო განსაზღვრული თუ კონრეტულად რომელი პრობლემის რა დონეზე გადაწყვეტას ემსახურება ეს თანხა. ანუ არ იყო განსაზღვრული მიზანი და ამოცანები, დროში განაწილება.

ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ 2004 წლის და შემდგომი წლების ბიუჯეტის ყველა ხარჯი წარმოდგენილი უნდა იქნეს მიზნობრივი პროგრამის სახით, გარდა მხარჯავი დაწესებულებების ადმინისტრაციული ხარჯებისა.

აქედან გამომდინარე, პროგრამები ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილი გახდა და ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამებთან ერთად მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქ. თბილისის ბიუჯეტის პარამეტრების საგრძნობი ზრდის მიუხედავად, ეს ინსტრუქცია არ დაცულა და ბიუჯეტი პროგრამების გარეშე გამოქვეყნდა, ანუ განუსაზღვრელია მიზნები და ამოცანები, საქმიანობების დროში განაწილება და ამ ინსტრუქციით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

### ქ. თბილისის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და პრიორიტეტები

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის შემოსულობები პროგნოზირებულია 422 805 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- საგადასახადო შემოსავლები.................394 500 ათასი ლარი
- არასაგადასახადო შემოსავლები ............11 720 ათასი ლარი
- შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან68 510 ათასი ლარი
- სხვა შემოსავლები......................................8 075 ათასი ლარი




წინა წლის, ანუ 2004 წლის თბილისის ბიუჯეტში შემოსულობები პროგნოზირებული იყო 313 412 ათასი ლარის ოდენობით (ცვლილებების გარეშე):

- საგადასახადო შემოსავლები.................299 881 ათასი ლარი
- არასაგადასახადო შემოსავლები ...........7 810.2 ათასი ლარი
- შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან63 650 ათასი ლარი
- სხვა შემოსავლები......................................2 070 ათასი ლარი




2005 წელს წინა წელთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები გაიზარდა 31,55%-ით, არასაგადასახადო შემოსავლები 50,06%-ით; შემოსავლები კაპიტალური ოპერაციებიდან 133,15%-ით. ჯამში პროგნოზირებულმა შემოსულობებმა 2005 წელს წინა წელთან შედარებით 34,9%-ით მოიმატა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს თბილისის ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერი, თუმცა მოხდა გადასახადების განაწილების ნორმატივების ქალაქის ბიუჯეტის სასარგებლოდ ზრდა. მიღებული იქნა ახალი კანონი "საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის გადანაწილების შესახებ."

ქ. თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გასული წლის დამტკიცებულ დონესთან შედარებით 109393 ათასი ლარით იზრდება და 422805 ათასი ლარს აღწევს.

ბიუჯეტის ზრდის ნაწილი საერთო დანიშნულების მომსახურების ხარჯების ზრდაა, ანუ მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების მნიშვნელოვანი ზრდა, რის შედეგადაც ქ. თბილისის თვითმმართველობისა და მმართველობის საბიუჯეტო დაწესებულებების მომსახურეთა შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტში, დედაქალაქის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, გასულ წელთან შედარებით სფეროებზე ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ქალაქ თბილისის 2005 წლის ბიუჯეტის ხარჯები სტრუქტურულად შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

| | |
|---|---|
| სამოქალაქო თავდაცვა | 7631.8 ათასი ლარი |
| საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა | 26310.0 ათასი ლარი |
| განათლება | 49393.3 ათასი ლარი |
| ჯანმრთელობის დაცვა | 19656.8 ათასი ლარი |
| სოციალური უზრუნველყოფა | 72899.5 ათასი ლარი |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 187782.3 ათასი ლარი |
| საქმიანობა კულტურის სფეროში | 13377.7 ათასი ლარი |
| საქმიანობა [illegible] სფეროში | 8355.7 ათასი ლარი |
| [illegible] მომსახურება | 380 ათასი ლარი |
| ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება | 9642 ათასი ლარი |
| მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან | 4605.4 ათასი ლარი |




### განათლება

2005 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტში განათლების სფეროზე დაგეგმილი ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული:

მთლიანი ხარჯი შეადგენს 49 393.3 ათას ლარს და იგი წინა წლის ბიუჯეტში ამ სფეროზე გათვალისწინებულ ხარჯებზე 5060.6 ათასი ლარით ნაკლებია (კლება 10,24%).

- მიმდინარე ხარჯები.............................. 48 393.3 ათასი ლარი
- კაპიტალური ხარჯები ...........................1000.0 ათასი ლარი

მომუშავეთა რიცხვი 2004 წლიდან 2005 წლისათვის 24257-დან 23318-მდე შემცირდა.




### ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

2005 წელს ქ. თბილისის ბიუჯეტში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროზე დაგეგმილი ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული.

მთლიანი ხარჯი შეადგენს 92556,3 ათას ლარს, საიდანაც:

- ჯამრთელობის დაცვის ხარჯები .........19656.8 ათასი ლარი
- სოციალური უზრუნველყოფა..............72899.5 ათასი ლარი

იგი წინა წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს 3799.1 ათასი ლარით აღემატება.

**სპორტი და კულტურა**

მიმდინარე წლის ქ. თბილისის ბიუჯეტში კულტურისა და სპორტის ღონისძიებების ხარჯები შემდეგნაირადაა გათვალისწინებული: მთლიანობაში დაგეგმილი ხარჯები 2005 წელს შეადგენს 21733.4 ათას ლარს. გასული 2004 წლის განმავლობაში დაგეგმილ ხარჯებს ეს ხარჯები აღემატება 2178.8 ათასი ლარით (11.14%-ით მეტი).

- მიმდინარე ხარჯები.................................18 634.4 ათასი ლარი
- კაპიტალური ხარჯები...............................3099 ათასი ლარი

**საბინაო-კომუნალური მეურნეობა**

2005 წლის ქ. თბილისის ბიუჯეტით საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხარჯების მუხლით განისაზღვრა 187782.3 ათასი ლარი. აქედან საბინაო მშენებლობასა და კომუნალურ განვითარებაზე 62232.0 ათასი ლარი, ანუ 22737.7 ათასი ლარით მეტი ვიდრე 2004 წელს. კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2004 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 125550.3 ათასი ლარი, ანუ 70667.8 ათასი ლარით მეტი ვიდრე წინა წელს (ზრდა 128,76%).

კეთილმოწყობის ღონისძიებების სტრუქტურა შემდეგნაირია:

- მიმდინარე ხარჯები.................................42760.3 ათასი ლარი
- კაპიტალური ხარჯები..............................82790.0 ათასი ლარი

წელს ქალაქ თბილისის რაიონული ბიუჯეტების შემოსავლების სახით განისაზღვრა 52422,6 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის რაიონების მიხედვით განსაზღვრული ხარჯები შემდეგნაირად გამოიყურება:

გლდანი-ნაძალადევის რაიონი.................11 051,5 ათასი ლარი
დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი.....................9 546,9 ათასი ლარი
მთაწმინდა-კრწანისის რაიონი..................9 187,1 ათასი ლარი
ვაკე-საბურთალოს რაიონი .......................10 277,5 ათასი ლარი
ისანი-სამგორის რაიონი ...........................11 449,8 ათასი ლარი
დაბა წყნეთი ...................................................909,9 ათასი ლარი







გლდანი-ნაძალადევის რაიონის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი წინა წელთან შედარებით 1438,4 ათასი ლარით გაიზარდა და 11 051,5 ათასი ლარი შეადგინა (2004 წელს ამ რაიონის ბიუჯეტი 9 613,1 ათას ლარს შეადგენდა).

ხარჯების პროცენტული სტრუქტურა შემდეგნაირია: ყველაზე მეტი წილი აქვს საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე გაწეულ ხარჯებს - 6 817 ათასი ლარი, შემდეგ მოდის სოციალური უზრუნველყოფა - 2 990,2 ათასი ლარი; შემდეგ უკვე მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1 062,4 ათასი ლარი, მომსახურება რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან - 100,8 ათასი ლარი და სამოქალაქო თავდაცვა 81,1 ათასი ლარი.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები 2005 წელს წინა წელთან შედარებით 1731,1 ათასი ლარით გაიზარდა და 9 546,9 ათასი ლარი შეადგინა (2004 წელს ამ რაიონის ბიუჯეტი მხოლოდ 7 815,8 ათასი ლარი იყო).

პროცენტულად ყველაზე დიდი წილი მოდის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 6 253 ათასი ლარი და სოციალურ უზრუნველყოფაზე - 2 023,7 ათასი ლარი. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გამოყოფილია 1 059,4 ათასი ლარი, მომსახურებაზე რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან - 141,5 ათასი ლარი, ხოლო სამოქალაქო თავდაცვაზე კი - 69,2 ათასი ლარი.




მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ბიუჯეტის ხარჯები წელს წინა წელთან შედარებით 1735,8 ათასი ლარით გაიზარდა და 9 187,1 ათასი ლარი შეადგინა (2004 წელს ამ რაიონის ხარჯები 7 451,3 ათასი ლარი იყო).

ყველაზე დიდი წილი - 6 470 ათასი ლარი ამ რაიონშიც საბინაო-კომუნალურ მეორნეობაზე და სოციალურ უზრუნველყოფაზე - 1 549,8 ათასი ლარი მოდის, საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე - 981,1 ათასი ლარი, მომსახურებაზე რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან - 126 ათასი ლარი და სამოქალაქო თავდაცვაზე კი - 60,2 ათასი ლარი.




ვაკე-საბურთალოს რაიონის 2005 წლის ბიუჯეტის ფარგლებში განსაზღვრული ხარჯების მოცულობა 1 835,5 ათასი ლარით აღემატება ამავე რაიონის 2004 წლის ხარჯებს და 10 277,5 ათას ლარს შეადგენს (შარშან ეს ხარჯები 8 442 ათასი ლარი იყო).

ვაკე-საბურთალოს რაიონში განსაზღვრული ხარჯებიდან საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე მოდის 6 620 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვაზე და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე კი - 2 395,1 ათასი ლარი. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე ამ რაიონში განსაზღვრულია 1 046,2 ათასი ლარი, მომსახურებაზე რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან - 143 ათასი ლარი, ხოლო სამოქალაქო თავდაცვაზე - 73,1 ათასი ლარი.







ისანი-სამგორის რაიონის ხარჯები, რომლებიც განისაზღვრა 2005 წლის ბიუჯეტით, 1271,6 ათასი ლარით მეტია, ვიდრე წინა წელს ამავე რაიონში (10 178,2 ათასი ლარი) და 11 499,8 ათას ლარს შეადგენს.

ისანი-სამგორის რაიონშიც განსაზღვრული ხარჯების უდიდესი წილი მოდის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 7 480 ათასი ლარი და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე - 2 669,8 ათასი ლარი. შემდეგ უკვე მოდის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 1 090 ათასი ლარი, მომსახურებაზე რომელიც არ არის დაკავშირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციის ხარჯების სხვა ძირითად განყოფილებებთან - 131,9 ათასი ლარი და სამოქალაქო თავდაცვაზე კი - 78,1 ათასი ლარი.

### ეს საინტერესოა!

**ქალაქ თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა:**

.. . **პუნქტი 14.** ქ. თბილისის ბიუჯეტზე მყოფ განათლების დაწესებულებებში 2005 წლის განმავლობაში ბავშვთა კვების დღიური ნორმა განისაზღვროს:

- სკოლამდელ დაწესებულებებში 1 ლარი და 15 თეთრის ოდენობით
- სადღელამისო ბავშვთა სახლებში (9 წლიანი სკოლა ინტერნატი, მიუსაფარ ბავშვთა სახლი "ლამპიონი", საკორექციო ბაღი "მომავლის სახლი") - 2 ლარი, ლოგოპედიურ ბაღში 1 ლარი და 20 თეთრი, წყნეთის ბავშვთა სახლში - 2 ლარი და 20 თეთრი.

სკოლამდელი დაწესებულებების მშობელთა შენატანი 25 თეთრი დღეში (თვეში 5,40 ლარი) ჩაირიცხოს ქ. თბილისის ბიუჯეტში განათლების სფეროში მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლების ანგარიშზე.

მშობელთა შენატანებიდან განთავისუფლდნენ მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი და ლტოლვილთა ოჯახები.

**პუნქტი 15.** 2005 წლის განმავლობაში გაგრძელდეს თბილისის ბიუჯეტზე მყოფი განათლების ზოგადსაგანმანათლებლო, კულტურის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების პედაგოგიური პერსონალის ხელფასზე დანამატი 10 ლარის, დანარჩენი პერსონალის 8 ლარის, კლასის ხელმძღვანელობის 8 ლარის, სკოლის დირექტორობისა და განათლების სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გამგეებისათვის დანამატი 10 ლარის, კულტურის დაწესებულებათა დანარჩენი პერსონალის და სპორტის დაწესებულებების პერსონალისათვის ხელფასზე თვეში 4 ლარის ოდენობით.

**პუნქტი 16.** 2005 წელს რაიონული გამგეობების ბიუჯეტებიდან გაგრძელდეს: უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების (მათ შორის დევნილი ოჯახების) სოციალური დახმარების პროგრამის დაფინანსება. მათ შორის:

ა) მარტოხელა, არამომუშავე პენსიონერთა ორ და მეტსულიანი ოჯახებისათვის 35 ლარით;

ბ) დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის მეურვის შრომის უნარიანობის მიუხედავად ერთ პირზე 22 ლარით;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, არამომუშავე პირველი ჯგუფის ინვალიდ უსინათლოსათვის ერთ პირზე 22 ლარით;

დ) 18 წლამდე ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ბავშვთათვის ერთ პირზე 22 ლარით;

ე) მრავალშვილიანი ოჯახებისათვის, რომელთაც ჰყავთ შვიდი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი 35 ლარით;

ვ) 3, 4, 5 და 6 არასრულწლოვან შვილიანი და მარტოხელა დედების დახმარება თვეში თითოეულ ბავშვზე 5 ლარის ოდენობით;

ზ) დახმარების გაწევა ყოველ ახალშობილზე 50 ლარის ოდენობით;

თ) უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების, აგრეთვე პერსონალურ პენსიონერებზე მეტროპოლიტენით (თვეში 5 ლარი) და ობოლი (უდედმამო) ბავშვების მეტროპოლიტენით, ტრამვაით, ტროლეიბუსით და ავტობუსით მგზავრობისათვის (თვეში 7 ლარი) გამოყოფილი კომპენსაციების გაცემა;

ი) უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო სასადილოებით მომსახურება.

უმწეო მოქალაქეთა უფასო სასადილოებით სარგებლობის ნორმა მომსახურების ჩათვლით დღეში ერთ კაცზე გაიზარდა 10 თეთრით და განისაზღვროს 75 თეთრის ოდენობით, ამასთან უფასო სასადილოებით უზრუნველყოფილი იქნება უმწეო მოქალაქეთა ყოველდღიური მომსახურება;

კ) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის განთავისუფლება მოსახლეობის საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის ხარჯებისაგან ამ მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

**პუნქტი 17.** სოციალურ საკითხებზე დასაქმებული მუშაკების ხელფასზე დანამატი 2005 წლის 1 იანვრიდან განისაზღვროს 40 ლარის ოდენობით.

**გამოქვეყნდა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ**

**"ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთში" ფინანსური მხარდაჭერით**

საზოგადოებასთან კონფლიქტში



B2

არასალიდერო ტიპი



B3

კახა ცხადაძე - „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი



B5

# პრინცი გურიელი

## შეკოწიწებული ისტორია

თამარ ბაბუაძე

არჩილ ჭყონია - ეს სახელი და გვარი დღეს რამდენიმე ძველ ოჯახში იციან. 80-იოდე წლის წინ კი მას პრინცი გურიელის სახელით მთელ ევროპულ და ამერიკულ შემოქმედებით ბოჰემაში იცნობდნენ. ერთხელ მოხდა ასეთი ამბავიც: მადრიდთან ახლოს სალვადორ დალის ვილას ორი ქართველი სტუდენტი უტრიალებდა. ბიჭები მაღალი გალავნის მიღმა ამაოდ ცდილობდნენ მხატრის დანახვას. უცნობები დალის მეუღლემ, გალამ შენიშნა, გამოელაპარაკა, რატომღაც კარგ თვალზე შეხედა და შინ შეიყვანა. საიდან ხართო, - დაინტერესდა დალი. ქართველები ვართო, - უპასუხეს სტუდენტებმა. მე ქართველი მეგობარი მყავდაო, პრინცი გურიელი. არ ვიცი, სად არის დაკრძალული, მაგრამ თქვენ იქნებ მიაგნოთ და აი, ეს წაიღეთო, - თქვა დალიმ, მერე თავისი ხელით მოწყვიტა ბაღში შავი ვარდი და ქართველებს თბილისში გამოატანა...

ეს ამბავი სხვა არანაკლებ საინტერესო დეტალებთან და უნიკალურ ფოტოებთან ერთად ლეგენდად ინახება ქალბატონ ნინა ალექსი-მესხიშვილის ოჯახში. პრინცი გურიელი, იგივე არჩილ ჭყონია ქალბატონი ნინას ბებიის ძმა იყო. ბაბუის შესახებ გაცილებით უფრო მეტის ცოდნაც შეიძლებოდა, მაგრამ რკინის ფარდის მიღმა ამოგმანულ რეალობაში არჩილ ჭყონიას თავგადასავლები ამერიკიდან იშვიათად აღწევდა. "ავსტრალიაში წავიდა", "პარიზში გადავიდა", "კოსმეტიკის მილიარდიანი იმპერიის დედოფალი ჰელენა რუბინშტაინი გაიცნო", "ჰელენაზე იქორწინა", "ნიუ იორკშია", "დალის დაუმეგობრდა" - ასეთი ლაკონიური ფრაზებით აღწევდა თბილისში ამბები, რომელთა გავრცობაც რომ მოხერხდეს, ერთი კარგი რომანიც დაიწერებოდა ქართველი დიდგვაროვანის შესახებ, რომელიც იღბლიან ვარსკვლავზე დაიბადა, სწავლა და მუშაობა არ ინება, მაგრამ მაინც პრინცივით იცხოვრა, საუკუნის ლეგენდებთან იმეგობრა და ასევე საუკუნის ერთ-ერთი უძლიერესი ქალბატონი გააბედნიერა.

ინფორმაციული დეფიციტის შევსება არჩილ ჭყონიას შესახებ ისევ ამ ქალბატონის წყალობით შეიძლება. ჰელენა რუბინშტაინის ცხოვრებას ხომ დეტალურად აღწერენ ისტორიკოსები, მის შესახებ არსებობს დოკუმენტური ფილმებიც, მოგონებებიც და საჟურნალო პუბლიკაციებიც.

ამ წერილებს და ფილმებს არ შორდება ზღაპრის ტონი. ისტორიკოსები შთაგონებული სახით ჰყვებიან მითს იმის შესახებ, თუ როგორ იქცა კრაკოველი ებრაელი გოგონა კოსმეტიკური სამყაროს დედოფლად და თუ როგორ გახდა უგვირგვინო პრინცესა ტიტულითაც პრინცესა.

იმპერიას იმ პერიოდში ეყრებოდა საფუძველი, როცა მაკიაჟს ქალები მხოლოდ სცენაზე ხმარობდნენ. ჰელენამ კი დეტალურად შეისწავლა ქალის კანი, პრობლემური კანის მკურნალობის მეთოდები და გადაწყვიტა, საკუთარი აღმოჩენა მთელი საქალეთისთვის გაენდო. აღმოჩენა კი ასეთი იყო: "მოუარეთ კანს, რადგან ჯანმრთელი, ლამაზი კანი სასწაულებს ახდენს".

"სასწაულებს" ჰელენა საკუთარ სამზარეულოში ახდენდა. სწორედ იქ ამზადებდა სამკურნალო რეცეპტებს, რომლებიც შემდეგ მთელ მსოფლიოში გახდა ცნობილი.

პირველი სალონი - ფრანგულად აჟღერებული Salon de Beaute ლონდონში, გრაფტონ სტრიტზე გაიხსნა. ქალების პირველი მსვლელობა კი ამ სალონისკენ ფრიად კონსპირაციული იყო. ლონდონის მაღალი წრის ქალბატონებს ეუხერხულებოდათ, უცნაური ნოვაციით რომ იყვნენ დაინტერესებულნი და ჰელენასთან თავიდან ბოლომდე შენიღბულნი მიდიოდნენ: სხდებოდნენ სქელფარდიან ეკიპაჟში, რომელსაც გრაფტონ სტრიტის კუთხეში აჩერებდნენ და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ ახლომახლო არავინ იყო, მხოლოდ მერე შედიოდნენ სალონში.

თუმცა, შემდეგ დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. ჰელენა რუბინშტაინის სახელი უკვე ლონდონის საზღვრებს გასცდა. მერე თანდათან ევროპაშიც გავრცელდა, ატლანტის ოკეანეც გადალახა და ნიუ იორკი, ვაშინგტონი, ბოსტონი, ჩიკაგო, სან ფრანცისკო და სხვა ქალაქები დაიპყრო. "იმას, რაც ჩემს თავს დატრიალდა, ყველაზე გიჟურ ოცნებებშიც ვერ წარმოვიდგენდი", - იხსენებდა ჰელენა Woman's Journal-ის 1964 წლის აგვისტოს ნომერში და გულისხმობდა ლეგენდარულ სამეგობრო წრესაც: პაბლო პიკასო მას გენიოსს ეძახდა, სალვადორ დალი დალის სახელობის მაკიაჟის შექმნას სთხოვდა, გარი კუპერი დიეტებზე ესაუბრებოდა, მარლენ დიტრიხი ჰელენას მოხუცებულობის წლებშიც ემეგობრებოდა...

პირველი ქორწინება უიღბლო გამოდგა. ჰელენა პარიზის სიახლოვეს, თავის ულამაზეს ვილაში განმარტოვდა. 1930-იანი წლები იდგა და რუბინშტაინის იმპერიის პრინცესა თავს მარტოდ გრძნობდა. სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა ჰორიზონტზე ახოვანი, სიმპათიური და მხიარული ქართველი, არჩილ გურიელი-ჭყონია, რომელმაც ჰელენა იოლად მოხიბლა. ურთიერთობა, რომელიც 1935 წელს დაიწყო, 1938 წელს ქორწინებით დაგვირგვინდა. და უგვირგვინო პრინცესა ტიტულიან პრინცესად იქცა. არჩილ ჭყონიას ბიოგრაფიაშიც სრულიად გამორჩეული ფურცელი გადაიშალა.

ალექსანდრე ჭყონიას - ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლისა და პუბლიცისტის ოჯახში ოთხი ბავშვი იზრდებოდა. ქეთუსა ჭყონია შალვა მესხიშვილს გაჰყვა ცოლად - მენშევიკური მთავრობის იუსტიციის მინისტრს. მარიამი საბოლოოდ პარიზში დასახლდა მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად. უფროსმა ვაჟმა - თეთრგვარდიელმა მელიტონმა ბოლომდე საქართველოში იცხოვრა, უმცროსი - არ-

გაგრძელება B6 გვერდზე



არჩილ ჭყონია. ავტორი - სალვადორ დალი.



# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნოდარ დუმბაძე
"თეთრი ბაირაღები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ვაჟა-ფშაველა
"გველისმჭამელი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
რაფიელ ერისთავი
"ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"
დამდგმელი რეჟისორი: გიორგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"აქ, ამ სავანეში..."
(ოთხი ერთმოქმედებიანი პიესა)
თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო
დას: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
ფრიდრიხ დიურენმატი
"მეორედ მოსვლა ანუ ვიზიტი"
რეჟისორი: დავით ანდღულაძე
ფასი: 2-3 ლარი
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**ქართული ფოლკლორის თეატრი "ნაბადი"**
სპექტაკლი-ისტორია "ნაბადი"
დას: 20:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"გარეკილები"
დას: 19:30; 21:30 სთ.

"რობოტები"
დას: 13:30; 15:30; 17:30; სთ

**ამირანი**
"გარეკილები"
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

"რობოტები"
დას: 20:00; 22:00 სთ.

**ცირკი**
მოსკოვის საცირკო დასის წარმოდგენები
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**TMS**
გოგა ჩანადირის ფოტონამუშევრები - "შრი-ლანკა - უბედურების ზონა"

**ქარვასლა**
გამოფენა "მიირთვით გემრიელად"

**ეროვნული გალერეა**
ნუკრი შავგულიძის ნამუშევართა გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**კოპალა**
ირაკლი ცაბაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ცენტრ-პოინტის გალერეა**
ლია ბაგრატიონის ნამუშევრების გამოფენა "ფორმის ფორმა"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# საზოგადოებასთან კონფლიქტში

## პოეტი ქალის მიერ დანახული პრობლემა

ვერა ნეფარიძე

*რატომ დაგვიანდა ქალის შემოსვლა ლიტერატურაში? რატომ ვერ გააკეთეს სუსტი სქესის წარმომადგენლებმა სერიოზული განაცხადი მეცხრამეტე საუკუნემდე? რა არის მიზეზი, რომ მამაკაცებთან შედარებით ლიტერატორ ქალებს ნაკლებად აქვთ კარიერისტული მისწრაფებები? - საზოგადოებასთან პოეტი ქალის კონფლიქტი იყო პოეტისა და მთარგმნელის ლელა სამნიაშვილის გუშინდელი მოხსენების მთავარი თემა.*

პრობლემა, ეტყობა, მხოლოდ პოეტი ქალებისთვის არაა აქტუალური, თორემ კავკასიური სახლის დარბაზი სტუმრებით არ გაივსებოდა (მათ შორის, მამაკაცებით). სემინარი, რომელსაც ამჯერად ზემოთ აღნიშნულმა ორგანიზაციამ უმასპინძლა, საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა მოაწყო. საღამოს ფორმატი ასეთი იყო: ლელა სამნიაშვილმა წაიკითხა მოხსენება; იმისთვის, რომ შეხვედრა ინტერაქტიული გამოსულიყო, სტუმრებს რეპლიკებისა და შეკითხვების საშუალებაც მიეცათ; იყო "ქალური ლექსის კითხვაც", - როგორც ეს თავად უწოდა მომხსენებელმა, როდესაც მონოლოგის საილუსტრაციოდ ამერიკული და ქართული პოეზიის არქივიდან შესაბამის ნიმუშებს კითხულობდა. მოხსენებასაც (სრულად) ასე ერქვა: "პოეტი ქალი და საზოგადოება: ქართული და ამერიკული გამოცდილება".

იმის მიუხედავად, რომ პოეზიის მიმართ გულგრილი არ ვარ, უნდა ვაღიარო, რომ გუშინდლამდე არც დავფიქრებულვარ, რამდენი ავტორი მანდილოსანი შეიძლება დაეკარგა მსოფლიო პოეზიას მეცხრამეტე საუკუნემდე, იმ დრომდე, ვიდრე ქალები ლიტერატურაში სერიოზულ განაცხადს გააკეთებდნენ. რატომ დაგვიანდა ლიტერატურაში ქალის შემოსვლა? - სწორედ აქედან დაიწყო ლელა სამნიაშვილმაც თავისი მოხსენების გაცნობა აუდიტორიისთვის. მსოფლიოში, სადაც განათლების მიღებაში მამაკაცები უპირატესობით სარგებლობდნენ, ლიტერატურაც პატრიარქალური იყო; ქალმა კი არ ისურვა, სამუდამოდ დარჩენილიყო ლექსების ობიექტად... და თანდათან გაჩნდნენ ლექსის სუბიექტი ქალი ავტორები.

რას გვამცნობს პრობლემის შესახებ ამერიკული და ქართული გამოცდილება? ემილი დიკინსონი - ლელა სამნიაშვილის მოხსენების პირველი პერსონა აღმოჩნდა; პოეტი, რომელიც ბევრი მიღებული წესის, კლიშეს წინააღმდეგ წავიდა; ჩაიკეტა, როდესაც მიხვდა, რომ საზოგადოება მის აღიარებას არ აპირებდა; თუმცა, სიკვდილის შემდეგ იგი ამერიკის უდიდესი პოეტი ქალი გახდა. "ქალზე, როგორც საზოგადოების განუყოფელ ნაწილზე, მის ბიოგრაფიაზე, შემოქმედებაზე საზოგადოება დიდ ზეგავლენას ახდენს", - ნათქვამის საილუსტრაციოდ ქართველმა პოეტმა წაიკითხა ემილი დიკინსონის დღიურის ნაწყვეტები, სადაც ამერიკელი პოეტი საზოგადოებასთან კონფლიქტის შესახებ წერდა.



ვახო ბესელიას ფოტო

კიდევ უფრო ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე ამერიკელი პოეტის სილვია პლათის შესახებ გაგრძელდა საუბარი სემინარზე; მაგრამ ამჯერად პლათის მაგალითი უფრო საზოგადოებასთან კონფლიქტს შეწირული პოეტი ქალის საილუსტრაციოდ გამოიყენა მოხსენების ავტორმა და ისტორიის გასამძაფრებლად ავტორის ავტობიოგრაფიული რომანიდანაც წაიკითხა ნაწყვეტები.

იმაზე, რომ ქალმა პოეზიაში ახალი თემები შემოიტანა, ლელა სამნიაშვილმა ორი ქართველი, მართლაც კარგი პოეტის შემოქმედება კიდევ ერთხელ შეახსენა აუდიტორიას. "დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ქალები უფრო ძლიერი დედები არიან", - ლელა სამნიაშვილის ამ სიტყვებს ხუთი შვილის დედის - რუსუდან კაიშაურისა და მაია სარიშვილის ცხოვრება და შემოქმედება უდავოდ ამართლებს. კაიშაურისა და სარიშვილის რამდენიმე ლექსის კითხვისას მოხსენების ავტორიცა და მისი მსმენელიც კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თუ როგორ შეიძლება ბანალური, რთული ყოფა პოეზიად იქცეს.

# მწვანე ჩაი და ბორჯომი

## არტისტული აფთიაქები თბილისში

სოფო კილასონია

ჯერ იყო ორი ჭიქა მწვანე ჩაი, ერთი ბოთლი ბორჯომი, ქაოსური საუბარი სამი საათის განმავლობაში. მერე ყოფილა შეხვედრები ბოტანიკურ ბაღში - სივრცით, ფორმით, რაკურსებით და ისევ საუბარი. საუბარს მიზნებზე, გეგმებზე მოჰყვა მათი ანალიზი და პრაქტიკული მუშაობა. თურმე შეიქმნა კონცეფცია, იდეის დონეზე დაიბადა პროექტიც, მოეწყო ვორქშოფი თემაზე - ადამიანი და სივრცე, სახელწოდება - წეროები მიფრინავენ, ადგილი - ახალქალაქი, არტ-ვილა.

მსგავსი ექსკურსი ალბათ ხელოვანთა არაერთ ჯგუფს გაუვლია სხვადასხვა დროს, შესაძლოა, ოდნავ განსხვავებული ფორმითა და მიმართულებით. მიუხედავად ამისა, ყოველი ასეთი ახალგაზრდული გაერთიანება თავისთავად საინტერესო და რაღაც ახლის მომტანი იყო და დღესაც ასეა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე თუ გვიან ასეთი ჯგუფები იშლება, კონკრეტულ დროსა და მომენტში ისინი თავის ფუნქციას ხელოვანთათვის მაინც ასრულებენ, საზოგადოებისთვის კი რაღაც დრომდე მეტად საინტერესონი არიან.

ორი დღის წინ N გალერეამ ახალგაზრდა ხელოვანთა გაერთიანებას უმასპინძლა. რვა სხვადასხვა მიმართულებით გატაცებულმა ხელოვანმა (სოფიო ტაბატაძე, ნადია წულუკიძე, ლადო დარახველიძე, ლიკა დადიანი, სალომე სხირტლაძე, გიორგი ბანძელაძე, ავთო გოცირიძე და ანამალია) საკუთარი გაერთიანებისა და საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაცია ხალისიანი და საინტერესო აქციით მოაწყო და საკუთარი სურვილებიც გაგვიმხილა. **"ჩვენ ვართ ერთი თაობის სხვადასხვა დარგის მოღვაწე ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფი. ჩვენი მიზანია, შევქმნათ თანამედროვე ღია არტ-ბაზა, სადაც ნებისმიერ ხელოვანს საშუალება ექნება ექსპერიმენტული მუშაობით გამოავლინოს საკუთარი თავი და შეიძინოს გამოცდილება ჯგუფურ მუშაობაში. აგრეთვე გამყარდეს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე არტისტებთან. ჩვენი სურვილია, საზოგადოებას უკეთესად გავაცნოთ თანამედროვე ხელოვნება, შევამციროთ გაუცხოება ხალხსა და ხელოვნებას შორის და საზოგადოება უფრო მეტად ჩავრთოთ თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობაში".**



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ახალგაზრდა ხელოვანთა ჯგუფმა, რომელიც TRAM-ის (TRansform Art Module) სახელით გაეცნო ფართო საზოგადოებას, ვიზუალური, ინსტალირებული და პლასტიკის ხელოვნებით აამოძრავა გალერეის საკმაოდ ფართო სივრცე და მისული ახალგაზრდებიც მეტად გაახალისა. თბილისსა და გერმანიაში შექმნილი ვიდეოარტი, ინსტინქტურად დაწერილი, კედლებსა და სხეულზე მიწერილმიკრული სიტყვები, რომლებიც ახალგაზრდების ინტერესებსა და ემოციებს გამოხატავდა, ინიციატორთა ლოზუნგები, მაგალითად, "ძალა ერთობაშია" და სულ მთავარი: დარბაზის ცენტრში დადგმული მუყაოს ბოქსები, რომელშიც რვავე მონაწილე საკუთარ ფანტაზიასა და ხელოვნებას ხილვადს ხდიდა.

ზუსტად არ ვიცი, რამდენად დასამახსოვრებელი იყო TRAM-ის საპრეზენტაციო აქცია გალერეაში მისულთათვის, თუმცა, ხელოვანთა ამ ჯგუფს ნამდვილად საინტერესო გეგმები ჰქონია. მათგან მხოლოდ ერთის შესახებ ვამცნობ მკითხველს. მაისისთვის ახალგაზრდები "აფთიაქის პროექტს განახორციელებენ", რაც იმაში მდგომარეობს, რომ, მათი მონდომებით, იქ, სადაც წამლები იყიდება, ვიზუალური ხელოვნებით ტკბობის საშუალება მოგვეცემა. ლიკა დადიანის თქმით, აფთიაქში შესულ მყიდველს უნდა გაახსენდეს, რომ მკურნალობა ხელოვნებითაც შეიძლება და იქიდან იმაზე უკეთესი განწყობით გამოვიდეს, ვიდრე შესვლამდე იყო. ამ არტისტულ აფთიაქებს თბილისი მას შემდეგ ეზიარება, რაც ახალგაზრდა ხელოვანები მათ გერმანიაში, ჰოლანდიასა და შვედეთში მოაწყობენ.

# სარისკო საქმეს შეჭიდებული

ნათია ვადაჭკორია

ამბობენ, კარიკატურის ხატვა სარისკო საქმეაო. ბუნებრივია, კარიკატურისთვის აუცილებელია სასურველი ტიპაჟი, სიტუაცია და კიდევ სათანადო განწყობა. სარისკო კი იმდენად არის, რომ შეიძლება ვინმე განაწყენდეს. ოღონდ ეს მაშინ, თუ იმ "ვინმეს" იუმორის გრძნობა არა აქვს.

გუშინ გალერეა "ჰობიში" გახსნილ ზაალ სულაკაურის კარიკატურებისა და მხიარული ნახატების გამოფენაზე უამრავი დამთვალიერებელი მოვიდა. მათი კმაყოფილი სახებით თუ ვიმსჯელებთ, კარიკატურების ავტორიც და მისი მახვილი თვალის ყველა სამიზნეც კარგ, მხიარულ განწყობას იწვევდა.

ზაალ სულაკაურის მეგობრებმა გამოფენის გახსნაზე თქვეს, რომ პროფესიით კერამიკოსი მათი მეგობარი საუბრობს, მღერის თუ ხატავს, ყოველთვის ხუმრობის გუნებაზეა. ზაალი თურმე ბავშვობიდან ხუმრობს. თავისი მისწრაფება პირველად დაბადების დღეზე სტუმრად წასულმა აღმოაჩინა, როდესაც სადღესასწაულო სუფრისა და მისი სტუმრების გაშარჟება სცადა. ბოლო ათი წელია, რაც ეს "სახუმარო" საქმე თავის პროფესიად აქცია. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მთავარი თემებია: პოლიტიკა, სიყვარული და ჰოლივუდის ვარსკვლავები. მოკლედ, თუ გსურთ, ნახოთ, როგორ მისდევს თოვლის კაცი თოვლის ქალს "მზაკვრული ფიქრით" - "თუ დავეწიე...", ასევე რამაზ ჩხიკვაძის, კახა ბენდუქიძის, გურამ დოჩანაშვილის, დედა ტერეზას, ვლადიმირ პუტინის, მიხეილ სააკაშვილის, საერთოდ, ქართველი პოლიტიკოსების კარტებისა და ჯოკერში გასული ედუარდ შევარდნაძის, ჯულია რობერტსისა და სხვათა საინტერესო კარიკატურები, შეგიძლიათ ერთი კვირის განმავლობაში ეწვიოთ გალერეა "ჰობის" და მხიარულ გუნებაზე დადგეთ. გამოფენის გარდა, ასევე შედგა ზაალ სულაკაურის ვებ-გვერდის პრეზენტაცია. მისამართზე - www.zaliko.com დაათვალიერებთ შარჟებს ფოტოებიდან, მხიარულ ნახატებს, მისალოც ბარათებს, ანიმაციებს, თოჯინებს; თავად ავტორსაც გაესაუბრებით და შეგიძლიათ, შეუკვეთოთ კიდეც. ასე რომ, არჩევანი დიდია.

თავად გამოფენა და ზაალ სულაკაურის ვებ-გვერდიც ინფო-თბილისმა დააფინანსა. იგი თბილისის გზამკვლევია და საკუთარი ვებსაიტიც აქვს: www.info-tbilisi.com

საპირველაპრილო განწყობას ამინდი თუ არ უწყობს ხელს, სამაგიეროდ ზაალ სულაკაურის კარიკატურები ესადაგება.







ვახო ბესელიას ფოტოები

# პოლ სეზანი

ნოდარ მალაზონია

2005 წლის 16 იანვრის კვირა დღეს პარიზში არაიმპრესიონისტულ ამინდში, ერთხელ კიდევ და მერამდენედ (შესაძლოა, უკანასკნელადაც), Musee d`orsay-ს ვესტუმრე. ამჯერად ფოტოკამერით, რისთვისაც მწარედ ვინანე, რადგან მივხვდი, რომ მხილველის ფუნქცია დავკარგე და მასთან ერთად იმ განცვიფრების ხიბლიც, აქ თავმოყრილ "გიჟებს" რომ ძალუძთ მოგვანიჭონ.

რენესანსული ვარსკვლავთცვენა, XIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩიმაბუეთი დაიწყო და XVI საუკუნის მეორე ნახევარში ტიციანით დასრულდა.

აღორძინების სამასწლოვან იდილიას სამასწლოვანი გამყინვარება მოჰყვა და მაშინ, როცა საფრანგეთი ჯერ კიდევ რევოლუციურ კოლიზიებში იყო ჩაძირული, ქვეყანას ახალი "ბუნტისთავები" მოევლინენ, რომლებმაც მზისა და ფერის საკუთარი აღქმის თავისუფლების ისეთი ახალი მანიფესტი შექმნეს, რომელიც არც ერთ კანონიკურ განზომილებაში არ თავსდებოდა.

პარიზი ისევ ალყაშია, მაგრამ პატრიოტული გრძნობები ყველა "იმპრესიოს" როდი აღელვებს: სოლარი, რომელიც კომუნის დროს კურბესთან ერთად იბრძოდა, ახლა ლუვრის რესტავრაციაზე მუშაობს. ბაზელი და მონე მოხალისეებად ჩაეწერნენ გვარდიაში; ერთი დაიღუპა, მეორემ ფეხი დაკარგა. გეიმემ ჟანდარმერიას შეაფარა თავი; რენუარმა ბორდოში მეჯინიბეობა გაშანსა და ცხენებს უვლის. მანემ ლონდონში იპოვა თავშესაფარი, სადაც დობენისა და პისაროს გაეცნო; სეზანმა კი პროვანსს მიაშურა.

"შერისხულთა" თავშესაფარი კაფე "გარბუა" და მონმარტრი, ნელ-ნელა დაიბრუნებს თავის კლიენტებს და მალე არა რომი და ფლორენცია, არამედ ახლა უკვე პარიზი გადაიქცევა მსოფლიო კულტურის მექად და ამჯერად აქ დაიწყება იმპრესიონისტული ვარსკვლავთცვენა:

ედუარდ მანე, კლოდ მონე, ალბერტ მარკე, კამილ პისარო, აუგუსტ რენუარი, ედგარ დეგა, ტულუზ ლოტრეკი, ვინსენტ ვან გოგი, სიერა, პოლ გოგენი, ჰენრი მატისი, პაბლო პიკასო, ბაზელი, გეიმე, ანრი რუსო, ფერნან ლეჟე, ამედეო მოდილიანი, პოლ სეზანი...

- "მეტად დასაშვებია, პოლს უდიდესი მხატვრის ტალანტი ჰქონდეს, მაგრამ მას არა აქვს საიმისო ტალანტი, რომ მართლაც უდიდეს მხატვრად იქცეს".

საკმაოდ უმადური რამ გახლავთ ეს წინასწარმეტყველებანი. სეზანის თანასოფლელი ზოლა, რომელმაც სტარტზე პოლს ერთიათად გაუსწრო და ერთხანს სეზანს ქომაგობდა კიდეც, მწარედ შეცდა.

აი, პოლის დედა, ქალბატონი სეზანი კი, ნურას უკაცრავად, აიჩემა და ვერც ვერავინ გადაათქმევინა, რომ მისი შვილი მსოფლიოში ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მხატვარი გახდებოდა.

ამ პროვინციელ მატრონას, რომელსაც არათუ მხატვრობა, არამედ ერთი მუზეუმიც კი არასდროს დაუთვალიერებია, ასეთი არაორდინარული სიჯიუტისთვის საკმაოდ მყარი არგუმენტები ჰქონდა. თუნდაც ის რად ღირს, რომ როგორც რუბენსს, ასევე რემბრანტს, მის ვაჟსაც პოლი რომ ერქვა თურმე.

ეს ტემპერამენტით აღსავსე სამხრეთელი კაცი, რომელშიც უტიფრობა და კეთილშობილება თანაბარი დოზითაა, წითელი ლაპლაპა ჟილეტით, წვერგაბურძგნილი, გამომწვევად დააბრაგუნებს თავის უჩვეულო ბათინკებს კოხტაპრუწა არისტოკრატების წვეულებებზე.

ხოლო ერთხელ, როცა მას მსახური კარებშივე ჯიქურ გადაელობა და ბათინკების საგანგებოდ გაწმენდა მოსთხოვა, გაავებული სეზანი სამუდამოდ ივიწყებს ბურჟუა ზოლას და მის ფეშენებელურ აპარტამენტებს.

ასევე იქცევა სამხატვრო სალონშიც, სადაც სალონური აკადემიზმისადმი მის დაუმორჩილებლობასა და ამბოხს არასდროს ფარავს.

მას არც "გარბუას" კაფეში ყოველ საღამოს თავშეყრილი ჯიშიანი ჯენტლმენები მოსწონს.

მანე თავისი დახვეწილი იუმორითა და ელეგანტური ჰონორით, არც ღვარძლიანი დეგა, არც ბაზელის გულღია ოხუნჯობანი და არც პისარო ("რომ არა პისარო, არ იქნებოდა სეზანი" - მოგვიანებით აღიარებს სეზანი).

ოო... არა! მას არ შეუძლია, უქმად დრო კარგოს ამ ლაზღანდარა ბურჟუებთან, რომლებიც ისე გამოპრანჭულან, როგორც ნოტარიუსის მოხელეები.

- იმპრესიონიზმი და იმპრესიონისტები?! ეს ხომ არამდგრადი, მერყევი ფერთა თამაშია და მეტი არაფერი მისთვის.






ნოდარ მალაზონიას ფოტოები

ადმერთებს ენგრს და უყვარს დელაკრუაც. ნერვებს უშლის ვერგილიუსი, სტენდალი და ბოდლერი! და განაცვიფრებს მონე, - ცა, ლურჯზე უფრო ლურჯი, არა? ეს ხომ მონემ აღმოაჩინა... დიახ, მონემ. მხოლოდ თვალით, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა თვალი! მისი ადგილი ლუვრშია!

სეზანის გაუწონასწორებელი ხასიათი არამდგრადია და თუ მას სევდაც დაემატა...

- მხოლოდ მე მაქვს ტემპერამენტი, მხოლოდ მე შემიძლია ტილოზე დავდო წითელი ფერი...

აბა, პისაროს?!. ბებერ თხუპნიას?!.

ან იქნებ ცუღლუტ მონეს?!. რომლებსაც არაფერი შინაგანი არ გააჩნიათ. თვალი? მე თუ მკითხავთ, მხატვრისთვის მთავარი მაინც თავია.

მუსიე გასკე აღტაცებულია სეზანის ფერწერით...

- გაჩუმდით, ახალგაზრდავ, გაჩუმდით... მე ერთი მყრალი და ცოფიანი ბებერი ვარ და როდესაც გისმენთ, მეტირება კიდეც. - შემდეგ აყოვნებს და ერთგვარი მედიდურობით ამატებს: - დღეს მხოლოდ ერთი მხატვარია და ეს მე ვარ!

და ისევ სევდა. - რა ვქნა, ვერ გამიგო ხალხმა და არც მე მესმის მათი.

შემდეგ უკვდავი ფრაზა: - შესაძლოა, მე ძალზე ადრე დავიბადე!

ერთ ზაფხულს ჟივერნში მონე სეზანის პატივსაცემად სადილს მართავს და კომპანიონებსაც ღირსეულს ურჩევს: მირბო, ჟეფრუა, როდენი და კლემენსო.

სეზანმა, მასპინძლისთვის გასაოცრად, ეს მიწვევა მიიღო და ისე მოიხიბლა მისთვის უჩვეულო გარემოში, რომ მისმა აღტაცებამ და ზედმეტმა გულახდილობამ ყველა გააოცა.

- ოჰ, ეს გოგენი! - მოხსნა გუდას პირი სეზანმა - პისარომ გამაცნო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბირჟის მაკლერი და მხატვრობაზე მეოცნებე ყმაწვილი გახლდათ. როცა მითხრა, თქვენი ათი სურათი მაქვს შეძენილიო, გავოცდი, მაგრამ თუ რისთვის გააკეთა ეს, შემდეგში მივხვდი. რაც მე ფერწერის ლაბირინთებში ვიპოვე და აღმოვაჩინე, ყველაფერი მიიტაცა და აითესა (ეს ეჭვები სიცოცხლის ბოლომდე გაყვა სეზანს. გოგენი კი იტყვის: - გავყიდი ჩემს უკანასკნელ პერანგსაც კი, მაგრამ არასდროს სეზანის სურათებს).

ბოლოს სულ გარეკა.

როდესაც სტუმრებმა ხეივანში გაისეირნეს, მოულოდნელად სეზანი როდენს მუხლებში ჩაუვარდა, ხელზე ემთხვია და მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერმა მას ხელი ჩამოართვა (შემდეგ მირბო გულმოდგინედ ცდილობს, სეზანსაც მიანიჭონ ეს მაღალი ჯილდო, მაგრამ ამაოდ: - ო, არა, მუსიე მირბო, - ქვა ააგდო და თავი შეუშვირა ნატიფი ხელოვნების სკოლის დირექტორმა მუსიე ჟეფრუამ, - სხვა, თუნდაც მანე, სიამოვნებით, ან სიერა, მაგრამ სეზანი? მისი გვარის გაგონებაც კი არ მსურს).

შემოდგომაზე მონემ ისევ გამართა სადილი და ამჯერად სეზანს რენუარი და სისლეი დაუპატიჟა.

როდესაც მასპინძელმა პირველივე სადღეგრძელოთი სეზანი უშურველი და გულითადი დითირამბებით შეამკო...

სეზანმა ჯერ თავი დახარა, შემდეგ ატირდა და ბოლოს ცრემლიანი თვალებით, მონეს შესძახა:

- თქვენც, მონე, თქვენც აბუჩად მიგდებთ, არა?!.

ამის შემდეგ ვერავინ შეძლო მისი ვერც დაწყნარება და ვერც შეჩერება. სეზანი გიჟივით მოწყდა იქაურობას და ჟივერნიდან უმისამართოდ ისე გაუჩინარდა, თავის სახელოსნოში ყველაფერი ხელუხლებლად მიატოვა.

სალონი ისევ უგულებელყოფს სეზანის ფერწერას!

და სეზანის კიდევ ერთი უკვდავი ფრაზა:

- არაფერია. შთამომავლობა მათზე ჩემს მაგივრად იძიებს შურს!

სეზანს არც დამოუკიდებელ, "შერისხულთა" გამოფენებზე სწყალობს ბედი, რადგან ყველაზე ცოტა და ყველაზე დაბალ ფასებში იყიდება მისი სურათები. და ერთხელ...

როცა მონე სისლეის ობლად დარჩენილი შვილებისთვის საქველმოქმედო აუქციონს აწყობს, სეზანის სურათის ფასმა 2300 ფრანკს მიაღწია, ხოლო 1899 წლის მაისში, გრაფ არმან დორის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი სურათების კოლექცია საჯაროდ აუქციონზე გაიყიდა, სეზანის სურათმა "ფენტბოლოს ტყეში თოვლი დნება" დაუჯერებელ ფასს - 6750 ფრანკს მიაღწია, რამაც იქ დამსწრე საზოგადოების აღშფოთება და განცვიფრება გამოიწვია.

- რაშია საქმე? ვინმე ხომ არ თაღლითობს?!. ან ვინ არის მისი მყიდველი? იქნებ სარწმუნოდ ჭეშმარიტებისა გაგვაცნოს თავი?!.

დარბაზში ერთი სიმპათიური მამაკაცი წამოდგა და თქვა:

- სურათი ვიყიდე მე, კლოდ მონემ!

დღეს პარიზი წარსულის დიდებით ცხოვრობს. ნეტავ კიდევ რამდენი ასწლეული უნდა იცადოს კაცობრიობამ, რომ ახალი "გიჟების" ვარსკვლავთცვენა იხილოს?!

სად, მსოფლიოს რომელ კუთხეში მოხდება ეს?!.

აღიარებენ თუ არა მათ სიცოცხლეშივე თანამედროვენი, თუ ისევ "შთამომავლობამ უნდა იძიოს შური მათზე"?!.

არავინ იცის.

llve ჯგუფების უცნობი ლიდერები

# არასალიდერო ტიპი

ანა სიხარულიძე

*თანამედროვე ქართულ სცენაზე რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ცოცხალ მუსიკას ასრულებენ. ისინი საკმაოდ საინტერესო, თვითმყოფად მუსიკას გვთავაზობენ. მათ საზოგადოება ტელევიზიისა და რადიოს ეთერიდან იცნობს, მაგრამ ასეთი ჯგუფების ხიბლი ცოცხლად, დარბაზიდან მოსმენაშია. ეს ადამიანები ერთად უკრავენ, ერთად დგანან სცენაზე და ერთად წერენ მუსიკას. ჩვენში რატომღაც ისე ხდება, რომ ჟურნალისტები მხოლოდ ამ ჯგუფების ლიდერებისგან იღებენ ინტერვიუს. მათვე ცნობენ ქუჩაში. ხოლო დანარჩენი წევრების სახელები, გვარები და მათი როლი ჯგუფებში საზოგადოებისთვის უცნობია. ყველა ცნობს აჩიკო გულედანს, ზუმბას - ზაზა კორინთელს, ბაკურ ბურდულს, მაგრამ ბევრმა არ იცის, ვინ უკრავს Assa-ს პროექტში ბასზე, "ინსაითში" დასარტყამ ინსტრუმენტებზე ან "მწვანე ოთახში" კლავიშებზე. არადა, თითოეული მათგანი იმ ორიგინალურ სტილს ქმნის, რომლის გამოც ამ ჯგუფებს ჰყავს მსმენელი.*

დღეს წარმოგიდგენთ **"მწვანე ოთახის"** "უცნობ ლიდერს" **ბექა ჯაფარიძეს.**

"მწვანე ოთახის" წევრებს ლაპარაკის განსხვავებული, თვითმყოფადი მანერა აერთიანებთ. ამ "სლენგის" ფუძემდებელი მათი და სტუდია "ქართული ჩანაწერების" პროდიუსერი გიორგი ასანიშვილია. ყველა, ვისაც მასთან ურთიერთობა აქვს, მისი გავლენის ქვეშ ექცევა და ამ სტილს ძალაუნებურად ითვისებს. კიდევ ერთი, რაც "მწვანე ოთახის" მუსიკოსებს აერთიანებს, ფეხბურთისადმი სიყვარულია.

ისინი ძალიან მხიარული, თბილი ადამიანები და კარგი მეგობრები არიან. და, რაც მთავარია, თითოეული მათგანი ძალიან კარგი მუსიკოსია.

მოკლედ ჯგუფის ბიოგრაფია:

"მწვანე ოთახმა" არსებობის ექვსი წლის განმავლობაში ორი ალბომი ჩაწერა, ყველაზე ცნობილი სიმღერა "ნაზი მისები" კი ცხრა კვირის განმავლობაში ყველა რადიოსადგურის ჰიტ-აღლუმში პირველ ადგილზე იყო და წლის საუკეთესო სიმღერად გამოცხადდა.

1999 წელს ჯგუფის წევრებმა ჯაზის აკადემიაში გაიცნეს ერთმანეთი. ჯგუფად 2000 წელს ჩამოყალიბდნენ. მაშინ ხუთნი იყვნენ, აჩიკო გულედანი - გიტარა და ვოკალი, ბექა ჯაფარიძე - კლავიშები, დათო ადუაშვილი - დოლები, თამუნა მალალაშვილი და მაკა გამყრელიძე - ბექვოკალი, აგრეთვე, მოწვეული ბასისტი ნოდარ ექვთიმიშვილი. ამ შემადგენლობით 2001 წელს სტუდია "ქართულ ჩანაწერებთან" კონტრაქტი გააფორმეს და ამავე წელს ჩაწერეს პირველი ალბომი "მწვანე ოთახი".

მუსიკალური სტილის შეცვლამ ჯგუფში ცვლილებები გამოიწვია და 2003 წელს მუსიკოსთა რაოდენობა ოთხამდე შემცირდა - წავიდნენ გოგონები და ნოდარ ექვთიმიშვილი, მოიწვიეს "ინსაითის" ბასისტი უჩა გუგუნავა და მეორე ალბომი Shut down... გამოსცეს.

დღეს ისევ ოთხნი არიან. იწერენ ახალ ალბომს. უკრავენ სხვა სტილს, რომელსაც აჩიკო "გაუგებარ როკს" უწოდებს. ჯგუფში კვლავ ცვლილებებია. დოლებზე გურამ მაკალათია უკრავს, მეტსახელად goofy (გუფი). ჯგუფს კიდევ ერთი ახალი წევრი, ირაკლი მანჩხაშვილი დაემატა, მეტსახელად "ბეთჰოვენა", თუმცა, მას ჯერ ცოცხალ კონცერტში მონაწილეობა არ მიუღია. აჩიკო გულედანი და ბექა ჯაფარიძე ჯგუფის უცვლელი წევრები არიან.

ბექა ჯაფარიძე (კლავიშები)



ბექა (მარჯვნივ) "მწვანე ოთახის" წევრებთან.

აჩიკო გულედანის თქმით, ზანტი, ნელი, ჩუმი და მოუქნელი ადამიანია, გუფის თქმით - წმინდა ადამიანი, რომლისგანაც სულ დადებითი ენერგია მოდის. "ბექა ყოველთვის გრძნობს, რა არის თანამედროვე და რა შემოვა მოდაში," ამბობს პროდიუსერი ბასა ჯანიკაშვილი. საკუთარი თავი ბექამ ასე დაახასიათა: "ვარ კეთილი, შრომისმოყვარე, გულწრფელი; ყველას ვუყვარვარ, მოკლედ, კაი ტიპი ვარ, რა..."

"დაკვრა ერთი თითით დავიწყე". სამი წლის ასაკში ფორტეპიანოზე მელოდია აუწყვია და ამავე ასაკში რკინიგზელთა კლუბში არსებულ შვიდწლედში მიუღიათ. სწავლა კონსერვატორიის ათწლედში განაგრძო და ჯაზის აკადემიაში დაამთავრა. ბავშვობაში ფეხბურთელობაზე ოცნებობდა, 5 წელი დადიოდა კიდეც, საკმაოდ კარგად თამაშობდა ნახევარდაცვაში, ზიდანის პოზიციაზე, მაგრამ დროის უქონლობის გამო ოცნებას დაემშვიდობა. დღეს "მწვანე ოთახში" კლავიშებზე უკრავს და სტუდია "ქართული ჩანაწერების" ხმის ინჟინერია. აჩიკო გულედანის თქმით, "თავიდან ყველანაირი მუსიკა, რეპის გარდა, ჯაზი ეგონა". არ ჰქონდა მოსმენილი "პინქ-ფლოიდი", "ლედ ზეპელინი" და სხვა უამრავი ჯგუფი, რომლებმაც თანამედროვე როკის ისტორია შექმნეს. "მაგრამ ბექას ღირსება ისაა, რომ ღრუბელივით ისრუტავს ნებისმიერ ახალ ინფორმაციას. დღეს ბექა ჯაფარიძე "მწვანე ოთახის" ერთ-ერთი ლიდერია, აჩიკოსთან ერთად არაერთი კარგი სიმღერა დაწერა, არაერთი კარგი არანჟირება შექმნა როგორც "მწვანე ოთახისთვის," ისე ბევრი სხვა მომღერლისთვის" (ბასა ჯანიკაშვილი).

ჯგუფში დაკვრა ძალიან მოსწონს, ყველაზე კარგად ბოლო ალბომის რეპეტიციებზე გრძნობს თავს. განსაკუთრებით კომპოზიცია "სვანური" მოსწონს (ეს დროებითი სახელია). ჯგუფის ყველაზე ცნობილმა სიმღერამ "ნაზი მისები" პირადად მას დიდი პოპულარობა არ მოუტანა. "გადაღების სტილიდან თუ განათებიდან გამომდინარე, კლიპში ცუდად ვჩანვარ, მაგრამ ზოგჯერ ქუჩაში მაინც მცნობენ და უკვირთ, რომ სამარშრუტო ტაქსით დავდივარ და ხანდახან ღერებით ვყიდულობ სიგარეტს". ჟურნალისტებს ძირითადად ემალება. "მე არ ვარ ლიდერის ტიპი. ლიდერობა ჩემს სულში არ ბობოქრობს". ესე იგი, ჯგუფის ნამდვილი ლიდერი აჩიკოა? "აჩიკო, უბრალოდ, ჯგუფის სახეა, რომელიც ჟურნალისტებს ხვდება, ესაუბრება. მუსიკალურად მას ლიდერს ვერ უწოდებ. მუსიკალური ლიდერი "მწვანე ოთახს" არ ჰყავს".

მისთვის ყველაზე სამახსოვრო კონცერტი თბილისის ჯაზფესტივალი აღმოჩნდა, რომელიც ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს დაემთხვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კონცერტი კი მიტინგებზე ჰქონდა, ვარდების რევოლუციის დროს. ვკითხე, როგორ მოსწონს "წვიმის მუსიკოსის" მეტსახელი. "სახელი მომწონს, მაგრამ არ მომწონს, რასაც მოგვაწერენ ხოლმე. მე უბრალო მუსიკოსი ვარ, ხალხის გვერდით ვიდექი და ვუკრავდი. ანალოგიური მიზეზით წავედით კიევში - ხალხის და არა მთავრობის მხარდასაჭერად".

ბექა გაიზარდა (22 წლისაა) და მისი გემოვნება რეპს გასცდა. ახლა ყველანაირ მუსიკას უსმენს - ეისიდ ჯაზს, ჰაუსს, ტრანსს, რეპს, როკს და ქართულ ხალხურ მუსიკას. განსაკუთრებით "რეიდიოჰედს" გამოყოფს. არ უყვარს ცალკეული ინსტრუმენტალისტები. "მთავარი ჩემთვის დინამიკაა, მე მუსიკის საბოლოო სახე უფრო მაინტერესებს." ძალიან უყვარს მუსიკის კეთება, ოღონდ მუსიკა საავტორო უნდა იყოს და არა შეკვეთილი.

სტანდარტული დასვენების მომხრეა, ზაფხულში - ზღვა, ზამთარში - მთები და თოვლი. ძალიან ენატრება რაჭა, სადაც ბავშვობაში ყოველ ზაფხულს ატარებდა. ქალაქიდან გაუსვლელად დასვენება წარმოუდგენლად მიაჩნია. ძალიან, ძალიან უყვარს ძილი. ბაკურიანში როცა ისვენებდა, დღე-ღამეში 16-17 საათი ეძინა. მხოლოდ მაშინ ეღვიძებოდა, როცა ტელევიზორს ხმას აუწევდნენ. კინოში სიარულს ტელევიზორის ყურება ურჩევნია. ამბობს, რომ საქართველოს კინოთეატრებში აუდიოსისტემა მოუწესრიგებელია და საკუთარ, შინაურ კინოთეატრზე ოცნებობს, მაგრამ ჯერ ფული არა აქვს. კიდევ უყვარს ჭამა. "ხინკალი, მწვადი და პური შემიძლია უსასრულოდ ვჭამო". სვამს კონიაკს და ტეკილას. არ უყვარს კიბორჩხალა და თევზი. ვერ იტანს შალახოს, "იამაჰას", ქორწილებს და ქელეხებს. "დოლ-გარმონი და დუდუკები, არანაირი "იამაჰა!"

მეუღლე ნატა თომაშვილი ჯაზის აკადემიაში გაიცნო. წლისა და ორი თვის გოგონა ჰყავთ, ნინა. "ძალიან ლამაზია. მე მჯობია ჭკუითაც და ზრდილობითაც".

ოცნებობს ინგლისში ორი წლით სასწავლებლად წასვლაზე. ეს პერიოდი წამი-წამზე აქვს დაგეგმილი და გათვლილი, მაგრამ, რამდენიც არ ვეხვეწე, გეგმები არ გამიმხილა - საიდუმლოაო.

საუბრის ბოლოს ვკითხე, თუ ყოფილა ისეთი რამ, რისი გაკეთებაც უნდოდა და არ გამოუვიდა. "მუსიკალურად დღემდე, ფაქტობრივად, ყველაფერი გავაკეთე, რის გაკეთებაც მინდოდა. ერთი თვისება მაქვს - თუ რაღაც არ გამომდის, საკუთარ თავს ვუმალავ, თავს ვიტყუებ. ამიტომაც ბედნიერი ვარ, რადგან ასაკთან შედარებით საკმაოდ ბევრს მივაღწიე."

## ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის განცხადება

ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა აღშფოთებულია და სინანულს გამოთქვამს საქართველო-თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდების საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი ინციდენტების გამო. მომხდარს აღვიქვამთ, როგორც პროვოკაციას, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ხალხების მეგობრობის და ურთიერთპატივისცემის ხელის შეშლას. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არის ჩვენი ორივე ქვეყნისთვის მტრული ძალა, რომელსაც არ უხარია საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულება და ცდილობს, მსგავსი პროვოკაციებით წინ აღუდგეს ამ პროცესს.

ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა ფეხბურთის მრავალრიცხოვან მოყვარულთა სახელით ბოდიშს უხდის ინციდენტის დროს დაზარალებულთ, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას და მთელ თურქ ხალხს მომხდარის გამო და იმედოვნებს, რომ ეს პროვოკაცია ხელს ვერ შეუშლის ჩვენი ხალხების მეგობრობას.

*ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა*

## ინფოთეკა

### სქოულზს ნაკრებში დაბრუნება არ უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველმა პოლ სქოულზმა დაადასტურა, რომ ინგლისის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას არ აპირებს. ეროვნულ გუნდში კარიერის დასრულების გადაწყვეტილება 30 წლის ფეხბურთელმა 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მიიღო. მისი განცხადებით, ყურადღებისა და ენერგიის კონცენტრირება "მანჩესტერ იუნაიტედის" თამაშზე უნდა მოახდინოს.

"დარწმუნებული ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. თუმცა, მაინც მსიამოვნებს ის ფაქტი, რომ ეროვნულ ნაკრებში კვლავაც მელიან. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ", - დარწმუნებით განაცხადა სქოულზმა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სვენ-გორან ერიქსონმა სქოულზს სთხოვა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყო. თუმცა, ნახევარმცველმა შეუთვალა, რომ ეს მისი საბოლოო პასუხია.

### ნედვედი ფორმას იბრუნებს

"Eurosport"-ის ცნობით, "იუვენტუსის" ერთ-ერთი ლიდერი ფეხბურთელი პაველ ნედვედი სავსებით ჯანმრთელი იქნება ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის დროს, როცა მის გუნდს "ლივერპულის" წინააღმდეგ მოუხდება თამაში (შეხვედრა 5 აპრილს გაიმართება!). თუმცა, ვარაუდობენ, რომ ჩეხი ფეხბურთელი მონაწილეობას მიიღებს იტალიის ჩემპიონატის "ფიორენტინას" წინააღმდეგ მატჩში, რომელიც დღეს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ნედვედი მას შემდეგ არ გამოსულა მოედანზე, რაც ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში მადრიდის "რეალის" ფეხბურთელ რაულ ბრავოსთან შეჯახების შემდეგ ტრავმა მიიღო.

### ბუფონმა "იუვენტუსთან" კონტრაქტი გააგრძელა

"იუვენტუსის" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა წერტილი დაუსვა გავრცელებულ ხმებს კლუბიდან მისი წასვლის შესახებ და "იუვესთან" კონტრაქტის ვადა 2010 წლამდე გაახანგრძლივა. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს ცნობით, 27 წლის მეკარე, სავარაუდოდ, კლუბის მწვრთნელს ფაბიო კაპელიოს წაეჩხუბა. ამიტომაც აპირებდა კლუბიდან წასვლას, თანაც, მადრიდის "რეალში" გადასვლას. შეგახსენებთ, რამდენიმე ხნის წინათ "სამეფო გუნდის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ მზადაა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეში 32 მილიონი ევრო გადაიხადოს.

თუმცა, თავად ფეხბურთელმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. იგი იტალიურ გუნდში თამაშს, სულ ცოტა, ხუთი წელი მაინც აპირებს.

უკვე გაფორმებულ შეთანხმებას 2009 წელს გაუვა ვადა. ამიტომაც ერთი წლით მის გაზრდას შეიძლება მხოლოდ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს.

### შირერმა წასვლა ერთი წლით გადაიფიქრა

ინგლისური კლუბის "ნიუკასლის" თავდამსხმელმა ალან შირერმა პროფესიონალური ფეხბურთიდან წასვლა, სულ მცირე, ერთი წლით გადაიფიქრა. ამის შესახებ განცხადება გააკეთა კლუბის ხელმძღვანელობამ.

მოგეხსენებათ, რამდენიმე ხნის წინათ ფეხბურთელმა რამდენჯერმე განაცხადა ფეხბურთიდან წასვლის შესახებ.

საფეხბურთო გალერეა

# პაოლო მალდინი: „მილანი„ „ინტერზე„ ძლიერია!„

*პაოლო მალდინი*
*დაიბადა 1968 წლის 26 ივნისს*
***მცველი***
***სიმაღლე:*** *187სმ*
***წონა:*** *86კგ*
***კლუბი:*** *"მილანი" (მილანი, იტალია, 1985-)*

***ტიტულები:*** *იტალიის ჩემპიონი - 1988, 1992, 1993, 1994, 1996, 1999, 2004, იტალიის თასი - 2003, იტალიის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 1990, 1991, იტალიის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1989, 2000, 2003, იტალიის სუპერთასი - 1988, 1992, 1993, 1994, 2004, ჩემპიონთა თასი - 1989, 1990, 1994, 2003, ევროპის სუპერთასი - 1989, 1990, 1994, 2003, საკონტინენტთაშორისო თასი - 1989, 1990, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 1994, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი - 1990, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 2000, იტალიის საუკეთესო მცველი - 1989, 1993, 1994, 1995, 2003, 2004, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ("ელ პაისი", ურუგვაი) - 1994, ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი ("გუერინ სპორტივო", იტალია) - 1989, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ("უორლდ სოკერი") - 1994*

***იტალიის ნაკრებში*** *ჩატარებულ 126 მატჩში გაიტანა 7 გოლი*

***პაოლო მალდინის რეკორდები:*** *ყველაზე მეტი მატჩი იტალიის ნაკრების ისტორიაში - 126, ყველაზე მეტი მატჩი "მილანის" ისტორიაში - 790, ყველაზე მეტი მატჩი სერია ა-ში მოქმედ ფეხბურთელთა შორის - 564, ყველაზე მეტი მატჩი მილანური დერბის ისტორიაში - 49, ყველაზე მეტი მატჩი საერთაშორისო საკლუბო ტურნირებზე (ევროტურნირები, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასები) - 150, ყველაზე მეტი მატჩი მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე - 22, ყველაზე მეტი საერთაშორისო საკლუბო თასის მფლობელი - 10 (4 ჩემპიონთა თასი, 4 ევროპის სუპერთასი, 2 საკონტინენტთაშორისო თასი)*

ლაშა გოდუაძე

ის მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა და იტალიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი კლუბის "მილანის" სიმბოლოა.

36 წლის პაოლო მალდინი კვლავაც შესანიშნავად გამოიყურება და უმაღლეს დონეზე უშეცდომოდ თამაშობს. "მილანის" კაპიტანი არაერთი რეკორდის მფლობელი გახლავთ და მალე, ალბათ, მორიგ მიღწევასაც გააუმჯობესებს - სერია ა-ში ჩატარებულ მატჩებზე ვამბობთ. რეკორდსმენი დიდებული მეკარე დინო ძოფი გახლავთ, რომელსაც იტალიის ჩემპიონატში 570-ჯერ უთამაშია. პაოლოს ანგარიშზე 564 შეხვედრაა...

ორი კვირის წინ მალდინიმ "მილანთან" ხელშეკრულება გაახანგრძლივა - საყვარელ გუნდში 2007 წლის 1 ივლისამდე ითამაშებს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონტრაქტის მიხედვით, პაოლო კლუბის ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადი მოთამაშე იქნება, ის მაინც სიხარულით შეხვდა ამ მოვლენას.

სანამ ევროპაში სანაკრებო თამაშები იმართებოდა, ფეხბურთელს ყველაზე პოპულარული იტალიური გაზეთის "გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტები ეწვივნენ და "მილანზე" გაესაუბრნენ. დღეს სწორედ ამ ინტერვიუს გთავაზობთ. შეგახსენებთ, რომ მალდინი იტალიის ნაკრების რეკორდსმენიცაა - "სკუადრა აძურაში" 126 მატჩი ჩაატარა. სხვათა შორის, მან ამ შემთხვევაშიც დინო ძოფს ჩამოართვა პირველობა...

**- რამდენიმე დღის წინ ახალი კონტრაქტი გააფორმეთ. აქამდე 2006 წელს უნდა დაგესრულებინათ კარიერა, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლა ერთი წლით გადადეთ. რატომ?**

- ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, კლუბიდან კიდევ კარგა ხანს არ წავიდოდი, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ამ ნაბიჯის გადადგმა მაინც მომიწევს. სანამ ფიზიკურად შევძლებ უმაღლეს დონეზე თამაშს, მანამ ვუერთგულებ "მილანს". ახალ ხელშეკრულებაზეც სწორედ ამიტომ დავთანხმდი - მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე საყვარელ გუნდში!

**- 1985 წლიდან თამაშობთ "მილანში". წლეულს, 20 იანვარს, ზუსტად ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პირველად მოირგეთ კლუბის მაისურა. თუ გახსოვთ პირველი მატჩი?**

- რა თქმა უნდა! მაშინ "მილანის" მწვრთნელი ლეგენდარული შვედი ფეხბურთელი ნილს ლიდჰოლმი იყო. მისი დიდი მადლობელი ვარ, რომ "უდინეზესთან" მათამაშა - იმ მატჩში მონაწილეობა ჩემთვის ოცნების ასრულებას ჰგავდა! სხვათა შორის, იმ სეზონში მეტი აღარ მითამაშია...

**- ფეხბურთელისთვის ოცი წელი ძალიან დიდი დროა, მით უმეტეს, მცველისთვის, რომელიც სერია ა-ში თამაშობს. როგორ ახერხებთ ყოველი ახალი სეზონის წინ საბრძოლველად განწყობას, ნუთუ არ მობეზრდათ ერთი და იგივე?**

- გადაღლასა და მობეზრებაზე საუბარი უადგილოდ მიმაჩნია. "მილანში" თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ, ყოველთვის მსიამოვნებს ამ კლუბის მაისურით თამაში და ისევე მიყვარს ჩემი საფეხბურთო ცხოვრება, როგორც ოცი წლის წინ. რაც შეეხება საბრძოლველად განწყობას, ეს თავისთავად ხდება - მიდიხარ შეკრებაზე და ხვდები, რომ საყვარელი საქმის კეთებით ენით აუწერელი სიამოვნება გელის, კვლავ ცხოვრობ იმ ადამიანებთან, რომლებიც არა მარტო შენი თანაგუნდელები, მეგობრები არიან, ისევ და ისევ მონაწილეობ მძიმე და ამავდროულად, ძალიან საინტერესო მატჩებში... დარწმუნებული ვარ, როცა კარიერას დავასრულებ, ეს ყველაფერი უზომოდ მომენატრება.

**- იტალიის ნაკრების თავკაცმა მარჩელო ლიპიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ფეხბურთელი ქვეყნის პირველი გუნდიდან მხოლოდ კარიერის დასრულების შემდეგ უნდა მიდიოდესო. ალბათ, ხვდებით, რომ თქვენ გიგულისხმათ...**

- ნაკრებში თხუთმეტი წელიწადი გავატარე და "სკუადრა აძურა" ჩემთვის ყოველთვის ტკბილად მოსაგონარი იქნება. დღესაც ვთვლი, რომ მართებული ნაბიჯი გადავდგი, როცა გუნდიდან წავედი. ერთი, რომ სჯობს, თავად წახვიდე, ვიდრე გითხრან, მეორეც - ჩემს ასაკში ადამიანს კლუბსა და ნაკრებში ერთდროულად თამაში ძალიან გაუჭირდება. არის მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი - ოჯახი. მინდა, რაც შეიძლება დიდხანს ვიყო მეუღლესთან და შვილებთან.

**- ცოტა ხნის წინ რონალდინიოსთან ერთად გადაგიღეს სარეკლამო კლიპში. მაშინ საკმაოდ თბილად მოიხსენიეთ ბრაზილიელი. როგორი იდეაა: რონალდინიო "მილანში"?**

- იდეა, როგორც ასეთი, შესანიშნავია, მაგრამ ერთია, რას ფიქრობს ფეხბურთელი და მეორე - რას გადაწყვეტს ხელმძღვანელობა. რონალდინიო შესანიშნავი მოთამაშეა, მარტო მის მიერ "კამპ ნოუზე" ჩვენს კარში გატანილი გოლი რად ღირს! გარდა იმისა, რომ კარგი ფეხბურთელია, ბრწყინვალე ადამიანია, მხიარულია. ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, ანდრეი შევჩენკოზეც იგივეს თქმა შემიძლია...

**- ბევრი თვლის, რომ "ფრანს ფუტბოლს" "ოქროს ბურთი" სწორედ რონალდინიოსთვის უნდა გადაეცა და არა შევჩენკოსთვის. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ამ ჯილდოს გარშემო ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობაა. არც შარშანდელი მითქმა-მოთქმა გამკვირვებია. გასულ წელს ორივემ დიდებულად ითამაშა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ანდრეიმ სამართლიანად დაიმსახურა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული. ვფიქრობ, 2004 წელს ის დეკუსაც სჯობდა, ანრისაც და რონალდინიოსაც.




**- თქვენ "მილანის" სიმბოლოდ ითვლებით, მაგრამ ყველამ იცის, რომ ბავშვობაში ტურინის "იუვენტუსის" ქომაგი იყავით. რატომ?**

- 1978 წელს, როცა არგენტინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატს ვუცქერდი, ათი წლის ვიყავი. ენცო ბეარზოტის გუნდმა, სადაც უმეტესწილად "იუვენტუსის" ფეხბურთელები თამაშობდნენ, შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი. ამიტომ მოვიხიბლე ამ კლუბით. თანაც, ჩემი საყვარელი ფეხბურთელი რობერტო ბეტეგა (*"იუვენტუსის" ვიცე-პრეზიდენტი - ლ.გ.*) მაშინ დიდებულად თამაშობდა "იუვენტუსში". ტურინელებს არც კარგი მცველები აკლდათ. იგივე ანტონიო კაბრინი გავიხსენოთ, რომელიც საკმაოდ ახალგაზრდა თამაშობდა იტალიის ნაკრებში...

**- ამბობენ, რომ თავის დროზე "იუვენტუსი" გიწვევდათ კიდეც...**

- უშუალოდ მე არავინ დამკავშირებია. შესაძლოა, კლუბების ხელმძღვანელები გარკვეულ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით. სხვათა შორის, ბერლუსკონი არასდროს ელეოდა იმ მოთამაშეებს, რომლებიც კლუბში ლიდერებად ითვლებოდნენ... პირადად მე მხოლოდ ერთხელ დავფიქრდი სხვა კლუბში გადასვლაზე: 1997-1998 წლებში ძალიან ცუდად ვთამაშობდით და სწორედ მაშინ დამიკავშირდა ჩემი მეგობარი ჯანლუკა ვიალი, რომელმაც "ჩელსიში" გადასვლა შემომთავაზა. ორ კვირას ვფიქრობდი, თუმცა, მაინც "მილანში" დარჩენა ვამჯობინე.

**- რატომაა, რომ "მილანი" და "იუვენტუსი" წლიდან წლამდე ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს, სხვა კლუბები კი ხშირად ეფლობიან კრიზისში?**

- ჩემი აზრით, სწორედ ამ ორ გუნდშია საკლუბო სტრუქტურა ყველაზე დახვეწილი და კარგად მომართული. "მილანისა" და "იუვენტუსის" ხელმძღვანელები შესანიშნავად აწარმოებენ სატრანსფერო პოლიტიკას, რაც წარმატების წინაპირობაა. აღსანიშნია საკლუბო ისტორია, რითაც ჩვენი გუნდები არა მარტო იტალიაში, მთელ მსოფლიოში არიან გამორჩეულნი. საერთო ჯამში, "მილანისა" და "იუვენტუსის" უპირატესობა ისაა, რომ ამ გუნდებში საქმეს სიყვარულით აკეთებენ.

**- ოცი წლის მანძილზე არაერთი დიდებული თავდამსხმელის წინააღმდეგ გითამაშიათ. ყველაზე მეტად ვისთან გიჭირდათ თამაში?**

- დიეგო მარადონა თავიდან ბოლომდე გამოცანა იყო! არავის მეურვეობა არ გამჭირვებია ისე, როგორც მისი. მასში იდეალურად იყო შერწყმული შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები, ფანტასტიური ტექნიკა, ბურთის ფლობის საოცარი უნარი, სისწრაფე, ელსატიკურობა და ლიდერისთვის აუცილებელი ყველა თვისება. მე არ მინახავს მწვანე მინდორზე პელე. სწორედ ამიტომ გავბედავ და ვიტყვი: დიეგო მარადონა ფეხბურთის მეფედ მიმაჩნია! აცილებლად დავასახელებდი რონალდოს - ტრავმამდე ის ნამდვილი ფენომენი იყო, იდეალური ფორვარდი, რომელსაც ყველა კლუბი ინატრებდა! გასაგები მიზეზის გამო არ ვასახელებ შეუდარებელ მარკო ვან ბასტენს - ის ჩემი თანაკლუბელი გახლდათ და ეს ფაქტი ძალიან მახარებდა. შევჩენკოც ბრწყინვალე ფეხბურთელია და ასევე მიხარია, რომ ისიც ჩემი თანაკლუბელია.

**- იტალიელ ფეხბურთელთაგან ვის გამოარჩევდით, ვინ მოახდინა თქვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება?**

- მხოლოდ იმ მოთამაშეების დასახელებით შემოვიფარგლები, რომელთა მხარდამხრ ვთამაშობდი. ფრანკო ბარეზი და ჯანფრანკო ძოლა - ორივე ეს გენიოსად ვთვლი და მიმაჩნია, რომ მათ იტალიურ ფეხბურთში წარუშლელი კვალი დატოვეს. მარტო ის რად ღირს, რომ "მილანში" ექვსნომრიანი მაისურა ბარეზის სამუდამო მფლობელობაში გადაეცა, ხოლო ძოლა "ჩელსის" საუკუნოვან ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს!

**- ბარეზი "მილანის" რეკორდსმენი იყო ჩატარებული მატჩების მიხედვით. შარშან თქვენ გაუსწარით...**

- ჩემთვის დიდი პატივია, რომ ფრანკოს მიღწევა გავაუმჯობესე! მისი კარიერა უდავოდ იმსახურებს დიდ პატივისცემას.

**- ერთ-ერთი მწვრთნელი, რომელმაც თქვენს კარიერაში დიდი როლი ითამაშა, ფაბიო კაპელოა. ამბობენ, რომ მას არცთუ კარგად დაშორდით...**

- უსიამოვნება არ ყოფილა, უბრალოდ, გარკვეულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრება გვქონდა. თანაც, ნუ დაგავიწყდებათ, რომ 1998 წელზე ვსაუბრობ. ამ დროს კი "მილანი" სულაც არ იყო ძლიერი... მაგრამ მოდით, კარგი გავიხსენოთ და არა ცუდი, მით უმეტეს, რომ მასთან დაკავშირებით მართლაც ბევრი რამ მაქვს ტკბილად მოსაგონარი. თუნდაც ის რად ღირს, რომ "მილანში" კაპელოს ხუთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე გუნდმა ოთხჯერ მოიგო სერია ა, სამჯერ იტალიის სუპერთასი, ხოლო თითოჯერ ჩემპიონთა ლიგა და ევროპის სუპერთასი! მიმაჩნია, რომ მთავარი სწორედ ესაა და არა ის პატარა უსიამოვნება, რომელსაც ჩვენს ურთიერთობაზე ზეგავლენა არ მოუხდენია. სხვათა შორის, სწორედ კაპელოს ხელში მოვიგე პირველი ტიტული - 1985 წელს "მილანის" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად თანატოლთა შორის იტალიის თასი მოვიპოვე!

**- არიგო საკიზე რას იტყვით? სხვა თუ არაფერი, "მილანის" ტიტულებს მანაც არაერთი პრიზი შემატა...**

- მასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება: 1987 წლის ზაფხულში სარდინიაზე ვისვენებდი, გოგონებთან ვერთობოდი, ერთი სიტყვით, ბოლომდე ვტკბებოდი შვებულებით. ერთ მშვენიერ დღეს საკი დამიკავშირდა და პირდაპირ მითხრა: "თუ გინდა მექალთანე იყო, მე არ გიშლი - იყავი, მაგრამ მაშინ ფეხბურთს უნდა შეეშვა!" მილანში დაბრუნებულმა მალე ადრიანა გავიცანი და გოგონებში და ღამის კლუბებში ხეტიალს შევეშვი. საკის ძალიან გაუხარდა... ზოგადად, ის დიდებული სპეციალისტი იყო. თავად განსაჯეთ: მის ხელში ორი წლის მანძილზე ვიგებდით ჩემპიონთა, ევროპის სუპერ და საკონტინენტთაშორისო თასებს და, რაც ყველაზე მთავარია, შესანიშნავად ვთამაშობდით!

**- რიგით მეექვსე სკუდეტო ალბერტო ძაკერონის ხელში მოიგეთ...**

- ბევრი თვლის, რომ 1999 წელს "მილანი" შემთხვევით გახდა ჩემპიონი, მაგრამ ამ აზრს არ ვიზიარებ - ჩვენ წარმატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით და საბოლოოდ ვუწიეთ კიდეც მიზანს. ძაკერონიმ კლუბში მოსვლისთანავე გამოასწორა მდგომარეობა და ორწლიანი ჩავარდნის შემდეგ "მილანს" პირველობა მოაგებინა. ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ ძლიერ სპეციალისტებს შეუძლიათ.

**- ანჩელოტიმდეც მივედით. თქვენ წლების მანძილზე თამაშობდით კარლოს მხარდამხარ...**

- მან კლუბში ხავერდოვანი რევოლუცია მოახდინა - მის ხელში "მილანმა" მყარად დაიმკვიდრა ადგილი არა მარტო იტალიის, არამედ ევროპის წამყვან კლუბებს შორის. კარლომ შესანიშნავად წარმართა სატრანსფერო პოლიტიკა და ის მოთამაშეები შემოიკრიბა, რომლებიც მის იდეებს ზედმიწევნით კარგად განახორციელებენ. რაც მთავარია, ანჩელოტის "მილანი" ყოველ სეზონში იგებს რაიმე ტიტულს. იმედია, წლეულსაც იგივე მოხდება.

**- "მილანი" სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასისთვის იბრძვის. შეძლებთ ორივე ტურნირში გამარჯვებას?**

- შეუძლებელი არაფერია - "მილანი" ძლიერი გუნდია, კარგადაა დაკომპლექტებული და ვფიქრობ, დაწყებული საქმის დაგვირგვინებაც შეუძლია. თუ იტალიის ჩემპიონატიც მოვიგეთ და ლიგაც, ეს შესანიშნავი იქნება, მაგრამ მხოლოდ ერთი ტიტულიც გამახარებს. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: რომელიმე შეჯიბრებას აუცილებლად მოვიგებთ!

**- ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში თანაქალაქელ "ინტერს" ხვდებით. ორი წლის წინ მათ ნახევარფინალში აჯობეთ...**

- მჯერა, კვლავ ჩვენ ვიმარჯვებთ. რატომ? "მილანი" "ინტერზე" უკეთესი გუნდია!

BRITISH AIRWAYS

მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ 24საათის და მისი პარტნიორის ავიაკომპანია ბრიტიშ ეარვეისის ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ქვემოთ მოყვანილ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში ... ბრიტიშ ეარვეისის თბილისის ოფისში ... 2005 წლის 12 აპრილის 17:00 საათამდე ...

ლატარიის გათამაშება შედგება 2005 წლის 15 აპრილს, 17:30 საათზე ...

ვიქტორინის მონაწილის შესახებ:
სახელი, გვარი
ასაკი
ტელეფონი
საცხოვრებელი ტელეფონი (აუცილებელი არ არის)
ელექტრონული ფოსტის მისამართი

1. კვირაში რამდენ რეისს განახორციელებს ბრიტიშ ეარვეისი თბილისსა და ლონდონს შორის 2005 წლის 28 მარტიდან?
1. კვირაში ერთ რეისს
2. კვირაში სამ რეისს
3. ყოველდღიურ რეისებს

2. ...
1. ...
2. ...
3. ...

3. ...
1. ...
2. ...
3. ...

4. ბრიტანეთის რომელ აეროპორტში ...
1. ...
2. ...
3. ...

5. ...
1. ...
2. ...
3. ...

6. ...
1. ...
2. ...
3. ...

7. ...
1. ...
2. ...
3. ...

8. ...
1. ...
2. ...
3. ...

9. ...
1. ...
2. ...
3. ... (World Traveller) ... (Club World)

10. ...
1. BMED ...
2. GB ...
3. ...

## ინფოთეკა

### ტოტი "რომაში" რჩება

იტალიური კლუბის "რომას" ხელმძღვანელობა აპირებს თავის ლიდერ ფეხბურთელთან ფრანჩესკო ტოტისთან გააფორმოს ახალი კონტრაქტი, რომელიც 2011 წლამდე იქნება ძალაში. ფორვარდი და კლუბის ხელმძღვანელობა სწორედ ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად შეხვდნენ ერთმანეთს. კაპიტანმა განაცხადა, რომ წინააღმდეგი არაა კარიერა "რომაში" დაასრულოს. მისივე თქმით, იგი არ აპირებს, ხელმძღვანელობას დამატებითი მოთხოვნები წაუყენოს. თუმცა, იმის გარანტია მოითხოვა, რომ უახლოეს მომავალში რომაელები ყველაზე მაღალი ადგილების დასაკავებლად დაიწყებენ ბრძოლას. აღსანიშნავია ისიც, რომ კლუბის მესვეურები ... მომავალ სეზონში მთავარი მწვრთნელის პოსტზე "პარმას" ყოფილი მწვრთნელი ჩეზარე პრანდელი აირჩია.

### მოურინიო პორტუგალიის ტელევიზიაში მიიწვიეს

ლონდონის "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო 18 აპრილს მონაწილეობას მიიღებს ერთ-ერთი პორტუგალიური ტელეკომპანიის ყოველთვიურ სატელევიზიო ტოქშოუში, სადაც მწვრთნელი ისაუბრებს თავისი მუშაობის შესახებ ინგლისში, ასევე შეეხება პორტუგალიური ფეხბურთის მდგომარეობას.

### ერნან კრესპო ფეხბურთიდან წასვლას აპირებდა

"მილანის" თავდამსხმელმა ერნან კრესპომ აღიარა, რომ "ჩელსიში" თამაშის დროს ტრავმების გამო ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობდა.

"როცა ერთ ტრავმას ვიშუშებდი, მეორეს ვიღებდი, შემდეგ - მესამეს. ... ", - განაცხადა კრესპომ.

ლონდონის გუნდმა კრესპო 2003 წელს შეიძინა 16,8 მილიონ გირვანქა სტერლინგად. თუმცა, "მილანი" ფეხბურთელი ... მიზნით ... გადაბარდა.

ამჟამად შეთანხმების მისაღწევად კლუბები კვლავაც თათბირობენ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

## TV-სპორტი

**შაბათი. 2 აპრილი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "არბატი"
13:30 "2:1". ტოქშოუ
14:30 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
14:55 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "დინამო" - "არბატი". პირდაპირი ტრანსლაცია
16:25 თავისუფალი დარტყმა
16:40 "საფეხბურთო კლუბი"
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. "ვერდერი" - "შტუტგარტი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ოსერი" - "ნანტი". პირდაპირი ტრანსლაცია
21:10 თავისუფალი დარტყმა
21:30 სახელით ტელეპროგრამა
21:40 "ევროლიგაში". მსოფლიო ჩემპიონატი-2006. უკრაინა - დანია
22:10 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ბლექბერნი"
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვილარეალი" - "ატლეტიკო". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:10, 15:45, 18:15 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამი. ნახევარფინალი
11:55 "ჩვენი ჰოკეი ჰლუზე"
12:25 "დარი და ჰოლი" - ტელეჟურნალი
13:25 "სარკის წინ"
13:55 ჩოგბურთი. "Masters Series" მაიამი. ნახევარფინალი
16:00 ჰოკეი. სტენლის თასის რეგულარული ჩემპიონატი. 2001 წელი. "TORONTO MAPLE LEAFS" - "NEW JERSEY DEVILS". მე-6 მატჩი
18:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "PHOENIX SUNS" - "MINNESOTA TIMBERWOLVES"
21:20 სახელით ტელეპროგრამა
21:25 ფიგურული სრიალი. ანდრია ბოჩელის შოუ
22:20 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "BERLIN THUNDER" - "FRANKFURt GALAXY". პირდაპირი ტრანსლაცია
(00:15) - ახალი ამბები
00:50 ... ჩოგბურთი. ... ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**
10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი დანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
15:30 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. ...
16:30 მაგიდის ჩოგბურთი. ევროპის ჩემპიონატი დანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. ნახევარფინალი
21:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი მაიამიში. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
23:15 ... ჩემპიონატი კანადაში. ...
02:00 ახალი ამბები
02:15 სნუკერი. ჩინეთის ღია ტურნირი. ნახევარფინალი

ფეხბურთი

# კახა ცხადაძე - „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი

## ახალი გუნდით ძველი მიზნებისთვის

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - კახაბერ ცხადაძე, რომელსაც კარგად იცნობს ქართული საფეხბურთო საზოგადოებრიობა. ცხადაძე პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომლის უცხოური კარიერა მაღალ დონეზე წარიმართა. თამაშობდა მოსკოვის "სპარტაკში", საიდანაც ფრანკფურტის "აინტრაჰტში" გადაინაცვლა და ამ კლუბთან ერთად ბუნდესლიგის ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ცხადაძე წლების განმავლობაში საქართველოს იმ ეროვნულ ნაკრებს კაპიტნობდა, რომელიც საერთაშორისო არენაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა. მისი კაპიტნობით ნაკრები პირველივე შესარჩევ ციკლში მესამე ადგილზე გავიდა. "აინტრაჰტიდან" ინგლისის "მანჩესტერ სიტიში", შემდეგ კი პოსტსაბჭოურ სივრცეში დაბრუნების შემდეგ ცხადაძის საფეხბურთო კარიერა თანდათან ფინიშს მიუახლოვდა და მანაც ფეხბურთთან კავშირი სამწვრთნელო ასპარეზზე გადართვით შეინარჩუნა. მოედანზე ცხადაძე, პირველ რიგში, ინტელექტით გამოირჩეოდა. იგი იმ იშვიათ მოთამაშეთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთა მიმართაც ეპითეტი - მოაზროვნე ფეხბურთელი ქათინაური არ იყო. ასეთი ყაიდის ფეხბურთელები სამწვრთნელო ასპარეზზე ხშირად აღწევენ წარმატებებს. დიდი შანსია, რომ არც ცხადაძე იქნება გამონაკლისი. მით უმეტეს, კახას თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად საქართველოში საუკეთესო ასპარეზი მიეცა - იგი თბილისის "დინამოს" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

გუშინ "დინამოს" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა ახალი მთავარი მწვრთნელის პრეზენტაცია. კახა ცხადაძე მედიას წარუდგინა "დინამოს" მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა.

"სპორტული შედეგების თვალსაზრისით მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდით. "დინამომ" ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერობა დაკარგა. ჩვენი მიზნები უცვლელია - გუნდმა საქართველოს ჩემპიონის ტიტული უნდა დაიბრუნოს. დროებითი ჩავარდნის მიუხედავად, არ დაგიმალავთ, ჩვენ ეჭვი მაინც არ გვეპარებოდა, რომ ჩემპიონობის მოპოვებას შევძლებდით. და მაინც, წარუმატებლობაზე♣პასუხისმგებლობას არ გავურბივართ, რისი დასტურიცაა არა მხოლოდ მთავარი მწვრთნელის გია გეგუჩაძის გათავისუფლება, არამედ "დინამოს" სპორტული დირექტორის კახა ჭუმბურიძის პოსტიდან გადადგომა. კარგად მოგეხსენებათ, როგორი ახლო ურთიერთობა გვაქვს მე და ჭუმბურიძეს. იგი ჩემი უახლოესი მეგობარია. მაგრამ ჩვენ პირად ურთიერთობაზე წინ საქმეს ვაყენებთ - "დინამოს" სპორტული დირექტორის პოსტიდან მისი წასვლაც ამის ნათელი დადასტურებაა. ახლა ეს პოსტი ვაკანტურია. ახლო მომავალში წარმოგიდგენთ ახალ კანდიდატურას. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელს, "დინამოს" უხელმძღვანელებს კახაბერ ცხადაძე, რომელსაც ქართული სდაფეხბურთო სამყარო ძალზე კარგად იცნობს", - განაცხადა დავით პეტრიაშვილმა.

ამჟამად "დინამო" სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზეა და სულ ერთი ქულით ჩამორჩება



ლიდერს - თბილისის "თბილისს". გასაგებიცაა, რომ "დინამოს" ხელმძღვანელობა ახალ მთავარ მწვრთნელს ულტიმატუმური ხასიათის მოთხოვნას უყენებს - ჩემპიონის ტიტულს სთხოვს. როგორც აღმოჩნდა, კახა ცხადაძის პირადი კონტრაქტის დეტალები სწორედ ჩემპიონატის ჩამთავრების შემდეგ გახდება ცნობილი.

"დღეს ცხადაძის კონტრაქტის ხანგრძლივობაზე და ვადებზე კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ჩვენი მთავარი მიზანია ჩემპიონობის მოპოვება და, სულ მცირე, ჩემპიონთა ლიგის ორი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვა. მიგვაჩნია, რომ დღევანდელ "დინამოს" აქვს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების პოტენციალი. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიაკციო ეტაპებს, ზაფხულში გაიხსნება "სატრანსფერო ფანჯარა" და ახალი ფეხბურთელების კანდიდატურების ცხადაძესთან შეთანხმებით "დინამოს" აუცილებლად გავაძლიერებთ", - თქვა მმართველმა დირექტორმა.

გამოდის, რომ ცხადაძეს მოქმედების სრული თავისუფლება ჯერჯერობით მხოლოდ მიმდინარე სეზონის ბოლომდე აქვს. თავად ახალი მთავარი მწვრთნელი ამაზე არც ფიქრობს და უკვე შეუდგა საქმეს - იგი "დინამოში" თავისი გუნდით მიდის.

"დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "დინამოს" დირექტორატს იმ ნდობისთვის, ასეთი საპასუხისმგებლო პოსტის შემოთავაზებით რომ გამოხატა. პირადად ჩემთვის ეს ორმაგად დასაფასებელია. ვაღიარებ, რომ შედარებით ახალბედა მწვრთნელი ვარ. სრულად ვაცნობიერებ იმ პასუხისმგებლობას, რაც დამეკისრა. სამართლიანი, თუმცა, სერიოზული და რთული მიზანი დამისახეს, რომელსაც შეიძლება მიაღწიო. ამ მიზნის რეალობად ქცევას ჩემს გუნდთან ერთად შევუდგები. ჩემი ასისტენტი იქნება ყველასთვის კარგად ნაცნობი ზაურ სვანაძე. მეკარეების მწვრთნელად გელა ჭანტურია იმუშავებს, ხოლო "დინამო 2"-ს კახა კაჭარავა ჩაუდგება სათავეში", - ასეთი საკადრო სიახლეებით მოვიდა გუნდში ცხადაძე.

ახალი მთავარი მწვრთნელი "დინამოს" დაკომპლექტებით აღფრთოვანებული არ არის.

"სამწუხაროა, რომ ჩემპიონატის განახლებამდე "დინამო" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მათი შემცვლელების მოძებნა პრაქტიკულად შეუძლებელია, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ფეხბურთელები, ყველანი, ეროვნული ნაკრების წევრები არიან. ისე არ გამიგოთ, თითქოს არსებული კონტინგენტით ჩემპიონობისთვის ბრძოლა გადაუჭრელ ამოცანად მიმაჩნია. უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ იმ ფეხბურთელების წასვლით (იგულისხმება კვირკველია, კანკავა, შაშიაშვილი, სალუქვაძე, - რედ.) "დინამოს" დიდი ძალა დააკლდა. ჩემპიონატის დებულების თანახმად, სეზონის ბოლომდე ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ დავიმატებთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასელექციო საქმიანობას შევწყვეტთ", - განაცხადა ცხადაძემ.

რომ ვთქვა, ახალი მთავარი მწვრთნელი ფეხბურთელებს გაეცნო-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ცხადაძე ყველა დინამოელს არათუ პირადად იცნობს, ზოგიერთი მათგანის გვერდით უთამაშია კიდეც, თანაც, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

"ნემსაძესთან და ჯამარაულთან ჩემი ახლო ურთიერთობის თაობაზე ყველას მოგეხსენებათ. თუმცა, ეს სულ არ ნიშნავს იმას, რომ ამ ურთიერთობების გამო რაიმე კომპრომისზე წავალ. დიდი იმედი მაქვს, რომ გუნდისთვის ამ არცთუ სასიამოვნო სიტუაციაში ლიდერის ფუნქციას იტვირთებენ და ახალგაზრდა ფეხბურთელებს აიყოლიებენ. მათ, ისევე როგორც თითოეულ დინამოელს, ინდივიდუალურად ვესაუბრე. ყველა მონდომებულია, სეზონი კარგად ჩავამთავროთ. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. რაც შეეხება ჩერმპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებს, იმას, თუ რა მოხდება აგვისტოში, ამ თემაზე საუბარი ნაადრევად მეჩვენება. დღეს ერთი მთავარი ამოცანა გვაქვს - გავხდეთ ჩემპიონები და სხვა რამეზე არც ვფიქრობ", - აღნიშნა "დინამოს" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა.

ცხადაძის ნათლობა "დინამოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დღეს შედგება, თუმცა, ეს უფრო მოთელვა იქნება, ვიდრე სერიოზული გამოცდა. "დინამო" დღეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გამოკვეთილ აუტსაიდერს, პრაქტიკულად უკვე პირველ ლიგაში ჩამოქვეითებულ გორის "დილას" უმასპინძლებს.

კრივი

# როი ბრუნდება!

*ოთხ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულებს ფლობდა და დაუმარცხებლის სახელითაც სარგებლობდა. მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ შარშან ზედიზედ ორ ორთაბრძოლაში თავჩაქინდრულმა დატოვა რინგი, რაც კრივის სამყაროსთვის დიდი მოულოდნელობა იყო, თუმცა, არც მეტოქეები იყვნენ ჯაბანნი. დაღმასვლა შარშან, მაისში დაიწყო, როდესაც ანტონიო ტარვერთან ჩხუბში დამარცხდა. ერთგვარი რეაბილიტაციისთვის სექტემბერშიც მოირგო ხელთათმანები, მაგრამ ვერც გლენ ჯონსონის დამარცხება შეძლო. გადაწყვიტა, კრივიდან წასულიყო. წავიდა კიდეც, თუმცა, უკან დასახევი გზა მაინც დაიტოვა. საუბარია როი ჯონს-უმცროსზე.*



*როი ჯონსი გლენკოფ ჯონსონმა მეცხრე რაუნდში ნოკაუტში გაუშვა, მას შემდეგ ჯონსი რინგზე აღარ გამოჩენილა.*

გიგა გურასაშვილი

ამბობენ, როი ჯონსს ჩხუბი მოსწყურდაო. ამის დასტურად მომავალი მეტოქის ვინაობასაც ასახელებენ. ეს კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ნახევრად მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი კლინტონ ვუდსია. მხოლოდ დრო და ადგილი ზუსტად არაა განსაზღვრული. ცნობილია, რომ როი ჯონს-უმცროსი კლინტონ ვუდს სექტემბერში შეერკინება, ამასთან, მძიმეწონოსანთა დივიზიონის ჩარჩოებში.

იმავდროულად გავრცელდა ინფორმაცია, რომ როი ჯონსის მომავალი მეტოქე იქნება არა ვუდსი, არამედ მძიმეწონოსანი ერიკ ეშა (ის ბათერბინის სახელითაა ცნობილი). პროფესიული კრივის მოყვარულებმა იციან, რომ ამგვარი ამბები რინგისთვის ჩვეული ამბავია. მე კი იმას მოგიყვებით, რაზეც ხელი მიმიწვდა, რაც უფრო დაწვრილებით გავრცელდა.

"არ ვაპირებ იოლი გამოსავლის ძებნას, - ერიკ ეშასთან შესაძლო დაპირისპირების თაობაზე ამბობს ჯონსი. - მჭირდება გამოწვევა. მჭირდება რაღაც ახალი. ის, რაც მოტივაციას ამიწევს და არა უსასრულო ორთაბრძოლები იმ მოკრივეებთან, რომლებსაც საკუთარი თავი დიადებად წარმოუდგენიად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს მიერ დატოვებული საჩემპიონო ქამრები გაინაწილეს. ბათერბინი კი მეტად საშიში მეტოქეა, ისეთი, რომელთან შეხვედრასაც თვით მაიკ ტაისონიც კი თავს არიდებდა.

ხალხს დიდი სანახაობა სჭირდება და როი ჯონსს სწორედ ეს განუზრახავს".

როდესაც ბათერბინმა ჯონსთან ჩხუბის შესაძლებლობაზე შეიტყო, თქვა, რომ მასთან ჩხუბი დიდი პატივია და იქვე დასძინა: ყველაფერს ვიღონებ, რომ მეტოქე პირველივე რაუნდში გავუშვა ნოკაუტში - დიდხანს არ ვაწვალებო. "კარიერის პირველივე დღიდან მსურდა მაიკ ტაისონთან შერკინება, მაგრამ ჩემთან შეხვედრას ყოველთვის გაურბოდა, რადგან იცოდა, თუ რამდენად ძლიერი ვარ. რაც თავი მახსოვს, მუდმივად ჩემპიონებს ვიწვევდი ჩხუბში, მაგრამ ჩემი გამოწვევის მიღება მხოლოდ ლარი ჰოლმსმა გაბედა. როი ჯონსი მეორე დიდი მოკრივეა, რომელსაც ჩემთან ჩხუბის არ შეეშინდა. მასაც იგივე ბედი ელის, რაც ლარი ჰოლმსს დაემართა - პენსიაზე გავუშვებ".

ბათერბინმა ისიც თქვა, რომ ჯონსს საკუთარი კარიერის უმდაბლესი წონით - დაახლოებით 125 კილოგრამით შეერკინება.

ერთი სიტყვით, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მოკრივეს როი ჯონს-უმცროსს რინგზე დაბრუნება უნდა. ცოტა ხნის წინათ კი ამბობდა, კრივისგან დავიღალე. რისი მიღწევაც შეიძლებოდა, მივაღწიეო...

"ერთადერთი, რამაც შეიძლება რინგზე დამაბრუნოს, ისაა, რომ უილბლოს იარლიყი არ შემრჩეს. არ მინდა კარიერა მარცხით დავასრულო. უკან დავიხიო იმის გამო, რომ რაღაც არ გამოდის, არ მჩვევია. ეს ერთადერთი სერიოზული მიზეზია იმისა, რამაც შეიძლება უკან დამაბრუნოს".

ვიდრე საქმე აქამდე მივიდოდა, კრივისგან თავისუფალ დროს რომ არ მოეწყინა, თავს იმით იქცევდა, რომ მისივე სახელის მქონე ტანსაცმლის ხაზი - ROY Collection გამოუშვა.

სხვათა შორის, ჯონსის სახელობითი სპორტული აქსესუარების გამოშვებითაა დაკავებული "ნაიკიც". სხვაობა კი ისაა, რომ როისეული კოლექცია სხვა ბაზარზეა ორიენტირებული, რომელშიც შედის აბრეშუმის კოსტიუმები, შარვლები, პიჯაკები, ქაშმირის სვიტერები, ტყავისა და შალის პალტოები. ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მოკრივე მოდის სამყაროშიც ამბობს საკუთარ სიტყვას. იგივე საქმიანობითაა დაკავებული ძველი თაობის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჯორჯ ფორმენიც.

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 აქამდე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

თქვენი ფოტოსურათი

# პრინცი გურიელი

## შეკოწიწებული ისტორია

B1 გვერდიდან

ჩილი კი ბედის საძიებლად საზღვარგარეთ წავიდა. ჯერ ავსტრალიაში ჩავიდა. იქ შეიძინა "პლუშის" სათამაშო კოალა, რომელიც შემდეგ მისი თილისმა გახდა და სულ თან ატარებდა. ავსტრალიიდან პარიზში გადავიდა, სადაც მისი ბიოგრაფია უკვე ჰელენა რუბინშტაინის ბიოგრაფიის ნაწილი გახდა.

1939 წელს წყვილი საცხოვრებლად ამერიკაში გადასახლდა. დოკუმენტურ ფილმში "სილამაზის დედოფალი" ავტორები მოგვითხრობენ:

"პრინცი და პრინცესა სისხლსავსედ ცხოვრობდნენ. ენერგიულ და ენთუზიაზმით სავსე ჰელენას ნიუ იორკი უყვარდა. ჯაზის პომპეზური საღამოები, ახალი კოქტეილები, კინოპრემიერები, მიუზიკლები, ლამაზმანები, ვარსკვლავები... გარშემო თითქოს ყველაფერი მოძრაობდა, სუნთქავდა და კაშკაშებდა..."

ამ გარემოში პრინცი გურიელი ნამდვილი პრინცივით იქცეოდა, თავისი გარეგნობით, უშუალობით და სილაღით ყველას ყურადღებას იპყრობდა და მეგობრებსაც შემოქმედებით ბოჰემასა თუ ჰოლივუდის წრეებში უმალ იძენდა. არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფოტოც - 1954 წელს სალვადორ დალიმ თავისი მეგობრის, პრინცი გურიელის თხოვნით მისი პორტრეტი დახატა. არჩილ ჭყონიამ მხატვარს აუწერა საქართველო, უამბო ლეგენდები და ტილოც ასეთი გამოვიდა: ეროვნულ სამოსში გამოწყობილი პრინცი გურიელი დგას კლდეების, მტკვრის და კლდეზე მიჯაჭვული ამირანის ფონზე.

ხშირად ხატავდნენ თავად ჰელენასაც. ერთადერთი, ვინც მან პორტრეტის დახატვაზე ვერ დაითანხმა, ახლო მეგობარი, პაბლო პიკასო იყო. სამაგიეროდ პიკასომ "გენიოს ქალს" მრავალი სკეტჩი უძღვნა.

საერთოდ, ჰელენა რუბინშტაინისა და პრინცი გურიელის თითოეული სახლი ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო - ხელოვნების სხვა ნიმუშებით სავსე. ჯერ კიდევ კარიერის პირველ ნახევარში ჰელენა აფრიკული ხელოვნებით დაინტერესდა, პარალელურად აგროვებდა რენუარს, მატისს, შაგალს, თავისი პარიზული სახლის ბანზე აწყობდა მიღებებს, მოდიოდა კოკო შანელი, ჰემინგუეი.

შემდეგ ასეთივე მიღებები უკვე ამერიკაში ეწყობოდა. პარკ ავენიუზე პრინცისა და პრინცესას 26-ოთახიანი აპარტამენტის გალერეა სესილ ბიტონმა მოაწყო. ჭყონიას და რუბენშტაინს უყვარდათ ხელოვნება და სწორედ ასეთ გარემოში ცხოვრობდნენ. ისინი არა მარტო ძველ ტილოებს ყიდულობდნენ, თანამედროვე მხატვრებს თვითონ უკვეთავდნენ ნახატებს. მაგალითად, ბანქოს ოთახისთვის ტილო მათ დალიმ აჩუქა, იქვე ერთმანეთში იყო არეული კლასიკური ბერძნული ქანდაკების ნიმუშები, ბრანკუზის სკულპტურები, მოდელიანი, მატისი და სხვები.

ხელოვნება და კოსმეტიკა - ასე იყოფოდა ჰელენას ცხოვრება. უკვე მოგახსენეთ, რომ მას ტიტული სჭირდებოდა. 40-იან წლებში კი ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა ის, თუ რისთვის სჭირდებოდა ეს ტიტული ჰელენას. მან კიდევ ერთხელ გაუსწრო დროს და ნიუ იორკში, 46-ე ქუჩის კუთხეში მამაკაცებისთვის პრინცი გურიელის სახელობის სალონი გახსნა. ასეთი რამ მაშინ არავის ენახა. რამდენიმესართულიან კომპლექსში, რომელსაც გარედან დიდი ასოებით ამშვენებდა ტრაფარეტი - "პრინცი გურიელი" - მამაკაცებს ვარცხნილობას, მანიკიურს, სახის მოვლას და ტანსაცმელს სთავაზობდა. პრინცი გურიელის სახელით სუნამოც გამოდიოდა, რომლის ფლაკონიც კოქტეილის შეიკერს მოაგონებდა მამაკაცებს და ყველას ძალიან მოსწონდა.

თუმცა, წამოწყება ზედმეტად ნოვატორული გამოდგა - ნიუ იორკელმა მამაკაცებმა ჰელენას ენთუზიაზმი ვერ გაიზიარეს და 50-იან წლებში ის იძულებული გახდა, სალონი დაეხურა.

ამავე პერიოდს დაემთხვა ორი დიდი ტრაგედიაც - ჰელენამ დაკარგა ქმარი, არჩილ ჭყონია და ვაჟიც (პირველი ქორწინებიდან). თითქოს რუბინშტაინის ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა, მაგრამ ის მაინც არ შეჩერებულა - მუშაობა გააგრძელა და არც საზოგადოებრივ ცხოვრებას გამოაკლდა. უკვე ძალიან მოხუცი, მოდის ჩვენებებზე პირველ რიგში იჯდა. ამ დროს, ძირითადად, მარლენ დიტრიხი ახლდა ხოლმე თან.

გაზეთები წერდნენ, რომ ტრაგედიებმა ჰელენა ვერ მოტეხა. დედოფალი ბოლომდე დედოფლობდა. ის 1965 წლის 1 აპრილს 95 წლის ასაკში გარდაიცვალა. ცოტა ხნით ადრე კი პრესას უთხრა: "მეშინია თუ არა სიკვდილის? მას საკმაოდ დიდხანს ველოდე. თუმცა, ისე გართული ვიყავი ცხოვრებით, რომ სიკვდილზე არც მიფიქრია. ალბათ, წინ საინტერესო თავგადასავალი მელის".

მისი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო თავგადასავალი კი პრინც გურიელთან ერთად ცხოვრება იყო. ის მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ გურიელი ძალიან უყვარდა.

ჰელენამ საყვარელი მეუღლე არლინგტონის სასაფლაოზე დაკრძალა.

არჩილ ჭყონიას შთამომავლობა არ დარჩენია. აღარც საქართველოში დაბრუნებულა. თუმცა, ჰოლივუდის ვარსკვლავურ ცხოვრებასა თუ ხელოვანთა ბოჰემაში ჩაფლულ პრინცს მაინც არ დაუვიწყებია თავისიანები და ნათესავებს შორიდან მუდამ ეხმარებოდა. რამდენიმე მათგანი განათლების მისაღებად პარიზშიც წაიყვანა...

აი, აქ იკვრება ჯაჭვი, რომლის შეკოწიწება თბილისში დაცული ფოტოებითა და რამდენიმე ამბით, ჟურნალებითა და დოკუმენტური ფილმით გახდა შესაძლებელი. ფოტოები, რომელთაც დღეს წარმოგიდგენთ, ზემოთ ნაამბობის სიმართლეში აუცილებლად დაგარწმუნებთ და ცოტათი მაინც გაგაცნობთ ქართველ პრინცს, რომელმაც მეოცე საუკუნის ლეგენდები მოხიბლა.



არჩილ ჭყონია, ჯანეტ მაკდონალდი და ჰელენა რუბინშტაინი



პრინცი და პრინცესა ჰოლივუდურ მიღებაზე



არჩილ ჭყონია აფრიკაში.






გურიელი ეროლ ფლინთგან ერთად



სააღდგომო სუფრა. ცოლ-ქმარი იაპონელ, რუს და ქართველ მზარეულებთან ერთად.



ბეტ დევისი, ჰელენა რუბინშტაინი და არჩილ ჭყონია.

# ერიდეთ თქვენ გვერდით მოპარპაშე უმეცრებას და თვითრეკლამირების უბადლო ოსტატს

("შიშველი მეფის" - ბიძინა სავანელის რეალური პორტრეტი)

ლევან ალექსიძე

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (26.02.05) გამოქვეყნდა ლია ჭელაძის მასალა "მეცნიერებმა უარყვეს აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსი", საკითხი განიხილებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მოწვეულ კონფერენციაზე. დამსწრეთა შორის ჩემთვის ნაცნობი გვარები ამოვიკითხე, ყველა მათგანს, ერთის გამოკლებით, დიდ პატივს ვცემ. მაგრამ მიკვირს, როგორ მოხვდა მათ შორის პიროვნება, რომელიც გამოირჩევა ორი თვისებით - უმეცრებით და თვითრეკლამირების უბადლო ოსტატობით - ბიძინა სავანელი.

## 1. რამდენიმე სიტყვა ცრუტიტულატურის შესახებ

თავად განსაჯეთ: გაზეთის ფურცლებზე, სადაც მის გამოსვლას მასალის სამი მეოთხედი დაეთმო, ბ. სავანელის ტიტულატურა შემდეგნარად ჟღერს - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ექსპერტი, ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბ. სავანელი არც დოქტორია (მან არ შეასრულა 1990-იან წლებში შემოღებული ეროვნული ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნები დაცული სადოქტორო დისერტაციების დამტკიცების შესახებ), არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია (დოცენტის იქით არ წასულა), არც ადამიანის უფლებთა საერთაშორისო სამართლის ექსპერტია (ქვემოთ დავადასტურებ ამას). რაც შეეხება ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ყველას აქვს უფლება, გახდეს მისი "ნამდვილი წევრი" ფულადი შენატანის სანაცვლოდ.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თავმოყრილ მეცნიერებს სრული უფლება აქვთ, გამოთქვან თავისი მოსაზრება აფხაზეთის სტატუსის მოგვარებასთან დაკავშირებით, რომელიც თითოეულ მათგანს მანამდეც დაუფიქსირებია. ასეთივე უფლება გააჩნია, მიუხედავად მისი "ტიტულატურის" ცრუ კომპონენტებისა, ბ. სავანელსაც. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მას არ ძალუძს ზემოხსენებული პრობლემის კონცეფციის ჩამოყალიბება, რომელიც რეალურ ფაქტებსა და მეცნიერულად გააზრებულ დებულებებს დაეყრდნობოდა. ამიტომ, აუცილებლად მიმაჩნია მკითხველს გავაცნო ბ. სავანელის "მეცნიერული" მენტალიტეტის უნიკალური თვისება - ის უგულებელყოფს ყველაფერს, რაც მის გარშემო კეთდება და თხზავს მეცნიერულად მიუღებელ, რეალური ფაქტების უხეში დამახინჯებით აღსავსე "თეორიებს".

## 2. უმეცრება + არაკომპეტენტურობა

ბ. სავანელი "ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ექსპერტია", მაგრამ ისეთ შეცდომებს უშვებს, რომლებიც პირველი კურსის სტუდენტსაც კი არ ეპატიება.

თავის "ნაშრომში" - "საერთაშორისო სამართლის საფუძვლები" - რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა (მაგრამ ოცი წლის წინანდელ მასალას ეყრდნობა), **ავტორი ერთმანეთში ურევს "დიპლომატიურ წარმომადგენლობას" და "დიპლომატიურ კორპუსს"** (რომელიც მიმღებ ქვეყანაში არსებული ყველა დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურების - ელჩების კრებადობაა და მხოლოდ ცერემონიალური ფუნქციებით არის აღჭურვილი), ავტორი კურიოზამდე მიდის: თურმე ზოგიერთი გამონაკლისის გარდა... იმუნიტეტი ვრცელდება "**დიპლომატიური კორპუსის ოჯახის წევრებზე**" (გვ. 81). სინამდვილეში ეს ეხება უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრთა ოჯახებს!!! საოცარია, სადამდე შეიძლება მივიდეს ადამიანის უმეცრება, რომელიც "ექსპერტის" სახელს იჩემებს.

ნაშრომში "ადამიანის უფლებები" (სახელმძღვანელო, თბ., 2001), რომელიც ასევე ფაქტობრივი და არსებითი ხასიათის კურიოზებით არის სავსე და პრობლემების თავდაყირა დაყენების ნიმუშებად გვევლინება, ბ. სავანელი აღმოჩენას გვთავაზობს: **თურმე გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა "სამი ქვეკომისია"; ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების, უმცირესობათა დაცვისა და დისკრიმინაციის აღკვეთის ქვეკომისიები** (გვ. 83). ეს ადგილი სამჯერ გადავიკითხე, **ნუთუ ავტორმა არ იცის, რომ შეიქმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის ერთი ქვეკომისია** (Sub-Commission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities) და უკვე დიდი ხანია, რაც მას სხვა სახელწოდება აქვს. სწორედ ამ ქვეკომისიის მდივანი ვიყავი 1970-1976 წლებში ნიუ იორკსა და ჟენევაში. იქნებ ავტორს შეეშალა და არა "სამ", არამედ "ორ" ქვეკომისიას გულისხმობს?

არა, ბ. სავანელი დაწვრილებით განიხილავს "უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის", შემდგომ კი "დისკრიმინაციის აღკვეთის ქვეკომისიის" საქმიანობას.

ანდა რად ღირს უმეცრების ისეთი "მარგალიტი", როგორიცაა მტკიცება, თითქოს ფედერაცია "სუსტად მუშაობს"... "შვეიცარიაში და... ინდოეთში" (?!). თუ გაუგია ავტორს, რომ შვეიცარია აღიარებულია ფედერაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმის ნიმუშად. ბ. სავანელს არც ტერმინ "კრიმინალურის" გაეგება რამე. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (International Criminal Court) სავანელისათვის საერთაშორისო კრიმინალური (?!) სასამართლო ყოფილა.

რა ვუწოდოთ "ექსპერტის" მიერ ზემოთ აღნიშნულ დებულებებს, ფრაზებს, მოსაზრებებს?

მაგრამ ჭეშმარიტ გაოცებას იწვევს **ბ. სავანელის ბოლო "ნაშრომები", რომლებმაც აღაშფოთა საქართველოში, ისრაელში და საერთოდ მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრები ქართველი, და არა მხოლოდ ქართველი, ებრაელები**.

თვითონ განსაჯეთ, პუბლიკაციაში "რა არის დემოკრატია" (თბ., 2004) და უფრო ადრეც, არაერთ კრებულში მოთავსებულ სტატიაში ბ. სავანელი წერს:

"... საჭიროა ზომები და საშუალებები დღევანდელი პრობლემების მოსახსნელად, **კერძოდ ჯიხადის საშინელების და სიონიზმის თავგასულობის აღსაკვეთად**" (გვ. 43). კიდევ უარესი (თუმცა, ამაზე უარესი რა უნდა იყოს?), თურმე "... ჯიხადი და სიონიზმი ორივე დემოკრატიის მტერია, უფრო მეტიც, **მათთვის მიუღებელია ეროვნული სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობის და მართვის პრინციპი...** (?! - ლ.ა.). (სიონიზმი) უგულებელყოფს საერთო ინტერესებს და უარყოფს საზოგადოების კეთილდღეობას.... მისთვის დამახასიათებელია **დარვინიზმის სასტიკი ლოგიკა**, სიხარბე და დაუნდობლობა. **სიონიზმი საერთოდ უარყოფს სახელმწიფოებრიობას, მით უმეტეს ეროვნულ სახელმწიფოებრიობას** (?! - ლ.ა.) და პოლიტიკური თავისუფლების იდეას... ტრანსნაციონალიზმის იდეოლოგია ყველაზე რეალურად წარმოდგენილია **ისრაელის რასისტულ მთავრობაში... საერთაშორისო ტერორიზმის მიზეზი კი არის საერთაშორისო სიონიზმი**" (გვ. 44-45).

წავიკითხე და თვალწინ დამიდგა 1949 წელს სსრ კავშირში დაწყებული კამპანია კოსმოპოლიტიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, რასაც შეეწირა რამდენიმე ჩემი მეგობარი, შესანიშნავი ახალგაზრდა მეცნიერი (ზოგი მათგანი დახვრიტეს კიდეც). მე და გივი ინწკირველმა ავიმაღლეთ ხმა (მაშინ მოსკოვში, ასპირანტურაში ვსწავლობდით), მაგრამ ვერაფერს გავხდით. ჩვენ კი დაგვსაჯეს პარტიული და კომკავშირული საშუალებებით.

**მკრეხელობაა ამტკიცო, რომ სიონიზმი "ეროვნული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგია"**, მაშინ როდესაც სიონიზმის მთავარი ამოცანა იყო ებრაელთა ეროვნული სახელმწიფოს შექმნა წმინდა ადგილებში, სადაც უნდა ჩასულიყო ებრაელობა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, მათ შორის საქართველოდანაც.

**განა შეიძლება "ჯიხადის", როგორც "საღვთო ომის" სიონიზმთან გაიგივება?! განა შეიძლება "ჯიხადის" ისლამთან გაიგივება?!** ეს პრაქტიკა დღეს დამახასიათებელია ფუნდამენტური ისლამიზმისთვის, ალ-ქაედას და პალესტინელთა ზოგიერთი ჯგუფისთვის. **განა ისლამური სახელმწიფოების კონფერენცია, რომელშიც 40-ზე მეტი სახელმწიფო შედის, "ჯიხადის" იდეაზეა აგებული?!** თუ გაუგია ბ. სავანელს, ისლამური ფუნდამენტალიზმი რა არის?! **ამ მოვლენას ხომ თვით ისლამური სახელმწიფოები ებრძვიან**.

**ბ. სავანელის უმეცრებამ იგი რასისტების რიგებში ჩააყენა, თანაც აქტიური რასისტების, რომლებიც თავის ანტისემიტიზმს ან ანტიისლამიზმს "მეცნიერულ" სარჩულს არგებენ.**

რამდენადაც ვიცი, ბ. სავანელის დებულებებმა ქართველი ებრაელების აღშფოთება გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე ისრაელში და არა მხოლოდ ისრაელში. ისინი სათანადო პასუხის გაცემას აპირებენ.

## 3. აფხაზეთის პრობლემის სრული უცოდინრობა

ზემოთ აღნიშნული "ცოდნით" შეიარაღებული ბ. სავანელი უტიფრად იწყებს აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით "თავისი კონცეფციის" პროპაგანდას, რომელსაც იგი აგერ რამდენიმე თვეა, ყველა კონფერენციასა თუ სემინარზე თავს ახვევს აუდიტორიას. სამწუხაროდ, ის ამას აკეთებს 47 მეცნიერის სახელით, რომლებიც, ვფიქრობ, შეცდომაში შეიყვანა თავისი ცრუმეცნიერული დებულებებით, რასაც ქვემოთ შევეხებით.

ის ფაქტი, რომ საზოგადოება კრიტიკულად შეხვდა ისტორიის ინსტიტუტში განხილულ აფხაზეთის სტატუსის კონცეფციას, რომლის ავტორები არიან კ. კუბლაშვილი, პ. ზაქარეიშვილი და სხვანი, მისასალმებელია. რაც უფრო ბევრი შეხედულება გამოითქმება, კრიტიკული თუ დადებითი, მით უფრო წაადგება ეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეს. ამ კონცეფციაში ჩემთვისაც ბევრი რამ მიუღებელია, თუმცა, ამჯერად დისკუსიას არ დავიწყებ.

მაგრამ ამ საკითხში დაუშვებელია ნებისმიერი დონის არაპროფესიონალიზმი და ნიუანსების უგულებელყოფა. სამწუხაროდ, ბ. სავანელი თავის თავს არ ღალატობს.

ბ. სავანელი პათეტიკურად გვეკითხება: "იმის მაგიერ, რომ "კარები ვუმტვრიოთ" საერთაშორისო (?! - ლ.ა.) და რეგიონულ (?! - ლ.ა.) ორგანიზაციებს ქართველთა ეთნიკურ წმენდის დაგმობის და ლტოლვილთა (?! - ლ.ა.) უპირობო დაბრუნების მოთხოვნით, ერთმანეთს ვუმტვრევთ კარებს, "დაკავებული ვართ უნაყოფო (?! - ლ.ა.) საქართველოს სახელმწიფო მოწყობის შესახებ..."

ჯერ ერთი, **ავტორი აშკარად ვერ ერკვევა საერთაშორისო სამართლის ანბანურ საკითხებში: განა იგივე რეგიონული ორგანიზაცია** (ნატო, ევროპის კავშირი, ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია) **არ არის საერთაშორისო ორგანიზაცია?!** არ არსებობენ უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები. მეორე, ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავთ იმაში, რომ საქართველოს სახელმწიფო მოწყობის და აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების გზების ძიება პარალელურად წარიმართოს. პირიქით, როგორც დღეს იკვეთება, ეს მეორე პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ წაადგება. მაგრამ გასაოცარია სხვა რამ: **საიდან აიღო ბ. სავანელმა, რომ არავის არ დაუსვამს უნივერსალურ და რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებში "ეთნიკური წმენდის" საკითხი?** ეტყობა, ის თავისი ნაშრომების გარდა არაფერს კითხულობს, გაზეთებსაც კი.

მოვიყვან რამდენიმე ფაქტს: დაწყებული 1994 წლიდან 1998 წლამდე გაეროს უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სახით ყოველწლიურად (გაეროს ოფიციალურ ენებზე) ვრცელდება: "აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკის მხილებისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალისთვის გადაცემის კომისიის" მოხსენებები, რომლებშიც ასახულია აფხაზი სეპარატისტების, მათი მოკავშირეების, პირველ რიგში რუსეთის როლი ამ პროცესში (რატომღაც ავტორს მიაჩნია, რომ "ეთნიკური წმენდის" ჩატარებაში მხოლოდ რუსეთია დამნაშავე); გადაეკითხა მოხსენებები და დაინახავდა, სინამდვილეში ვინ სჩადიოდა ამ დანაშაულს.

ამ მოხსენებების საფუძველზე ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე უკვე 1994 წლის დეკემბერში დაგმობილ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩატარებული ეთნიკური წმენდა.

უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს ეუთოს ლისაბონის სამიტის დეკლარაციაში (1996 წლის დეკემბერი) შემდეგი ფორმულირების შეტანა: "**სახელმწიფოები გმობენ ეთნიკურ წმენდას, რომელიც ძირითადად ქართული მოსახლეობის მასობრივ განადგურებასა და აფხაზეთიდან ქართველების იძულებით გაძევებაში ვლინდება. სეპარატისტთა დესტრუქციული მოქმედება, ლტოლვილთა და გაადადგილებულ პირთა დაბრუნებისათვის ხელის შეშლა... ძირს უთხრის პოზიტიურ ძალისხმევას კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრების მიზნით" (პუნქტი 19)**.

აღსანიშნავია, რომ გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც, მიუხედავად ჩვენი ყველა წადილისა, თავს იკავებდა და იკავებს რეზოლუციებში "ეთნიკური წმენდის" დაფიქსირებისა და დაგმობისგან, დღემდე ყოველ რეზოლუციაში, - "შეახსენებს ეუთოს გადაწყვეტილებას აფხაზეთში საქართველოს მდგომარეობის შესახებ".

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეუთოს გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით, ხოლო უშიშროების საბჭოში დიდი სახელმწიფოების ვეტოს უფლება მოქმედებს, ანუ ამ გადაწყვეტილებათა მიღება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის წარმომადგენლებმა ვერ დაბლოკეს მიღების შესაძლებლობა, ადვილი მისახვედრია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნა მოპოვებული.

ბ. სავანელი აშკარა უცოდინრობას ამჟღავნებს, როდესაც აცხადებს: გაეროს წესდების VII თავის გამოყენება აფხაზეთში უტოპიაა: "ის, ვინც ამას ამტკიცებს, ჩანს, არ გაცნობია ამ თავს და არ გაუაზრებია თუნდაც მისი სათაური: "უშიშროების საბჭოს ქმედებანი მშვიდობის მუქარის (?! - ლ.ა.), მშვიდობის დარღვევისა და აგრესიის აქტების მიმართ".

ჯერ ერთი, რადგან ბ. სავანელი დაჟინებით მოითხოვს სათაურის გაცნობას, შევახსენებ, რომ სათაურში უშიშროების საბჭოს ხსენებაც კი არ არის, რაც ბუნებრივია, რადგან თავები V-VII უშიშროების საბჭოს სტრუქტურას და კომპეტენციას ეხება და ისედაც აშკარაა, თუ რა ორგანოა ნაგულისხმევი.

არც თარგმანია ზუსტი - ქართულად არ შეიძლება ითქვას "მშვიდობის მუქარა". VII თავი ითვალისწინებს უშიშროების საბჭოს მოქმედებებს, ისეთი ქმედებების მიმართ, რომლებიც ემუქრება მშვიდობას, არღვევს მშვიდობას, წარმოადგენს აგრესიის აქტებს. ეს არ არის ჩაკირკიტება, ჩვენ გვინდა ვუჩვენოთ მკითხველს ბ. სავანელის "ნაშრომების" სტილი, სადაც ძნელია მოძებნო ფრაზა, რომელიც არ არის ან უმეცრების შედეგი, ან პლაგიატი, თანაც, უხეირო.

ახლა ვნახოთ, მართლა შეუძლია თუ არა უშიშროების საბჭოს ამ სათაურით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. თურმე "ფორმალურად აფხაზეთში მშვიდობაა და შესაბამისად "შეიარაღებული ძალით მშვიდობის დამყარება ნონსენსია".

**ეტყობა, ბ. სავანელს არ წაუკითხავს მუხლი 41**, რომლის მიხედვითაც უშიშროების საბჭოს შეუძლია, გამოიყენოს ისეთი ზომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული შეიარაღებული ძალების ამოქმედებასთან - ეკონომიკური ურთიერთობების სრული ან ნაწილობრივი შეწყვეტა, ასევე სარკინიგზო, საზღვაო, საჰაერო მიმოსვლის, საფოსტო-სატელეგრაფო და რადიოკავშირების შეწყვეტა.

**ეს არის სწორედ ის ზომები, რომლებიც უშიშროების საბჭომ გამოიყენა სეპარატისტი ბოსნიელი სერბების მიმართ. ის ფაქტი, რომ დღეს აფხაზეთში კონფლიქტი რეგულირდება წესდების VI თავით - "დავების მშვიდობიანი მოწესრიგება", არ გამორიცხავს შემდგომი თავის გამოყენების შესაძლებლობას, თუ მშვიდობიანი მოგვარების ყველა რესურსი ამოწურულად ჩაითვლება.**

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, დსთ-ს ერთ-ერთი სამიტის გადაწყვეტილებაში ჩაიწერა, რომ, **თუ სეპარატისტები გააგრძელებენ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საბოტაჟის პოლიტიკას, განხილული იქნება საკითხი სამშვიდობო ოპერაციაში სათანადო, ადეკვატური ხასიათისა და შინაარსის ცვლილებების შეტანის შესახებ, გაეროს წესდების დებულებების შესაბამისად, რომლებიც გამოიყენება ამ შემთხვევაში" (28.III.1998). აქ აშკარად VII თავი იგულისხმება.**

მაგრამ დღეს საუბარი VII თავის ამოქმედების თაობაზე წმინდა პოლიტიკურ მოსაზრებებს აწყდება - დიდი სახელმწიფოები მზად არ არიან, მიმართონ იგივე ზომებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა უშიშროების საბჭოს მიერ ბოსნიელი სერბების მიმართ.

ამგვარად, ბ. სავანელმა არც გაეროს წესდების VII თავის დასახელება იცის ზუსტად, არც ამ თავით გათვალისწინებული ზომების სახეები, არც აფხაზი სეპარატისტების მიმართ ამ თავის გამოყენების სირთულეების ნამდვილი მიზეზები.

**მან არც ის იცის, რომ აფხაზეთიდან გაძევებული ხალხის სტატუსი უკვე დიდი ხანია განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმათა შესაბამისად**. ავტორი წერს: "ჩვენი მთავრობა, რატომ უშვებს რეალურ შანსს და მსოფლიო მასშტაბით არ ახმაურებს თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკისთვის ისეთ უიშვიათეს ფაქტს, როგორიც არის ქვეყანაში სახელმწიფოებრიობის მქონე უმრავლესობის ეთნიკური წმენდა და, რაც მთავარია, რატომ წინა პლანზე არ აყენებს ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს?"

პირველი შენიშვნა: ავტორი ხან ყველა "ლტოლვილის დაბრუნებას" მოითხოვს, ხან - "ლტოლვილებისა და დევნილების" დაბრუნებას. განა ლტოლვილი "დევნილი" არ არის? მართალია, ყოველდღიურ საუბარში, მინისტრებიც კი, ხმარობენ ტერმინებს "დევნილები", "ლტოლვილები" (თუმცა, ცალ-ცალკე), მაგრამ საერთაშორისო სამართალში, გაეროს უშიშროების საბჭოში და ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი **"ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები"**. ამისთვის ქართულ დიპლომატიას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რადგან საქართველოში მყოფი აფხაზეთიდან გაძევებული ადამიანები თავისი სახელმწიფოს ფარგლებში დარჩნენ, იმათგან განსხვავებით, ვინც სხვა ქვეყნებში გაქცევით უშველა თავს. ამიტომაც, როდესაც "ლტოლვილებზეა" საუბარი, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს აფხაზეთიდან გაძევებული მოსახლეობის მხოლოდ 10-15 პროცენტია, - ორივე კატეგორიას აფხაზეთში არსებულ საკუთარ სახლებში უპირობო დაბრუნების უფლება აქვს. მეტიც, რადგან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის კომპეტენციაში მხოლოდ "ლტოლვილების" დახმარება შედიოდა, საჭირო გახდა დიდი ძალისხმევა, რათა "ლტოლვილთა დახმარება" გაადგილებულ პირებსაც შეეხებოდა.

**ბ. სავანელი, მართლა რომ ყოფილიყო "ადამიანის უფლებთა საერთაშორისო სამართლის ექსპერტი", უნდა ჩაწვდომოდა არსებულ პრინციპულ განსხვავებას!**

მით უმეტეს, რომ **უშიშროების საბჭოს, ეუთოს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირის, დსთ-ს მიერაც კი მიღებულია უამრავი დოკუმენტი, რომელშიც სწორედ ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა დაუყოვნებლივი დაბრუნების უფლებაა აღიარებული და აფხაზური მხარის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ხაზგასმულია, რომ დაბრუნების პროცესი არ უნდა იყოს დაკავშირებული აფხაზეთის სტატუსის დადგენასთან, რაც უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს**.

საინტერესოა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის (1124, 1997) ტონი: "**კიდევ ერთხელ ადასტურებს** კონფლიქტის მსვლელობაში დაზარალებული ყველა ლტოლვილისა და გადაადგილებული პირის უფლებას, დაბრუნდნენ მშობლიურ ადგილებში უსაფრთხოების პირობებში, **გმობს**... ამ პროცესისთვის დაბრკოლების შექმნას და ხაზს უსვამს **ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა საკითხის აფხაზეთის, საქართველოს პოლიტიკური სტატუსის საკითხთან ნებისმიერი დაკავშირების მიუღებლობას" (პ. 11). ეს ფორმულა უცვლელად გადადის რეზოლუციიდან რეზოლუციაში დღემდე**. ეს ყველაფერი ქართველ დიპლომატთა დაჟინებული მოთხოვნით კეთდებოდა.

ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაცია დღემდე სრულად ინფორმირებულია იმ თაობაზე, თუ რა ხდება აფხაზეთში, სათანადო განცხადებებსაც აკეთებენ, სათანადო გადაწყვეტილებებსაც იღებენ, **მაგრამ, ჯერჯერობით, საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი ყველაზე გავლენიანი სუბიექტების პოლიტიკური ნება "დაგმობით" და "რეკომენდაციებით" შემოიფარგლება.**

ამდენად, ბიძინა სავანელის სრულიად არაკომპეტენტური, პათეტიკური ტონით გაჟღენთილი კონცეფცია "აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო სამართლებრივი გზით დარეგულირების შესახებ", მხოლოდ ფართო მასებისა და პრობლემის საერთაშორისო სამართლებრივ ასპექტებში ნაკლებად ჩახედული მკითხველის დეზორიენტაციას იწვევს.

ბ. სავანელი ამტკიცებს, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იხსენიებს "მხოლოდ სოხუმის ოლქს და არ ითვალისწინებს ავტონომიებად ქვეყნის დაყოფას". მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მიაღწია იმას, რომ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების ძალით რუსეთი იძულებული გახდა, ეცნო არა მხოლოდ აფხაზეთის საქართველოს საზღვრებში ყოფნის ფაქტი, არამედ დაებრუნებინა რუსეთის იმპერიის მიერ მიტაცებული გაგრა და მისი რაიონი. საქართველომ აღადგინა "აფხაზეთის" სახელწოდება და დაჰპირდა მას ფართო ავტონომიას, რაც ჯერ საქართველოს და აფხაზეთს შორის დადებული ორი ხელშეკრულებით განისაზღვრა (1918 წლის 8 და 11 ივნისი), ხოლო შემდგომ სპეციალურ დებულებაში (კანონში) უნდა ასახულიყო, რასაც კონსტიტუციის 108 მუხლი ითვალისწინებდა. ბ. სავანელი უმალავს მკითხველს, რომ კონსტიტუციის მე-11 თავი დასათაურებულია: "ავტონომიური მმართველობა", რომელშიც ნახსენებია (აფხაზეთის სოხუმის ოლქი, სამუსულმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათლის ოლქი, რომლებსაც მიენიჭათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა". **ვინც გაეცნობა ხელშეკრულებას, აფხაზეთში შემუშავებულ კონსტიტუციების პროექტებს, დაინახავს, რაოდენ ფართო უფლებები მიეცემოდა აფხაზეთს, რომელიც ყველგან ნახსენები იყო როგორც საქართველოს "ავტონომიური ერთეული", თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა. ამიტომ აფხაზეთისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭებაში არაფერია ახალი, მთავარია, რა დოზით და რა პირობებით.**

ვფიქრობ, საკმარისია, თორემ უმეცრების და კურიოზების მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება. არაფერს ვამბობ ბ. სავანელის სხვა, ე.წ. "ახალ კონცეფციებზე", რაზეც ერთხელ უკვე გავამახვილე ქართული საზოგადოების ყურადღება (იხ. ბ. სავანელის ერთ-ერთ ნაშრომზე ჩემი გამოხმაურება "არის თუ არა ადამიანის საყოველთაო უფლებები საერთაშორისო სამართლისაგან დამოუკიდებელი დარგი" - "ადამიანი და კონსტიტუცია", N1, 1999), მაგრამ ავტორი ყურად არაფერს იღებს და აგრძელებს თავის მავნე საქმიანობას.

## 4. თვითრეკლამირების "ოსტატობის" შესახებ

დაბოლოს, თვითრეკლამირების შესახებ. ყველა წიგნი თუ ბროშურა, რომელსაც ბ. სავანელი გამოსცემს, სამ მთავარ კომპონენტს შეიცავს: 1. ავტორის სურათი (თანაც, არა პორტრეტი, არამედ მისი ფიგურა "მთელი სიგრძე-სიგანით"), რომელიც გარეკანის წინა ან უკანა გვერდზეა მოთავსებული; 2. ავტორის უკვე ნახსენები ტიტულები, რომლებიც ამშვენებენ პუბლიკაციის წინა ან ბოლო გვერდებს; 3. ავტორის "გამოქვეყნებული შრომების სია", რომლის 90 პროცენტს შეადგენს გამოქვეყნებული პუბლიკაციები და ინტერნეტში არსებულ საიტებზე გაგზავნილი წერილები, რაც ვერანაირად ვერ ჩაითვლება მეცნიერულ ნაშრომად.

დიდი ხანია, რაც საქართველოში ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლა, რომელსაც მიეკუთვნებიან ისეთი მეცნიერები, როგორებიც არიან ლევან მატარაძე, ნინო ბურჯანაძე, რომელთა ავტორიტეტი დიდი ხანია, გასცდა საქართველოს ფარგლებს. დღითი დღე იკრებს ძალას ახალგაზრდა თაობა - კონსტანტინე კორკელია, დავით პატარაია, ირინე ქურდაძე და სხვანი, რომლებიც ჭეშმარიტად საერთაშორისო ექსპერტები და მაღალი კვალიფიკაციის მქონე მონოგრაფიების და სახელმძღვანელოების ავტორები არიან სწორედ ადამიანის უფლებათა სფეროში.

დაუშვებელია, რომ საერთაშორისო სამართლის ქართულ მეცნიერებაში ბოგინობდეს ისეთი უმეცარი და მეცნიერულ ეთიკას მოკლებული პერსონა, როგორიცაა ცრუპროფესორი, "მეცნიერების ცრუდოქტორი" და ცრუექსპერტი ბიძინა სავანელი.

## TV პროგრამა

3 აპრილი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ვაგზალი ორისთვის" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** მხ. ფილმი "უილბლოები" **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - მხ. ფილმი "მოკვდეს ჯაფარა" (18) **02.00** კურიერი **02.20** მხ. ფილმი "ძლიერი დარტყმა" (18)

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.35(შვეიცარია), 02.00(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.30** ღია ბარათი "გურმანი" **08.00** საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა. "ბიდუმ-ბიდუმ" **09.30** გადაცემა: აღმოჩენა. **12.20** ქალთა ტკივილი. ტელესერიალი. **13.55** ხელით შექმნილი საოცრებები. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.30** კერგალენის საქმე. თელესერიალი. **23.00** არარეალური თვალსაზრისი. დოკ. ფილმი. დოკ. ფილმი. **24.30** მაშველები. ტელესერიალი.

### JST

**09.00** სტერეო-სტილი **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

### [მთავარი]

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "კონანი და მისი მეომრები" მე-3 ს. **08.40** საბავშვო სერ. "ჯუნგლის კანონი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი "ოპერაცია - დეიდა ტასო" **11.30** "ტაქსი" (გამ.) **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "სასიკვდილო ხაფანგი" **13.20** მხ. ფილმი "ნერგები" **14.00** ფორმულა-1 **15.00** მუსიკა - ერიკ კლეპტონი **16.00** "ჰოლმარკი"-"დინიტოპია" **17.00** დოკ. ფილმი "შტრაუსი - ვალსის მეფე" **18.00** "მთავარი" **18.10** არქივი - გურული ფოლკლორი **18.30** "მრწამსი" - ქრისტიანული ოჯახები **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- კვებეკი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერ. "დანაშაული" **21.30** "რაციო" - კახა ლომაია **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები - კლინტონი **00.45** მხ. ფილმი "გაზონის მჭრელი" (15) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ბიჭბუჭები" (გ) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** საწინდარი **20.10** საბავშვო პროგრამა "სტუმრად ჩიკოსთან" **22.00** მხ. ფილმი "ქარიშხლის თვალი" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაციური ფილმი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაციური ფილმი "ბოლტო" **11.00** სერიალი "ვუპი" **11.30** ტელეჟურნალი "სცენა" **12.00** სერიალი "კარაბინერები 2" **13.00** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **17.20** სერიალი "კარაბინერები-2" **18.30** ქართ. მხ. ფილმი **20.30** დრამა "ტაქსის მძღოლი" **21.30** ფარული კამერა **22.00** კრიმ. სერიალი "სთშ" **23.00** მხ. ფილმი "იტირე საყვარელო ქვეყანავ" (12) (ჯეიმს ერლ ჯონსი) **01.00** მხ. ფილმი "რომის ოქრო" (15) (ფერერო, ჯ. სორელი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** ტელეზღაპარი **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. ფილმი "სუფრის ადათ-წესები" **21.20** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 23.15** ქრონიკა **09.10, 13.15, 02.45** იმედის მელოდიები **09.30** ანიმ. ფილმი "შავი მეკობრე" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "იმედითა შენითა" **11.45** "დილის ფოსტა" **12.40, 02.15** ტვ-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი "ფრთხილად კარი იხურება" (გ-ვერსია) **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნბა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები" **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **20.00** სერიალი "ოცნების სანაპირო" **21.00** ტვ-ლოტო **22.30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "ბოლონია" - "ინტერი" **00.20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" - "ბრეშა".

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.20** დოკ. ფილმი **11.30** თეატრი **14.30** მხ. ფილმი "საქმიანი ქალი" **16.30** მუსიკა **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **17.55** თრილერი "მთვრალი განთიადი" **20.05** ზ.თ **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მხ. ფილმი "სილამაზე ამერიკულად" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მელოდრამა "24 საათი ქალის ცხოვრებიდან"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Мультсериал "Десятое королевство". **06.30** Владимир Высоцкий в фильме **"КОРОТКИЕ ВСТРЕЧИ" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** Андрей Макаревич в программе "Три окна". **10.40** "Звезды юмора на Первом". **12.10** История с географией. "Аполлон-13": авария на орбите". **13.00** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.30** Умницы и умники. **14.10** "Пестрая лента". "Романс о влюбленных". **15.00** "Слабое звено" с Марией Киселевой. **15.50** концерт Александра Малинина **17.00** Возвращение к жизни в программе "Прости". **17.50** Классика Уолта Диснея. Впервые в России. **18.20** Мэттью Бродерик в комедийном боевике **"ИНСПЕКТОР ГАДЖЕТ". 19.50** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Дэнзел Вашингтон в триллере **"ВНЕ ВРЕМЕНИ".** Шерифу маленького городка штата Флорида Мэтту Ли Уитлоку - человеку за время своей многолетней службы удалось снискать уважение коллег и любовь местных жителей. Когда город неожиданно потрясает жестокое двойное убийство, Мэтт незамедлительно преступает к расследованию. С этого дня в его жизни начинают происходить странные и загадочные вещи. А вскоре Мэтт к своему ужасу из уважаемого блюстителя порядка превращается в главного подозреваемого: все улики указывают на него... **01.40** Том Хэнкс в комедии **"ТО, ЧТО ТЫ ДЕЛАЕШЬ". 1964** год. Сын владельца магазина бытовой аппаратуры Гай вместе с друзьями создает рок-группу. Ребята сочиняют песню под названием "То, что ты делаешь", быстро ставшую настоящим хитом, а вскоре записывают пластинку. Им помогает менеджер мистер Уайт. Они еще не знают, что это первые шаги к стремительной славе... **03.40** Лу Даймонд Филлипс в триллере **"ЛЕТУЧИЕ МЫШИ".**

### НТВ

**06.00** Мультфильм "Самый маленький гном". **06.20** Боевик **"В ОСАДЕ-2". 08.00, 10.00, 13.00, 16.00** Сегодня. **08.15** Мультфильм "Ну, погоди!" **08.25** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ПРОПАВШИЙ ПИСТОЛЕТ". 08.55** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" с Тимофеем Баженовым. **10.20** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55** Владимир Коренев в фильме **"ЧЕЛОВЕК-АМФИБИЯ" 16.20** "Женский взгляд". Элина Быстрицкая. **16.55** Своя игра. **17.55** Сериал **"КОДЕКС ЧЕСТИ-2". "ИГРА НА ВЫЖИВАНИЕ". 1**-я серия. **19.40** Профессия - репортер. **20.10** Томми Ли Джонс в боевике **"СЛУЖИТЕЛИ ЗАКОНА".** Помощник судебного исполнителя Сэм Джерард устраивает охоту за сбежавшим преступником Шериданом. В помощь ему приставлен тайный агент. В процессе погони Джерард узнает, что Шеридан не преступник, а жертва - бывший агент спецслужб, которого грубо "подставили", повесив на него два убийства... **22.50** "Мировой бокс". **23.35** Джон Траволта в фильме **"ЛИХОРАДКА СУББОТНЕГО ВЕЧЕРА".** Тони, молодой американец итальянского происхождения, живет с родителями, работает продавцом в хозяйственном магазине. Единственное развлечение - танцы в стиле "диско". Но ему не везет с партнершей, пока Тони не встречает Стефани - девушку с разносторонними интересами. Тогда он решает сделать решительный шаг: найти новую работу и уйти из дома, где его не понимают. **01.55** Футболлистика. **02.35** Дэнхольм Эллиотт в фильме **"СЕНТЯБРЬ". 04.15** Олаф Любашенко в комедии **"ОПЕРАЦИЯ "КОЗА".**

ათეულები




| ყველაზე შემოსავლიანი კონცერტების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| შემსრულებელი | თარიღი | ადგილი | შემოსავალი |
| [illegible] | 23-27 მარტი | [illegible] | 2,827,481 |
| [illegible] | 26 მარტი | მაიამი, ფლორიდა | 1,736,000 |
| "იგლზი" | 28 მარტი | [illegible] | 1,368,032 |
| [illegible] | 12 თებერვალი | [illegible] | 1,233,045 |
| "იგლზი" | 10 მარტი | [illegible] | 1,174,830 |
| [illegible] | 18 მარტი | [illegible], ფლორიდა | 1,070,065 |
| [illegible] | 23-24 მარტი | [illegible] | 979,142 |
| "იგლზი" | 16 მარტი | [illegible] | 957,576 |
| [illegible] | 21 მარტი | [illegible] | 903,024 |
| [illegible] | 25 მარტი | [illegible] | 889,634 |



| კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 20,671,446 | 20,671,446 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 14,043,215 | 17,096,519 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 13,616,573 | 57,913,866 |
| "რობოტები" | [illegible] | [illegible] | 12,914,900 | 87,302,429 |
| The Pacifier | [illegible] | [illegible] | 8,087,316 | 85,833,272 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,283,334 | 166,444,518 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 4,108,040 | 26,201,432 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 3,732,867 | 13,342,028 |
| Be Cool | [illegible] | [illegible] | 3,830,732 | 52,336,105 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 2,587,318 | 94,133,278 |



# ყველაზე სულელი ამერიკელები



მაიკლ ჯექსონს, რომლის წინააღმდეგაც ამჟამად კალიფორნიაში სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, ზედიზედ მესამე წელიწადია ყველაზე სულელი ამერიკელის ტიტულით "აჯილდოებენ" თანამემამულეები. ტრადიციულ გამოკითხვაში 1030 ადამიანიდან დაახლოებით 80 პროცენტი მიიჩნევს, რომ პოპის თვითმარქვია მეფე, სამართლიანად იმსახურებს 2005 წლის დურაკის წოდებას.

მეორე ადგილი ამ საეჭვოდ პრესტიჟულ სიაში დაიკავა სკოტ პეტერსონმა, ადამიანმა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი მიიღო რვა თვის ფეხმძიმე მეუღლის მკვლელობის გამო; პეტერსონი სიის მეორე ადგილზე 68 პროცენტმა "გაიყვანა". მესამეზე აღმოჩნდა მარტა სტიუარტი. ამ ადამიანმა ხუთთვიანი სასჯელი მოიხადა ბირჟაზე თაღლითობის გამო; ციხიდან კი, მარტის დასაწყისში გამოვიდა. ხუთეულის შემდეგი წევრი კი, მოდელი პერის ჰილტონია. დაახლოებით 56-მა პროცენტმა წლის ერთ-ერთ ყველაზე სულელ ადამიანად პრეზიდენტი ბუში მიიჩნია; ამგვარად ჯორჯ ბუში სიაში მეხუთე ადგილს იკავებს.

რაც შეეხება ათეულის სხვა წევრებს, აქ ადგილებს იკავებენ ისეთი ცნობილი ადამიანები, როგორებიც არიან: ჯანეტ ჯექსონი (პოპის მეფის დამ ეს ტიტული შარშანდელი ინციდენტის გამო დაიმსახურა), მსახიობი რობერტ ბლეიკი, ბრედ პიტი, ჯენიფერ ენისტონი, ტელეწამყვანი დენ რატერი და "სიმპსონების" გმირი პეტი.

# ფესტივალის შედეგები







თბილისში დასრულდა "კავკასიის თანამედროვე მუსიკის" პირველი ფესტივალი, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად მარტში გაიმართება. "ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლეთ, უამრავი მოულოდნელი სირთულის წინაშე აღმოვჩნდით, მაგრამ ფესტივალი მართლაც წარმატებით დაარსდა", - ამბობს ღონისძიების ორგანიზატორი ფიდა რიპლი; ფესტივალის წარმატებულობაში კი, მის ორგანიზატორებს ის გამოხმაურება არწმუნებთ, რაც ფესტივალს თბილისში მოჰყვა მომავალი, 2006 წლის ფესტივალში მონაწილეობის მსურველთაგან; "კავკასიის თანამედროვე მუსიკის" ფესტივალს გულშემატკივრები თბილისის გარდა, ბაქოსა და ერევანშიც გაუჩნდა.

ორგანიზატორთა მონაცემებით, ფესტივალში მონაწილეობა 100-ზე მეტმა მუსიკოსმა და მომღერალმა მიიღო. ხოლო ფესტივალის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებს 3 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო.

მარტის განმავლობაში ფესტივალის ეგიდით გაიმართა რამდენიმე მუსიკალური საღამო ცოცხალი თანამედროვე, ჯაზისა და კლასიკური მუსიკის მოყვარულებისთვის. ფესტივალი დასრულდა ღონისძიებით "მუსიკა და კინო", რომელიც კინოთეატრ "რუსთაველთან" ერთად განხორციელდა. ასობით მაყურებლისთვის ორგანიზატორებმა ის ფილმები შეარჩიეს, სადაც მუსიკას განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება. ამ ფილმებს შორის იყო: "რეი" (ფილმს მიღებული აქვს 2005 წლის "ოქროს გლობუსი" და კინოაკადემიის ექვსი ნომინაცია), "მარია კალასი" (ფრანკო ძეფირელის ნამუშევარი მე-20 საუკუნის ოპერის უდიდეს მსახიობზე), "ოპერის ფანტომი" (მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი თანამედროვე კომპოზიტორის, ენდრიუ ლოიდ ვებერის აღიარებული მიუზიკლი), და "ქეთო და კოტე". "სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ქართული ფილმია გადარჩენილი კინოთეატრების ეკრანზე საჩვენებლად. "ქეთო და კოტეს" ჩვენებით პატივი მიეგო ქართველ შემოქმედთ და მუსიკოსებს", - განაცხადეს ორგანიზატორებმა ფესტივალის დასრულების შემდეგ. იმედია, გაისად "კავკასიის თანამედროვე მუსიკის ფესტივალს" კიდევ უფრო დიდი აუდიტორია ეყოლება და პროგრამაც მეტად საინტერესო იქნება.

ათეულები

| კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით | | | |
|---|---|---|---|
| წიგნი | ავტორი | გამომცემლობა | რეიტინგი |
| "ბოლო ზარი" | ლაშა ბუღაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.8 |
| [illegible] | [illegible] | შპს [illegible] | 2.4 |
| [illegible] | [illegible] და სხვა | [illegible] | 2.4 |
| "მოგზაურობა ყარაბაღში" | აკა მორჩილაძე | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| [illegible] | [illegible] და სხვა | [illegible] | 1.6 |
| "რობინზონ კრუზო" | [illegible] | [illegible] | 1.6 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| "1984" | ჯორჯ ორუელი | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 1.2 |

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







იყიდება

ურეკში კაფე-ბარი სასტუმრო „მთის ბროლის“ პირდაპირ, 350 კვ.მ, მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 899 16 28 67 , ამირანი






## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.